# ლიტერატურული საქართველო

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე — მთელი ქვეყანა

საქართველოს მწერალთა კავშირის ყოველკვირეული გაზეთი

პარასკევი. № 41 (2820) გამოცემის მე-60 წელი: 11 ოქტომბერი, 1991 წ. ფასი 40 კაპ.


ეროვნული ბიბლიოთეკა



## გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებათა შესახებ

დიდი ქართველი პოეტის გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ადგენს:

1. დამტკიცდეს გალაკტიონ ტაბიძის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს მომწყობი კომისიის შემადგენლობა და საიუბილეო ღონისძიებათა გეგმა.

2. საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის მატერიალური რესურსების სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის, ტყის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ტრანსპორტის სამინისტრომ, საქართველოს რესპუბლიკის ბეჭდვითი სიტყვის დეპარტამენტმა, საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტმა, თბილისის მერიამ, ვანის რაიონის პრეფექტურამ, საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულმა საინფორმაციო სააგენტო „საქართველომ", საქართველოს მწერალთა კავშირმა, საქართველოს მხატვართა კავშირმა და მისმა ფონდმა, რესპუბლიკის შემოქმედებითმა ორგანიზაციებმა მიიღონ ზომები გალაკტიონ ტაბიძის 100 წლისთავის ღონისძიებათა განსახორციელებლად.

**საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი**
**ბ. გუგუშვილი**

**საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის კანცელარიის მმართველი**
**ა. ლანდია**

13 ოქტომბერს სრულდება 2 წელი მერაბ კოსტავას ტრაგიკული დაღუპვიდან



## მერაბ კოსტავას მოსაგონარი

სულთათანა — განუსვენე, მაცხოვარ,
მერაბს, მონას შენსას.
ნუგეშინი უთხარ წყნარი, აცხოვნე,
განუბრწყინე ზეცა.

მას შენსავით ჯვალო ეცვა ნიადაგ,
უპოვარს და ღარიბს,
სასუფეველს იგი ნეტარს მიადგა,
განულევი კარი.

შეიწყნარე მისი ლოცვა-ვედრება
და ნაგვემი ტანი,
დაკაწრული ციმბირული ეკლებით,
განულევი კარი.

და აღსდგები ძლევით ოდეს, ძლიერო,
ვით აღმსდგარხარ წინათ,
მოიყოლე მონა შენი, ციერო,
ივერიას შინა.

**მურმან ჯგუბურია**

## 14 ოქტომბერს აღინიშნება დიდი დღესასწაული მცხეთობა (სვეტიცხოვლობა, კვართის დღესასწაული)



ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი რედაქციას

„ლიტერატურული საქართველოს" 4 ოქტომბრის ნომერში წავიკითხე ბატონ მამუკა წიკლაურის წერილი „მაცილის მრავალსახეობა". წერილის შეფასებისაგან თავს ვიკავებ. ასეთ წერილებს დრო შეაფასებს. ოცდაჩვიდმეტ წელში დაბეჭდილმა მსგავსმა წერილებმა აგერ ახლა შეგვახსენა თავი.

მე მხოლოდ წერილის იმ ნაწილზე მინდა გამოვთქვა ჩემი აზრი, უშუალოდ მე რომ მეხება. უფრო სწორად, გაზეთ „დრონში" ჩემს მიერ გამოთქმული ერთი მოსაზრების კრიტიკას რომ წარმოადგენს.

მე ვწერ: „ბუნებრივია, კაცს უნდა დაუფასო, თავის თავს რომ პრეზიდენტის მონას უწოდებს, მაგრამ მარტო ასეთი მსხვერპლის გაღება როდი კმარა, ის კაცი კულტურის მინისტრად დანიშნო. კულტურის მინისტრი ამ დიდი ეროვნული პოსტის ჩაბარებამდე, ერთხელ ხომ მაინც უნდა ყოფილიყო ნამყოფი ოპერაში".

„რაო, ბატონო გურამ, — მეკითხება მამუკა წიკლაური, — მართლა გგონია, რომ შენ დაუჩოქებელი რაინდი ბრძანდები, ხოლო ნოდარ წულეისკირი მონაა".

შემდეგ კი მას მოჰყავს „მონის" ტიციანისეული და რუსთველისეული ინტერპრეტაცია: „დავბადებულვარ, რომ ვიყო მონა", და „მათ სამთა გმირთა მნათობთა სჭირს ერთმანეთის მონება".

კი, ბატონო, ვინ გეწინააღმდეგებათ?! გულწრფელად მჯერა, რომ ნოდარ წულეისკირის „მონობა" ტიციანისეული და რუსთველისეული „მონობაა", განა მე თქვენს მიერ გაკრიტიკებულ ფრაზაში მონობაზე ვლაპარაკობ?! მე ხომ იქ მხოლოდ კადრების კომპეტენტურობაზე მქონდა საუბარი?!

გულწრფელად შევწუხდი. თუ დამიჯერებთ, ნოდარ წულეისკირის განაწყენება აზრადაც არ მომსვლია.

თუ როდესმე ეს წერილი წიგნში შევიტანე, ციტატას ასე გადავაკეთებ: „თვით რუსთველისეული ამაღლებული და წმინდა მეგობრობაც არ კმარა, კაცი რომ კულტურის მინისტრად დანიშნო". დანარჩენი როგორც ტექსტშია.

განა თვითონ ბატონ ნოდარს კი არ უთქვამს მრავალგზის, კულტურის მინისტრობა არაა ჩემი საქმეო!

ამჟამად ბატონი ნოდარი მართლაც რომ ძალზე საპატიო და, რაც მთავარია, შესაფერის თანამდებობაზეა. მწერალს, მწიგნობარს, წიგნის ბედი ეროვნული მასშტაბით ჰქონდეს და მჯერა, შესანიშნავადაც გაართმევს თავს ამ დიდსა და მართლაც მამულიშვილურ საქმეს.

რაკი ბატონი მამუკა წიკლაური სხვა მოსაზრებებზე არ შეკამათება, უფლება მაქვს დავასკვნა, რომ იგი იზიარებს ჩემი წერილის საერთო პათოსს.

**გურამ ფანჯიკიძე**

## თითქოს საქართველოს მტერს ებრძოდნენ...

მომავალი ზუსტად გაარკვევს თუ რა ხდება დღეს თბილისში. მაგრამ ერთი რამ ფაქტია: რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიმდინარე მოვლენები შეაფასა როგორც სახელმწიფო გადატრიალების ცდა, კანონიერი ხელისუფლების დამხობის ცდა, ძალადობის ზეიმი. როგორც ჩანს, ეს სულაც არ იყო სტიქიური პროცესი და მისი იდეოლოგები და ინსტრუქტორები მხოლოდ მოსკოვში როდი ისხდნენ. სამწუხაროდ, ქართველ კაცს მუდამ აკლდა სახელმწიფოებრიობის გრძნობა, ერთი ლიდერის აღიარების უნარი. ეს იწვევდა მუდმივ შინაშუღლს, სახელმწიფოს რღვევას, კუთხურ მეტოქეობას, რამაც დაღუპა ძველი საქართველო. დღესაც ბევრი გვყავს პირველობის მაძიებელი, რომელიც დემოკრატიის სახელით იარაღს იღებს და ებრძვის კანონიერებას, წესრიგს და დისციპლინას.

როცა პირდაპირი შტურმი სასურველ შედეგს არ იძლევა, ოპოზიციონერები ცდილობენ ქაოსისა და ანარქიის შექმნას, სახელმწიფო სტრუქტურების დაშლას, რითაც ხელისუფლება ფიქციად იქცევა. ამის ერთი მაგალითია ის ხმაური, რაც მწერალთა კავშირის გარშემო ხდება. ჩვენი გამოჩენილი და უჩინარი მწერლები აქვეყნებენ კოლექტიურ წერილს, ცალკეულ განცხადებებს, რომ მოხდა ალმაშფოთებელი ფაქტი, რომ 2 ოქტომბერს მათ დაკეტილი დახვდათ მწერალთა კავშირის კარები და კრება ვერ ჩაუტარებიათ. ცხადია, უფრო ალმაშფოთებელი და საშინელი ამბავიც ბევრი იცის ჩვენმა კავშირმა, რაზეც ხმას ნაკლებად იმაღლებდნენ. მაგრამ ახლა ეს არ არის მთავარი. მთავარი ის გახლავთ, რომ დღეს ყველა მამაცი და დემოკრატიის დამცველი გახდა, როგორც ახალგაზრდა, ისე დიქტატურის დამსახურებული მეაბჯრე, ორდენოსანი და ლაურეატი. ეს აჟიოტაჟი ემსახურება ერთ მიზანს: შეარყიონ მუხრან მაჭავარიანის ავტორიტეტი და მიაღწიონ მის გადაყენებას, ან დაშალონ მწერალთა კავშირი, დააარსონ ალტერნატიული ასოციაციები თუ გაერთიანებები. ჩვენ გვახსოვს მსგავსი უღირსი კამპანია შოთა ნიშნიანიძის წინააღმდეგ, რომელშიც ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ გავლენიანი მწერლები და მათი მეგობარი პარტიული ხელმძღვანელები.

მაშინ ეს ხდებოდა მოსკოვის მიერ დანიშნული ჯ. პატიაშვილის საამებლად. ახლა კი ხდება ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის წინააღმდეგ, ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, რომელსაც მძიმე ჟამს თავისი თანადგომა სახალხოდ დაუდასტურა მუხრან მაჭავარიანმა. რა თქმა უნდა, ოპოზიციამ ეს არ აპატია პოეტს. ჯერ ტერორი გამოუცხადა და სახლში ჩაკეტა, შემდეგ კი პრესის ფურცლებზე დაიწყო ლაშქრობა. ვინც გაეცნო მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის 30 სექტემბრის განცხადებას, მას უნდა გაეგო, რომ მწერალთა კავშირი კრების გამო არ დახურულა და ხელმძღვანელობას არც კრება არ დაუნიშნავს. კრების შესახებ არაფერი სცოდნიათ მუხრან მაჭავარიანს, ენვერ ნიქარაძეს, ხუტა ბერულავას. ხოლო გურამ ფანჯიკიძე, როგორც თქვეს, კარგა ხანია არ ყოფილა სამსახურში. შეიძლება მას არც სცოდნოდა თუ რა გადაწყვეტილება იქნა მიღებული მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის მიერ.

მკითხველს მინდა შევახსენო, რომ სწორედ მწერალთა კავშირში გაიმართა 12 სექტემბერს კრება, რომელზეც სიტყვით გამოვიდა არაერთი ოპოზიციონერი: ეს ფაქტიც ცხადყოფს, რომ კამათსა და დისკუსიას თავს არავინ არიდებს.

ასე რომ მწერალთა ერთი ჯგუფის შესაშურ ერთსულოვნებას და აღშფოთებას ნამდვილი საფუძველი არ გააჩნია. სამწუხაროდ, ასეთი ერთსულოვნება და აღშფოთება სჯობდა გამოეხატათ იმ უკანონობაზე, რაც თბილისში ხდება და რაშიც ისეთი შესაშური ენერგიით მონაწილეობენ, თითქოს საქართველოს უბოროტეს მტერს ებრძოდნენ.

**სოსო სიგუა**

## სად გაქრა ერთობის გრძნობა?

**1990 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, 50 წლის შემდეგ საქართველოში პირველი სტუმრობისას, მოწმე გავხდი სასწაულისა: საქართველომ უკუაგდო კომუნისტური წყობა.**

**დღეს, 1991 წლის სექტემბერში, კვლავ საქართველოში ვარ სტუმრად; საქართველოს უკვე ჰყავს საკუთარი პრეზიდენტი და პარლამენტი, მაგრამ მაინც ბევრს ვერაფერს ვხედავ სასურველს. ამისთვის პასუხისმგებელნი ის ქართველები არიან, რომლებიც თავიანთი მოქმედებით მტერს ახარებენ.**

**ვინ უნდა დააფასოს და პატივისცემით მხარში ამოუდგეს საქართველოს პრეზიდენტს და მთავრობას, თუ არა ქართველი?**

**ჩვენ, უცხოეთში მცხოვრები ქართველები თავგამოდებით ვცდილობთ, რომ სხვა ქვეყნებს გავაცნოთ მათთვის თითქმის უცნობი საქართველო და ქართველი ხალხი, ამავე დროს კი ზოგიერთი „ქართველი" მას სახელს უტეხს. სად არის ერთობის ის გრძნობა, რომელიც ცხრა აპრილმა წარმოშვა?**

**მადლობა ღმერთს, რომ ქართველებს არ სჭირდებათ სხვისი რჩევა-დარიგება, თუ როგორ დაგეგმონ თავიანთი მომავალი, ვინ აირჩიონ პარლამენტის წევრებად ან პრეზიდენტად. მაგრამ, ალბათ, მეც მაქვს უფლება, გამოვთქვა საკუთარი აზრი იმ მოვლენათა შესახებ, რომელთა მოწმე გავხდი ამჟამინდელი სტუმრობისას.**

**ჩემთვის რამდენადაც ცნობილია, საქართველოს მოსახლეობის 80-მა პროცენტმა მისცა ხმა ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტის თანამდებობაზე. ე. ი. ის არის ხუთი წლით არჩეული ამ თანამდებობაზე და არავის (გარდა შეიარაღებული გადატრიალებისა) აქვს უფლება კონსტიტუციური პრინციპების გარეშე მისი გადაყენებისა.**

**სავალალოდ, როგორც მე დავინახე, თბილისში ზოგიერთებისთვის ეს გაუგებარია და მიმართავენ არაკანონიერ და არაცივილიზებულ მოქმედებებს.**

**თუკი ეს აქციები მიმართულია მთავრობის საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად, დაცული უნდა იქნას კანონი, არ უნდა შეილახოს ადამიანის სამოქალაქო უფლებები. რაც მე ვიხილე რუსთაველის პროსპექტზე, ზემოხსენებულის უხეში დარღვევაა. აბა ვინ მისცა უფლება რომელიმე პარტიულ ორგანიზაციას, ჯგუფს, ან იდეოლოგიურ განხრას, ჩაკეტოს ბარიკადებით და დაამახინჯოს ქალაქის რომელიმე ქუჩა, ან მოედანი. ამ შემთხვევაში ქალაქის სიამაყე, რუსთაველის პროსპექტი. ნუთუ ქალაქის მმართველობამ ნება დართო მათ ასეთი სახის დემონსტრაციის ჩატარებისათვის. თუ არა, სად არის პოლიცია, რომელიც პასუხისმგებელია ქალაქში წესრიგისათვის? რაც შეეხება პოლიციას, მიუხედავად იმისა, თუ რომელ მთავრობას ემსახურება ის, პატივი უნდა ვცეთ. ისევე, როგორც მან უნდა სცეს პატივი მოსახლეობას და დაიცვას მისი კეთილდღეობა. თბილისში კი საპირისპირო მოქმედებები დავინახე: პოლიციელებს სცემენ და ასახიჩრებენ.**

**გაუგებარია, რომ კაბინეტის წევრობიდან ან რომელიმე სამმართველოს უფროსობიდან განთავისუფლებულმა შემოიერთოს რამდენიმე სიტუაციაში გაუცნობიერებელი ახალგაზრდა და „ომი გამოუცხადოს" არსებულ მთავრობას. ასე რომ იყოს, დღეს იტალიის ან საფრანგეთის მოსახლეობის რიცხვი განახევრებული იქნებოდა.**

**ცივილიზებულ ქვეყანაში, რომელიც თავს აცხადებს დემოკრატიულად, აგრეთვე მიუღებელია რადიო-ტელეგადაცემებისა და პრესის ცენზურა მხოლოდ ერთი მხარის სასარგებლოდ.**

**ასევე მიუღებელია საქართველოს და მისი მეთაურების ძაგება უცხო ძალებთან, რაც არავითარ სარგებლობას არ მოუტანს საქართველოს და ქართველ ერს. პირიქით, სწორედ ამითაა გამოწვეული საქართველოს სინამდვილის უარყოფითი ასახვა უცხოეთის პრესაში. მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ თავიანთი, ცივილიზებული მოქმედებით გააქარწყლონ ეს უარყოფითი სურათი. ეს შესაძლებელია მხოლოდ ერთობით, ერთობით საქართველოს კეთილდღეობისათვის, საერთაშორისო კანონებისა და კონსტიტუციის დაცვით.**

**ლადო გაგიშვილი,**
აშშ

გთხოვთ, ჰონორარი გადაურიცხოთ საქართველოს საპატრიარქოს.

## შეერთდებიან ქართველი მწერლების პროტესტს და მიმართვას

1991 წლის 4 ოქტომბრის გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" და 8 ოქტომბრის გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა სამოცამდე ქართველი მწერლის — ჩვენი კოლეგებისა და მეგობრების პროტესტი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობისადმი. ვიზიარებთ მათ გულისტკივილს, ხმას ვუერთებთ მათ პროტესტს და მიმართვას ქართველი ხალხისადმი.

**კლავდია დევდარიანი, ნინო ქუჩუკაშვილი, ქეთევან ქუჩუკაშვილი, ნინო აბაშიძე, ერლომ ახვლედიანი, დავით ჯავახიშვილი, თამაზ კვაჭანტირაძე, გურამ ბენაშვილი, გივი მაღულარია, ხუტა გაგუა, ნინო ბეზარაშვილი.**

●

## პატივცემულო რედაქციავ

**თბილისში არყოფნის გამო საშუალება არ მომეცა ხელი მომეწერა ქართველ მწერალთა საპროტესტო წერილზე, რომელიც ბოლო დროს მომხდარი საქართველოს მწერალთა კავშირის შეურაცხმყოფელი აქციის წინააღმდეგ არის მიმართული. ვთხოვ საზოგადოებას, მიიღოს ეს განცხადება მწერალთა საპროტესტო წერილზე ჩემს ხელმოწერად.**

**მწერალთა კავშირის შენობის დაკეტვა და შიგ და გარეთ მილიციის საგუშაგოების მოწყობა აქამდე გაუგონარ, ვანდალურ აქტად მიმაჩნია.**

**მთელი პასუხისმგებლობა მომხდარის გამო მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ბატონ მუხრან მაჭავარიანს და სამდივნოს ეკისრება.**

**ქართველ მწერალთა მომავალი საერთო კრება, უახლოეს მომავალში რომ უნდა გაიმართოს, ვფიქრობ, სათანადო შეფასებას მისცემს ამ საგანგაშო ფაქტს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.**

**რევაზ ჯაფარიძე**

8 ოქტომბერი, 1991 წ.
თბილისი

## ერთიანი საქართველოსთვის

გრძელდება ძმათა აშლილობა საქართველოში. რა გვაქვს გასაყოფი? ერთი ენა გვაქვს, ერთი სამშობლო, ერთი სარწმუნოება. და ბოლოს ბარიკადის იქით ვიქნებით თუ აქეთ ყველას ერთი საერთო საფლავი გვექნება — საქართველოს მიწა. მაშ რისთვის? ნუთუ სავარძლებისათვის, ნუთუ ტკბილი ცხოვრებისათვის, მაგრამ შეიძლება მონობაში მყოფ ადამიანს ტკბილი ცხოვრება ჰქონდეს? მაშ რისთვის ვღვრით ერთმანეთის სისხლს?

ის, რაც წიგნებში წამიკითხავს, ის რაც უსწავლებიათ ჩემთვის, ბევრი რამ მემატიანის მოგონილი მეგონა. ვაგლახ, რომ ასე არ ყოფილა. ქართველების მიერ ერთმანეთის გაუტანლობა, ღალატი, ერთმანეთის პირისპირ დგომა, ყველაფერი ეს დღეს ნამდვილეა, თურმე არ ტყუოდნენ ის ჩვენი სულმნათი მემატიანეები. მე რომ გურამიშვილის გოდება, „ქართლის ჭირი" პოეტის ფანტაზიის ნაყოფი მეგონა, ესეც მწარე სიმართლე ყოფილა, ჩემი თვალით ვხედავ ცოცხალ ყორღანოვებს, ბერბიჭაშვილს და ორჯონიკიძეებს. თუ თავის დროზე საქართველოს ორ[illegible], თავიანთი მიზნების მისაღწევად სტამბოლში ან ისპაჰანში ეძებდნენ, დღეს სხვა მარშრუტი აქვს სხვა ქალაქი აურჩევიათ, მაგრამ მიზანი ხომ იგივეა, რაც მაშინ იყო, — ქართველი ერის გათიშვა, საქართველოს დამარცხება. მაგრამ სანამდე? სანამდე უნდა ვიყოთ, ჩემო დებო და ძმებო, ასე. სანამდე უნდა ვეძიძგილაოთ ერთმანეთს. იქნებ მანამ, სანამ ახლა განზე მდგომი ჩუმად მოქირქილე, თავის დროის მომლოდინე „საქართველოს უკვდავი" მტერი, ბარიკადის იქით თუ აქეთ მდგომთ, ერთმანეთის ქიშპით დაქანცულებს, ისევ პირს დაგვავლებს და მიგვახრჩობს... არ არსებობს ცალკე ადამიანების, ცალკე პარტიების, საქართველო, საქართველო ერთია მიწიერიც და ზეციერიც. ცოცხლებს თუ მკვდრებს ერთი სამშობლო, ერთი საქართველო გვაჩნია და გავუფრთხილდეთ მას. ნუთუ ჩვენ შევურიგდებით ქართველის მიერ მოკლული ქართველის საფლავის არსებობას. ნუთუ ჩვენ შევურიგდებით ქართველის მიერ დამარცხებულ საქართველოში ცხოვრებას. ეს ჩვენი სამარადჟამო სირცხვილი იქნება. დაე, დღეს, ბარიკადების სხვადასხვა მხარეს მდგომი ადამიანების დაღვრილი სისხლი, ქართულ სისხლი იყოს სანთელ-საკმეველი, მათი სული კი იმ ზარის ხმა, რომელიც ყურიდან ცვილს გამოგვაღებინებს და თვალიდან ლიბრს გადაგვაცილებს, ჩვენი სულიდან ეშმაკს განდევნის და გვაბრძოლებს საერთო მტრის წინააღმდეგ ერთიანი საქართველოსთვის.

ნუ გავახარებთ ჩვენს მტრებს, ძვირფასო თანამემამულენო, ისე ვიცხოვროთ, რომ არ შეგვრცხვეს ერთმანეთის თვალებში ჩახედვისა, არც აქ და არც იქ — მარადიულ საქართველოში.

**ნოდარ ჯალაღონია**

6 ოქტომბ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავუჯეროთ მერაბს

საწერ მაგიდასთან, წიგნის თაროებთან, სამი სურათია: მარცხნივ მერაბის ფოტოა, შუაში — რამდენიმე წლის წინათ ნაპოვნი უცნობი წმინდანის ნაწილებისა, რომის პაპის იოვანე პავლე II-ის წარწერით: Любите Христа! Христос не идея, не чувство, не воспоминание. Христос вечно живая личность, всегда пребывающая среди нас; მარჯვნივ კი — იგივე სახე, ოღონდ უკვე აღდგენილი, დაკრძალვის დროს ძველებური ადათის მიხედვით ზედ გადაფარებული არდაგის მეშვეობით.

ნამდვილად მრავლის მთქმელია წმინდა პაპის სიტყვები. მაგრამ ჩემთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია საოცარი მსგავსება მერაბის ფოტოსა და წმინდანის სახებას შორის. თუმცა არა, სრულიად მსგავსება არაა სრული — სახის ნაკვთები რაღაცით განსხვავდება კიდეც ერთმანეთისგან. მაგრამ მთავარი ეს არაა. მთავარი სიცოცხლეზე ამაღლებული სულიერი მსგავსებაა. „სანთელი გუამისაი არს თუალი“ (მ. 6,22). და ალბათ ესაა სწორედ მათი უდავო მსგავსების ქვაკუთხედი, რადგან: ორივე ფოტოდან რაღაც დიადი და სულის დამაწყნარებელი სიმშვიდე გამოსჭვივის. და კიდევ ერთი: ორივეს თითქოსდა თითო ნაბიჯიღა დარჩენია ჩვენდა მხსნელად მოვლენილ განკაცებულ ქრისტემდე.

ზუსტად არ ვიცი, როგორი ცხოვრებით იცხოვრა ჩემთვის უცნობმა წმინდანმა და რისთვის მიაგეს მას ეგოდენ დიადი, დამსახურებული პატივი ან რატომ მიიჩნიეს ერთი პირობა ქრისტედ (მით უფრო საპატიოა მერაბისთვის მასთან ასეთი მსგავსება!).

მერაბის შესახებ კი ბევრის, ძალიან ბევრის და კიდევ უფრო ბევრის თქმა შემეძლო (თუ არა ასეთი არეული და დაძაბული დრო) და ალბათ ვიტყვი კიდეც როდესმე.

მაგრამ ამჟამად ჩემთვის ამის თქმა არაა მთავარი. მთავარი ჩემთვის ეხლა, ამ ყველა ჭეშმარიტი ქართველისთვის არეულ დროს, იმისი გააზრებაა, თუ რას მოგვიწოდებდა ცოცხალი მერაბი. და მე, როგორც მერაბის განუყრელი მეგობარი, სულით ხორცამდე დარწმუნებული ვარ, რომ იგი თავისებურად, ომახიანად შემოგვძახებდა:

„გონს მოდით, ქართველებო, გონს! რას სჩადიხართ?! იყავით ერთად!“

და ჩვენც მერაბისადმი, ამ ღმერთს მიახლებული ქართველისადმი, პატივისცემის ნიშნად, ნუ განვიყოფით ორად, ნუ გადავჭრით ახალნერგს ძირში, ნუ გავახარებთ მტერს! „იყუარებოდეთ ურთიერთას“ (ი. 1,34). და არა მარტო ურთიერთას, არამედ „მიყუარობდით მტერთა თქუენთა“ (მ. 5,44). რამეთუ ესაა ჭეშმარიტი ქრისტიანობა. შემოვირიგოთ შემოსარიგებელნი და თუ მაინც არაფერი გამოგვივა, მხოლოდ მაშინღა, როცა საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ „ჭერკუალმან ხემან ნაყოფი ჭერკუალი გამოიღის“ (მ. 7,17), გარე განვსთხიოთ ჭერკუალი. მანამდე... მანამდე კი მოთმინება, ნამდვილად დიდი მოთმინება და ასევე დიდი გონიერება. ამას გვავალებს ჯერ კიდევ ახალგაზრდობაშივე უკვე წინაპრად ქცეული ჩვენი მერაბი. მხოლოდ ასე ავაშენებთ ჩვენს ძლიერსა და შეუვალ სახლს — თავისუფალ საქართველოს, სახლს, რომელსაც ეგზომ ეტრფოდა მერაბი, სახლს დაფუძნებულს კლდესა ზედა, რომელსაც ვერც წვიმანი, ვერც აღმდგარნი მდინარენი და ვერც ძლიერნი ქარნი ვერ დასცემენ (მ. 7, 24-5).

მხოლოდ ამით გავახარებთ მთაწმინდის ჭეშმარიტ რაინდს, რომელიც ასე წააგავს ამ რამდენიმე წლის წინათ ნაპოვნ ღმერთთან მიახლოებული წმინდანის სახეს, რომლის ფოტოზეც შესრულებული წარწერაც მოგვიწოდებს: „გვიყვარდეს ღმერთი!“

და რომელსაც მერაბი აუცილებლად დაუმატებდა:

„ქართველებო, გვიყვარდეს ღმერთი! გვიყვარდეს საქართველო! გვიყვარდეს ერთმანეთი და ასე მივიყვანოთ უკვე დაწყებული საქმე ბოლომდე!“

დავუჯეროთ, აუცილებლად უნდა დავუჯეროთ მერაბს, ქართველთათვის თავდადებულ წმინდა რაინდს.

მოგონებები? მოგონებები კი მერმისისათვის, უფრო კარგი დროისათვის, რომელიც აუცილებლად მოვა.

**ჯონდო მეტრეველი**

# მაამებლური თუ ირონიული?

6 სექტემბრის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა ხელმოუწერელი ინფორმაცია სათაურით „ჯანსუღ ჩარკვიანის ახალი წიგნი“. ბევრ მკითხველს შესაძლოა არც მიუქცევია, ან თუ მიაქცია, არ გაუმახვილებია ყურადღება გაზეთის მეორე გვერდის ქვედა ნაწილში მოთავსებული ამ რამდენიმე სტრიქონიანი ინფორმაციისათვის. ამიტომ თავს ნებას მივცემ, აქვე მთლიანად მოვიყვანო იგი.

„პოეტის 60 წლისთავთან დაკავშირებით გამოიცა ჯანსუღ ჩარკვიანის ლექსებისა და პოემების ორტომეულის პირველი წიგნი; წიგნის პოზიცია გამოხატულია ყდაზე, პოეტის ხელით წარწერილ ლექსში:

ძლივს, ძლივს ამოდის
მთვარე სამოთხის,

ტყვია მიზანში მოსახვედრია.
თავისუფლება ისე არ მოდის,
თავისუფლება ლომთა ხვედრია!

წიგნი ლამაზადაა გამოცემული, ოღონდ, **დასანანია, რომ მისი ტირაჟი მცირეა**“ (ხაზგასმა ჩემია — მ. ჩ.).

კეთილი და პატიოსანი. ჩვეულებრივი ინფორმაციაა, ისეთი, როგორიც მრავლად იბეჭდება ჩვენს პრესაში და, ბუნებრივია, მისი დამწერის მიმართ არავითარი პრეტენზია არ ექნებოდა ამ სტრიქონების ავტორს, რომ არა ტირაჟის სიმცირის მაუწყებელი ჩემს მიერ ხაზგასმული ფრაზა, რომელმაც, ცოტა არ იყოს, გამაოცა. იმან გამაოცა რომ ბატონი ჯანსუღის წიგნი მცირე ტირაჟით გამოიცა (თუმცა რა იყო გასაოცარი ამ უქაღალდობის ჟამს?) მაგრამ კიდევ უფრო დიდი იყო ჩემი გაოცება მას შემდეგ, რაც წიგნი შევიძინე და ვნახე მისი ტირაჟი — 10.000!

დიდი იმიტომ იყო ჩემი გაოცება, რომ, 2.000-ზე მეტს არ ველოდი, ვინაიდან მცირე ტირაჟი ესაა, თუმცა ამაზე მცირე ტირაჟითაც (1000, 1.500) იცემა წიგნები და არცთუ ხელწამოსაკრავი.

საინტერესოა, რატომ დასჭირდა ინფორმაციის ავტორს მკითხველის დეზინფორმირება? ალბათ იმიტომ, რომ ბატონი ჯანსუღისათვის ეამებინა —აქაოდა შენ იმხელა პოეტი ხარ, შენი წიგნისათვის ათი ათასიც მცირე ტირაჟიაო.

მწარედ შეცდა ინფორმატორი, ორმაგად შეცდა. ჯერ ერთი, ეს ტირაჟი მცირედ არ ჩაითვლება ნებისმიერი თანამედროვე პოეტისათვის, მით უმეტეს დღეს, ქაღალდის მწვავე დეფიციტის პირობებში. მეორეც, როცა ასეთი ტირაჟით გამოცემულ წიგნზე კაცი დაწერს — დასანანია, რომ მისი ტირაჟი მცირეაო, გამორიცხული არ არის, რომ ეს კაცი (თუ ქალი) წიგნის ავტორის ირონიზებას მიმართავს.

ერთი შენიშვნაც: ინფორმაციის ავტორს რატომღაც დავიწყებია იმ გამომცემლობის მითითება, რომელმაც გამოსცა პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის წიგნი. ესაა გამომცემლობა „საქართველო“, რომლის დირექტორიც თავად ბატონი ჯანსუღი გახლდათ.

**მიხეილ ჩაჩუა**

# ასე იტყვის მომავალი!..

ადამიანის სულიერ მდგომარეობას ისე ლამაზად და მძაფრად ვერაფერი გამოხატავს, როგორც სიტყვა, განსაკუთრებით — პოეზია!..

შემოქმედის (პოეტის სულიერ ნაღვაწში ხალხის, მშობელი ერის ზრახვა-ნატვრანი სავსებით და დაუფარავად თუა გამოხატულ-გაცხადებული, — ეს გმირობაა ჭეშმარიტი...

მუხრან მაჭავარიანი საქართველოში ბოლო ათწლეულების გამძაფრებულ-აზავთებული ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთი უპირველესი მებაირახტრეა უდავოდ!...

„... შენ მაშინ ქუხდი (ეს ქართველის სულს და გულს ახსოვს!...) — ოდეს ზოგ-ზოგნი გასაკიცხავს ელიქნებოდა!... ვით უწარსულოდ არ შობილა აროდეს აწმყო, — ისე უშენოდ ეს დღეებიც ვერ იქნებოდა!...“.

ყველა ვერ ბედავდა.

ბედავდნენ თითო-ოროლანი.

გაბედვაც არის და გაბედვაც: მუხრანის სიტყვა მკვრივია, სტრიქონი ზუსტი, თანაც — ხალვათი, ლექსი — სინათლით სავსე, შემოქმედი და დასამახსოვრებელი!

მუხრანის პოეტური სულის ნახშევი ძალუმადაა შეთანხმებულ-შეთავსებული ჩვენთა დიდთა პოეტთა სულიერ მემკვიდრეობასთან!...

ჩვენდა საიმედოდ და სასიამაყოდ, ამ ჰეროიკულ-ლირიკული ჰიმნითაა გაჟღენთილი ქართული ჰაერი დღეის-დღეისად და სამარადისოდ.

— ღვთისნიერი კაციაო! — ამბობენ კარგ კაცზე. მუხრანის ყოფაშიც და პოეზიაშიც იგრძნობა ღვთაებრიობა.

ეს მშვენივრად უწყის, ვისაც მასთან ახლო ურთიერთობაში გაუტარებია ზოგადად გაუსაძლისი, განსაკუთრებით კი — ჩვენი თაობისათვის ესოდენ მძიმე და სულისშემხუთავი წუთისოფელი.

„— გულს ნუ გაიტეხ, — მუხა კვლავაც შეიმოსება!...“ — იმედად გაისმა ამ ორმოცი წლის წინათ (თითქოს ქართული მიწიდან ამოხეთქილი თუ ზეციდან ჩამოღწეული) მუხრანის ეს ომახიანი, გამამხნევებელი შეძახილი და — აჰა! მოვესწარით: დღევანდელ საქართველოში მწვანე ნათლით იმოსება „ალაზნის პირას გამხმარი მუხა!..“

მუხრანს აქვს ერთი ასეთი გამოთქმა: „— ტოტის ტოტის ტოტი!...“ ამ ტოტის ტოტის ტოტებში ჩვენი შვილის-შვილის-შვილისშვილები მესახება მე პირადად.

ცხადნათლივ ვხედავ: მართლა თავისუფალი, მართლა ძლიერი, მართლა აყვავებული საქართველოს მოქალაქენი, — დიდნი თუ პატარანი, იმ შეფოთლილი მუხის მზიან ჩრდილში კითხულობენ მუხრან მაჭავარიანის წიგნს და, მადლიერების გრძნობით აღსავსეთ, — ციური ნათელი გადასდით სახეზე...

„— მუხრანის ლექსი!“, — ამბობდნენ და ამბობენ დღეს ჩვენი თანამედროვე გამოჩენილი პოეტები,

„— მუხრანის ლექსი!“ — ასე იტყვის მომავალში ქართველი ხალხი...

**გივი ძნელაძე**

# დეპეშა აფხაზეთიდან

ვცსურს, ულრმესი მადლიერების გრძნობა გამოვხატოთ მწერალ მამუკა წიკლაურისადმი, „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებული წერილისათვის: „მაცილის მრავალსახეობა“, რომელიც მალამოდ დაედო ჩვენ ღრმა ჭრილობას მოყენებულს თბილისელი ინტელიგენციის ზოგიერთი წარმომადგენლისაგან. ჩვენ, აფხაზეთის ქართველობას, მათი მოქმედების წყალობით გვიდგას განსაკუთრებით მძიმე ჟამი. მაგრამ იმედს არ ვკარგავთ. თავი სულაც არ მიგვაჩნია „ბრბოდ“ და „სუნიან ნახირად“.

ღმერთმა უსმინოს მას და უკურთხოს კალამი!

**მასწავლებლები:** ლუიზა ალფენიძე, დალი ეფანია, ირაკლი ჰანტურია, რეზო ქარდავა;
**ექიმები:** მაკარ ქარდავა, არჩილ ჩხიკვაძე, ქსენია გიგინეიშვილი;

**კულტურის მუშაკები:** მედეა გადელია-ვეკუა, ვარდო ქარდავა-ბერიშვილი, ელზა ფრანგიშვილი;

**გადამდგარი პოლკოვნიკი** ნაპოლეონ გადელია;
სულ 50-ზე მეტი ხელმოწერა.

**სოხუმი**

## „მხოლოდ ოფოფი შეიცნობა თავითა, ხოლო ჭეშმარიტი საქმე ბოლოთი“

კონსტანტინე გამსახურდია

ამხანაგის ეზოდან გამოვდიოდი, მაჩაბლის ქუჩაზე. იქ, სადაც ადრე კომკავშირის ცეკა იყო, შევნიშნე შეჯგუფული ხალხი. მათ შორის იყო ბატონი გურამ ფანჯიკიძე. ვიღაც გაჰკიოდა: „კონსტანტინე გამსახურდია ახლო რომ არ ყოფილიყო კომუნისტებთან, ცოცხალი როგორ გადარჩებოდაო“.

პირველად ავიღე კალამი ჩემს ცხოვრებაში მუშა კაცმა, რიგითმა თბილისელმა და შევეცადე გამომეხატა გულისტკივილი, ჩემი აღშფოთება დღევანდელი დღით გაოცებულს.

ვინ მოგვცა იმის უფლება წინ აღვუდგეთ ქართველი ერის ნებას — მისგან არჩეულ პრეზიდენტს.

მადლობა ღმერთს, გვყავს მწერალთა კავშირის ისეთი თავმჯდომარე, რომლის პოეზია სამშობლოს სიყვარულით ანთებდა და აგიზგიზებდა ჩვენს გულებს. მისი ლექსები ხელნაწერებად ვრცელდებოდა და ჩვენი შვილები ზეპირად სწავლობდნენ.

ნუთუ შეიძლება კაცმა თვალი დახუჭო ამაზე?

მწერლისათვის ხომ მთავარი ხალხის სიყვარული უნდა იყოს?!

თქვენ, ბატონო გურამ და თქვენს თანამოაზრეებს, როგორც ჩანს, ეს გავიწყდებათ. ვაგლახ, მე, მუშამ, უნდა გაგახსენოთ, რომ უდიდესი ქართველი მწერალი კონსტანტინე გამსახურდია მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე განიცდიდა კომუნისტებისგან დევნას, რეპრესიებს. იგი არა მარტო შემოქმედებით, მთელი თავისი არსებით იყო არა კომუნისტების აპოლოგეტი, არამედ საბჭოური სინამდვილის მოძულე. ამიტომაც გადაასახლეს სოლოვკის არქიპელაგზე.

ბატონი კონსტანტინე კარგა ხანს ემალებოდა კომუნისტებს სომეხი ერის სასიქადულო შვილის აკადემიკოს დემირჩიანის ოჯახში, როცა იგი მწერალთა კავშირიდან გარიცხეს.

ბატონებო, დროა მოვეგოთ გონს. შევხედოთ მოვლენებს რეალურად.

**კარლო დავლიანიძე**



ილარიონ ბაევის ფოტო

# მიწა ჩვენი...

ჯემალ დავლიანიძე

„ვიცი შენი საქმეები, შენი შრომა და შენი მოთმინება, და ისიც, რომ არ შეგიძლია ბოროტთა ატანა... და გაქვს მოთმინება, და (ბევრი) გადაიტანე ჩემი სახელის გულისათვის და არ დაიქანცე“. (იოანეს გამოცხადება 2.2–3).

განცდათა გორგალი მიმოდის ჩვენს მიწაზე. განგებას ჩვენი სამშობლო თითქოსდა ჭირთათმენათა საგამოცდო არემარედ უქცევია. ქართველის ყოველ დღეს, ოდითგანვე, დარდისფერი მზის სხივები დასცემია. მტერი გვყავდა მუდამ: „ყოველ დროს, ყოველთვის, ყოველგან!“ ...„მტერი— ცოცხალი! მტერი — უსულო! და, სასოწარკვეთას ჩვენსას, მხოლოდ ერთით ვიქარწყლებთ: „ვინც მე მიყვარს, მათ ვამხილებ და ვწვრთნი. მაშ უშურე და მოინანიე. აი, ვდგავარ კართან და ვაკაკუნებ. თუ ვინმე მოისმენს ჩემს ხმას და გააღებს კარს, შევალ მასთან; მე მასთან ვივახშმებ და ის ჩემთან. ვინც გაიმარჯვებს, მივცემ დაჯდეს ჩემთან, ჩემს ტახტზე, ისევე, როგორც მე გავიმარჯვე და დავჯექი ჩემს მამასთან მის ტახტზე (გამოცხ. 3. 19–21).

განცდათა გორგალი... გარეთ მტერი ყოველი მხრიდან... შიგნით მტერი აურაცხელი... შურის ორღობეები... ღალატის ქამანდები... განდიდების სურვილთა ქარავნები... ზვავიანი ზამთრები... დამეწყრილი სოფლები... მოგლეჯილი მდელოები... ღვარცოფიანი გაზაფხულები... გარდაცვლილ ყაყაჩოთა მეწამული მდინარეები... სეტყვიანი ზაფხული... ნახევრად მკვდარი შემოდგომა... დარეგვილი ზვრები... გახლეჩილი მიწა... შეძრული სოფლები... დანგრეული ტაძრები... გაცამტვერებული სახლები... ნანგრევებში მოყოლილი ბალღები... ცრემლიანი მოხუცები... ცოცხლად დამწვარი ბიჭები... ცხენის ძუაზე მიბმული ვაჟკაცები...

გაუძელ, სულო! გაუძელ გულო! გაუძელ ქართველო!

უნდა გავუძლოთ! არ უნდა დავეცეთ! ვერ უნდა დაგვაჩოქონ. სამათხოვროდ ხელი არ უნდა გავუწოდოთ! უნდა მოვითმინოთ! უნდა მოვიკლოთ! ხელი უნდა გამოვიღოთ! უნდა ვიშრომოთ! უნდა ვიფხიზლოთ! შიმშილით სული არ უნდა ამოვიხადოთ! ჩვენი სარჩო ჩვენვე უნდა მოვიპოვოთ!

ლუკმა-პური რომ არ შემოგვაკლდეს, ჩვენზეც ბევრი რამაა დამოკიდებული... მხოლოდ იმის ყვირილი: მაღაზიებში აღარაფერიაო, — არავის არაფერს არ უშველის... ამასწინათ, ჩემს დედულეთში, კასპის რაიონში, სოფელ გარიყულაში ვიყავი. ბიძაჩემი დილაუთენია წავიდა პურზე და შუადღისას ხელცარიელი, გულგასენებული მობრუნდა, — ვერ ვიშოვნე, არ შემხვდა... პური ვერ იშოვნა... ჩავსხედით ავტომანქანაში, ჩავედით მეტეხში, — ვერ ვიშოვეთ პური... გავედით კასპში, — ვერ ვიყიდეთ... წავედით გორში და, რის ვაი-ვაგლახით შევიძინეთ. დავბრუნდით შინ გაწვალებულები და ნირწამხდარნი... იქვე, იასამნების ჩრდილში ჩამოვსხედით. მცირე ხანს ჩუმად ვისხედით. მერე, უცბად, ბიძაჩემმა ხელი გაჰკრა პატარა კოკურას, წამოხტა, ძველ სათონესთან მიირბინა, ჩამომპალი კარი გამოგლიჯა და აყვირდა: „მაშ, ღირსები არა ვართ, რაც მოგვდის? მაშ, დედაჩემი რომ ახლა ცოცხალი იყოს, ამ ორ კილო პურზე მთელ დღეს დავკარგავდით? აჰა, მოდი და ჩახედე ამ თონესა, აქ არ გაიზარდე? ბიჭო, არ გახსოვს რა პურს ვაცხობდით? მართლა რა ჯანდაბა მოგვივიდა, ეხე რამ გაგვაზარმაცა? მაშ, არა ვართ ღირსები შიმშილით რომ ამოვწყდეთ? აღარა ქვარგზვართ, რაც რამე დაგვმართნია, ნახევარიც აღარ არის კაცო ჩვენი ბრალი?!“.

ძლივს დავამშვიდე ბიძაჩემი, ვეღარა 'და-ვეღარ' მოისვენა, ერთი ჩაილაპარაკა — ვგონებ, ძალიან ნაადრევად ვიკრებთ გულხელსო, — მითხრა, თოხს წაავლო ხელი და სახლის უკან, ურწყავი ვენახისკენ წავიდა...

გაზევებული ვიჯექი იასამნების ჩრდილში. მიწას, ჩვენს მიწას ჩავცქეროდი და თავში არეული ნაკადი მიტრიალებდა ყოველი იმ უბედურებისა, რაც ჩემს ქვეყანას დასტყდომია თავზე... გარეთ მტერი... შიგნით მტერი... მოლოდინი... გაურკვევლობა... შური... ღალატი... სიცივე... შიმშილი...

მაღაზიები ცარიელი... რიგები პურზე... ცეცხლწაკიდებული ბაზრები... სიძვირე... ელექტროენერგიის სიმცირე... ჭორი... ცილისწამება... სულმოკლეობა... ვაი და ვიში... არეული ზეცა... დამუხტული გარემო... გასაპობად შემზადებული მიწა... გახლეჩილი გუმბათები ეკლესიებისა... დღე-დღეზე რუსის ჯარის შემოტევის ლოდინი... მტერი შიგნით... მტერი გარეთ... მტერი ირგვლივ...

რასაც ავადსახსენებელი და უხსენებელი გვაკლებს, შინაური მორიელები გვიმეტებენ... მიჰყავთ და მიაქვთ სხვის შრომით შეძენილი ავტომანქანები, ავეჯი, სამკაულები, ვიდეომაგნიტოფონები, საბურავები, ტელევიზორები, ფული, ტანსაცმელი... უკვე გაჩნდნენ ქათმების, ინდაურების, კომპოტების, ტყემლის, საწებლის, მწნილის, ტომატის, ლორის, პირუტყვის ქურდები... მიაქვთ ყველაფერი, რასაც მოიხელებენ: იპარავენ ცოცხალ ადამიანებს. ტელევიზორის ეკრანზე მოჩანან დამწუხრებული სახეები — ეძებენ, თხოულობენ, გემუდარებიან! სჭირდებათ წამალი, სისხლი... ვიღაც კარიერისტთა ჯოგი და ხროვა დაძრწის, სულსა და გულს უფორიაქებენ ისედაც გატანჯულ ხალხს! უღირსნი ცდილობენ ღირსეულობას და მოდის ცილისწამებათა ნაკადულები... უვიცები, უწიგნურები, ბნელები, გახრწნილები ერთიანდებიან და ბოროტების სიკეთედ მოჩვენებას ცდილობენ...

და, ყოველივე ეს, ჩვენთვის, ქართველებისათვის, — არც პირველია და... ღმერთო შეგვიწყალე, ალბათ და სამწუხაროდ, არც უკანასკნელი...

●

მიწა ჩვენი!.. ოდესღაც გაჩეხილი ახოები. დათესილი ხორბალი, ქერი, შვრია, უგრეხელი, სიმინდი... ამჟამად კი, გამქრალან ძველი კიდობნები პირნახულისა. — ახოებზე ტყეებს გადაუვლიათ. მთელი საქართველო, — ქვეყანა ჩვენი, ყურძნის, ჩაის და ხილის გუბერნიად გვაქციეს. მოგვცეს გეგმა-ვალდებულებანი, სოციალისტური თუ შემხვედრი გეგმები... ასე იწყეს ჩვენი სასიცოცხლო და უმთავრესი ძარღვის გადაკეტვა. და აჰა, დღეს, როცა საქმე-საქმეზე მიდგა, ნათლად ვხედავთ — ვრჩებით უმთავრესის — მარცვლეულის გარეშე. გვაქვს ვაშლი, მსხალი, ყურძენი, ჩაი, მაგრამ აღარაა ხორბალი, ქერი, სიმინდი, „პური არსობისა“ ხელიდან გამოგვაცალეს, წაგვგლიჯეს... შორს იყო გამიზნული ასპიტის გეგმა. მისი ყოველი ნაბიჯი, ამ მხრივ, მუდამ გეგმაზომიერი გახლდათ... ასე ჩამოაყალიბეს ავტონომიები, ასე დაგვტოვეს უმარცვლეულოდ, რომლის გარეშეც აღარ არის ნამჯა, ბზე, კომბინირებული საკვები. მაშასადამე, ამის გამო შიმშილობს საქონელი და ფრინველი. როცა საქონელი და ფრინველი შიმშილობს, იძულებული ხარ დაკლა და გაყიდო. ამას იძულებითი დაკვლა-განიავება ჰქვია. ამის შედეგი კი ის გახლავთ, რომ რამდენიმე ათეული წელიწადი გვექნება ხერხემალი გადამტვრეული და შიმშილის პირას თუ არა, სხვისი ხელის შემყურე კი ვიქნებით... ყოველივე ამას რომ ჩაუფიქრდები კაცი, არ შეიძლება გულზე არ შემოგეყაროს და არ შეჰყვირო: ხალხო, ვინც აქამდე მიიყვანა შენი ქვეყანა, განა არ არის ანათემაზე გადასაცემი? განა, ამგვარ მეზობელთან თუ შინაურთან შერიგება შეიძლება? მაგრამ... აი, სწორედ „ამ მაგრამშია“ საქმე! ამ კერპთაყვანისმცემლებმა და ულმერთოებმა თვით ქართველ ადამიანსაც მოუწამლეს ტანი და თავი. მრავალს და მრავალს წაართვეს უნარი თვითგადარჩენისა, მარტოდ ცხოვრებისა, თვითშენახვისა, დამოუკიდებლობისა!.. „ურუსეთოდ ვერ ვიცხოვრებთო, ვერა!“ — გაისმის გონებამოწამლულთა შეძახილები.

●

ნაძალადევში, მეტროსთან, ერთ-ერთ გორაკზე მამა-პაპის მიერ აშენებული ძველი სახლი გვაქვს. ეზოში რა აღარ ხარობს: ვაზი, ნუში, ყოლო, კომში, ჰერამი, ლეღვი, ალუბალი, ტყემალი, ჰანჭური, თუთა, ქლიავი, ხურმა, კაკალი, ბროწეული, შინდი.. იმდენი მოგვდის, საჭმელად გვყოფნის, მურაბასა და კომპოტსაც ვაკეთებთ... წინათ ამაზე არც ვფიქრობდი. ბაღს ვუვლიდი იმიტომ, რომ ლამაზი ყოფილიყო, მომსვლელი გამეხარებინა... ვუვლიდი იმიტომ, რომ სოფლად გავიზარდე, ვიცოდი, შემეძლო და მიყვარდა კიდეც მოვლა... მიწა ბავშვობიდანვე შემაყვარა პაპაჩემმა. შეიცვალა დრო და ახლა ის ზრუნვა-პატრონობა ერთი-ორად დამიფასდა. — თუ წინათ ხილს პირწმინდად არ ვკრეფდით, ზედ ვატოვებდით, სადღეისოდ ერთი ნაყოფიც კი არ დაიკარგება... ბაზარს ცეცხლი უკიდია და რადგან ასეა, — ბაღ-ვენახს, რაღა თქმა უნდა, უფრო მოვუვლით... დღეს უკვე ხშირად გაიგონებთ: მიწა მოგვცენ და ჩვენ ვიცითო! არადა, სოფლიდან ქალაქისკენ ადამიანთა გაუთავებელმა სწრაფვა-დინებამ რომ კინაღამ დაღუპვის კარზე მოგვიყვანა, ხომ ნათელია? აბა გაიხედ-გამოიხედეთ, — სულ ახლოს, ყურის ძირში, მეზობლად, ირგვლივ, როგორ წვალობენ და ეწამებიან გუშინ თუ გუშინწინ სოფლებიდან ჩამოსული ოჯახები, ადამიანები. თან, განა მათ ცხოვრებას ცხოვრება ჰქვია? მრავალს უკვე გაუვლია მდგმურობა, ხელშეკრულებით იძულებითი სამსახური... ჯერ, მხოლოდ იმის გამო, რომ თბილისში ჩაწერილიყვნენ და „გაქალაქებულიყვნენ“, სად აღარ იმუშავეს... საკანალიზაციო სისტემაში, გვირაბებში, ქარხნებში — მჭვარტლში, მტვერში! იმის თქმა კი არ გვინდა, — ამ დაწესებულებებში მუშაობა საძრახისიაო. არა, ბატონებო! საძრახისი სხვა რამაა, — როცა გულით და სულით მიწის კაცი, ნაღდი მიწის მუშა, ნამდვილი გლეხი, — ვაზის მომვლელი, — მევენახე, მებაღე ქალაქში ჩაწერის გამო რომ მეტალურგიულ ქარხანაში იხარშავს თავს... თან მდგმურადაა. ამ დროს კი, სოფლად, მისი მოხუცი მშობლები შრომობენ. შრომობენ იქ, სადაც მისი შვილებიც უნდა იყვნენ... მერე რა ხდება? მერე და მერე როგორ იყო? მერე, ჩემო ბატონებო, გაზაფხულზე არა, ზაფხულში ჰა და ჰა, და შემოდგომის დამდეგიდან სოფლისკენ მიუწევთ გული! რატომ მაინც და მაინც შემოდგომიდან? განა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძნელია? განა გლეხის ბაღ-ვენახი, მარანი, სახლ-კარი, შემოდგომით არ ჰხარობს? აბა, გადით იმ დროს ქალაქგარეთ, გზის პირას, პარასკევ საღამოს საკუთარ ავტომანქანათა გრძელი ჯაჭვი სოფლებისკენ როგორ მიეშურება! ამ დღით საგარეუბნო მატარებლებშიც ტევა არაა! ვისაც როგორ მოუხდება, ისე მიილტვის სოფლისკენ... კვირა საღამოს კი მეორდება იგივე — კვლავ ავტომანქანათა გრძელი ჯაჭვი, კვლავ გადატვირთული ვაგონები, ოღონდ ერთი განსხვავებით, — ახლა უკვე სოფლებიდან ქალაქისკენ მოეშურებიან: ღვინით, ჯაგნებ-აკიდოებით, ფელამუშით, ჩურჩხელებით, ბადაგით, ხილით დატვირთულნი... ასე გრძელდება წლიდან წლამდე! და არის მშობლების ჩუმი წუხილი, ხანდისხან კი მსუბუქი ლანძღვა-გაჯავრება: თქვე შობელძაღლებო, სულ რომ წალებაზე გიჭირავთ თვალი, ერთი აქეთაც ჩამოიტანეთ, რამე, ანდა სულაც ჩამოდით, აქ იცხოვრეთ, იმუშავეთ და გექნებათო! მართლაც, შეავლეთ თვალი, მავანსა და მავანს სოფლად ორსართულიანი სახლები წამოუჭიმიათ, თვითონ კი მდგმურად დგანან ქალაქად და მოჯამაგირეობაში კაპიკებს ღებულობენ! სოფლად კი ტრაბახობენ — ქალაქელები ვართო...

თურმე შიმშილის მოახლოება ყოფილა საჭირო, რომ ჩვენ კაცს თვალი აეხილოდა. მრავალი უკვე მიხვდა, რომ სოფელს ზურგს ვერ შეაქცევს. კაცმა რომ თქვა, მაშ სირცხვილი არ არის, სოფლელ კაცს პური, ყველი, კარაქი, კვერცხი, საჭმელი ქალაქიდან მიგქონდეს? შინ ძროხა გყავდეს და ყველ-კარაქს ქალაქში ან მაღაზიაში ჰყიდულობდე? თანაც, უკმაყოფილებას თესავდე — ხომ ხედავთ, რა დრო მოვიდა, — ყველი, ხორცი და კარაქი აღარ არისო! მაშ, სირცხვილით არ უნდა იწვოდეს ამისი მთქმელი და ასე მაცხოვრებელი? და, აჰა, ეს დროც მოვიდა! ახლა რაღა ვქნათ? ბოსელში ორი ძროხა გყავდეს და შვილებს თუ შვილიშვილებს კარაქი და ყველი არ ჰქონდეთ, სად უნდა გამოჰყო თავი კაცმა?

რა თქმა უნდა, ყოველივე თავისით არა ცვივა და არ მზადდება. ყოველივეს შრომა სჭირდება და რაც მთავარია, მიწაა მისახედი: ისევ და ისევ მიწა ჩვენი!.. მიწა კი მხოლოდ იმას უნდა მიეცეს, ვისაც შრომა უყვარს და ვინც მას შვილივით მოუვლის. თვითონ მიწასაც, თავის მხრივ ყურადღება და კაცის მარჯვენა უყვარს. არ მოუვლი? მიაგდებ? ისიც გაყამირდება... წმინდა გიორგის ხატში რომ ცხვარს ავაბღავლებთ ხოლმე, სუფრას რომ გავშლით, ბრტყელ-ბრტყელ სადღეგრძელოებს რომ ვამბობთ, საქართველოს რომ ვადღეგრძელებთ, ეს ეყოფა ჩვენს სამშობლოს? ამითი მოიხვნება, დაითესება, იხარებს და დამწიფდება?

აჰა, ვზივარ იასამნებთან, ჩემს სოფელში, კასპის რაიონის სოფელ გარიყულაში, სადაც დავიბადე და გავიზარდე. წელან პურის საშოვნელად თითქმის მთელი ქართლი შემოვიარეთ... პაპისეულ სახლკარს შევცქერი. არ მოსცილდა ბიძაჩემი აქაურობას, არ მიატოვა დანატოვარი, იწვალა, იშრომა და... აბა, შევიდეთ მის სახლში, რაღა არ არის...

ჩვენს სოფელსა და კავთისხევს შორის წინათ ტრიალი მინდვრები იყო და მხოლოდ მარცვლეული ითესებოდა. მერე, დათვის ბუნაგიდან მოვიდა თურმე ბრძანება, მთელი საქართველო ბაღ-ვენახად უნდა ვაქციოთო, თქვენზე ვზრუნავთო. თავისთავად, განა რა იყო ამაში ცუდი? ქვეყანა რომ ბაღვენახად გიქციონ, განა კაცს არ უნდა გაეხარდეს? მაგრამ... ფაქტიურად უპირნახულოდ დაგვტოვეს. ისეთი კვანტი გამოგვდეს, გვერდებმა ამ ბოლო წლებში დაგვიწყო ტკივილი და ტეხვა. იმას ვამბობდი, ჩემს სოფელსა და კავთისხევს შორის მდებარე კოდაზე, — სისხლის გორას, საგაჭეების, ხვლიკის წყაროს მიდამოებში ხეხილი ჩაყარეს და აზარეს.. ასე ნელ-ნელა, ჩუმად თუ ცხადლივ მოგვისპეს მინდვრები, დაგვტოვეს უპუროდ!.. ერთი რამ ნათელია, სადაც კი მარცვლეული ითესებოდა, სადაც კი ჩვენი წინაპარი კალოს ლეწდა, ისევ უნდა გაილეწოს, კვლავ უნდა დაითესოს ხორბალი, ქერი, შვრია! საქართველო ქართული ხორბლის, ქართული პირნახულის გარეშე არ და ვერ იარსებებს!

მიწა ჩვენი... ნატანჯი... ნაწამები... სისხლით მორწყულ-გაჟღენთილი! ცვდებიან თუ არა სიტყვები? განა ჭეშმარიტება ოდესმე გაცვდება? რამდენჯერაც გინდა გაიმეორე: „აი, ის მოდის ღრუბლებით და დაინახავს მას ყოველი თვალი, ისინიც, რომელთაც განგმირეს იგი, აქვითინდებიან მის წინაშე დედამიწის ყოველი ტომი, დიახ, ამინ!“. (გამოცხადება 1.7) ეს უკვე მარადისობაა!

ქართველი კაცი ვარ და ვიცი, სახარებაში თქმული მრავალი ჭეშმარიტება თუ საიდუმლოება ჩემს ქვეყანას ეხება აუცილებლად. სწორედ ამ მარადიულ ცხოვრებისეულ ხეზეა ამოჩუქურთმებული სახელწოდება ჩემი ქვეყნისა და ზარის რეკვას მოაქვს უკვდავი ნაკადულების ხმაური: „ვისაც ყური აქვს, ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს: ვინც გაიმარჯვებს, მივცემ საჭმელს სიცოცხლის ხისაგან, რომელიც ღმერთის სამოთხეშია.“ (გამოცხ. 2. 7.).

საქართველო ეწამა. საქართველოს ჯვარი აჰკიდეს და გოლგოთას შეუყენეს. საქართველო აწამეს. საქართველოს წითელი პარასკევი გავლილია და საქართველო აღსდგა... ახლა აღორძინებას, შრომას, მიწას უნდა მივხედოთ. არავითარი სხვისი იმედი. ჩვენ არა ერთხელ დაგვარწმუნა ჩვენმა წარსულმა, რომ მხოლოდ ღვთის ანაბარად ვართ... მიწას უნდა მივხედოთ, ხელი უნდა გამოვიღოთ, სხეულში ოდესღაც ჩაქირული შრომის სიყვარულის გაფანტული ყვავილები ისევ ერთ კონად უნდა შევკრათ... მაინც, საინტერესოა, როდემდე ეყოფათ ათასნაირი ხერხით ნაშოვნი ეს ძალაგამოლეული ფული? ჯერჯერობით გლეხს კიდევ გამოაქვს ბაზარზე პირნახული, ხილი, ხორცი, ლობიო... აი, როცა ეს ფული ისე გაუფასურდება, რომ გლეხი პროდუქტს აღარ გაჰყიდის, მერე რაღა ვქნათ? არადა, ჯერჯერობით საქმე იქით მიდის — სულ მალე, ადვილად შესაძლებელია ერთი ტომარა ფულით ერთი ნაზუქი იყიდო, ან ერთი კილო ლობიო...

ცხოვრებამ, გაჭირვებამ თვითონ მოიტანა საძებნისი, როგორ მოვიქცეთ, საით წავიდეთ... გიყვარდეს, ჩინებულია ფულით სარდაფებსავსე, ახალი დროით შეწუხებული, ძველის მაქებარი კაცის თავდაჯერებული ძახილი: ქართველი კაცი შიმშილით არ მოკვდებაო, არც არავინ ფიქრობს ასე. ღმერთმა დაგვიფაროს ამნაირი სირცხვილისაგან, მაგრამ განგაშის ზარის შემოკვრა წინასწარ სჯობს. ეს არც შესაშინებელია და არც სათაკილო, — უბრალოდ გაფრთხილებაა, რომ ოქროს ფასიანი დრო ხელიდან არ წაგვივიდეს. ერთი წამიც არ უნდა დაიკარგოს... ისე კი შიმშილისა და სირცხვილისა, ძირითადად, ამღვრეულ წყალში თევზის უკვე დამჭერ ადამიანებს არ ეშინიათ. ფული კი, ვის ხელშიცაა, ხალხმა ყველაზე უკეთესად იცის, ვინც არ იცოდა, ფულის გამოცვლის დროს გაიგო, ნახეს, როგორ შეფუცხუნებული დააქროლებდნენ მილიონერები ტომრებს... სამწუხარო ის არის, რომ ხედავს მშრომელი კაცი: მავანსა და მავანს არასოდეს უმუშავია და განცხრომაში კი იხრჩობა. აქეთ კვერცხისა და კარაქის ფული არ მოეძევებათ, იქით კი ნახევარმილიონიან ავტომანქანებს იცვლიან... თან ვინ? ვისაც შრომა შავი ჭირივით სძაგდა და სძაგს. ამგვარი ხორცმეტები სულ საყდრების, ეკლესიების კარზე არიან. ვითომ ღმერთი სწამთ, სანთლებს ანთებენ და საყდრებს ფულს სწირავენ, არც საკლავს აკლებენ, არც თვითონ იკლებენ; სიყვარულზე, კაცთმოყვარეობაზე, ვაჟკაცობაზე ყველაზე ხშირად ისინი ლაპარაკობენ, სხვებს არიგებენ, სინამდვილეში კი: არც სწამთ, არც უყვართ და არც ვაჟკაცები არიან...

●

ბიძაჩემი გამოჩნდა. თოხი ფრთხილად მიაყუდა კედელზე, გამომხედა და ისევ იასამნებთან რომ დამინახა, გაოცდა, ხელები გადაიბანა, სკამზე ჩამოჯდა, კიდევ ერთხელ ამათვალ-ჩამათვალიერა და თრიალეთის მთებს გახედა. გახედა დარდიანად... ორმოცდაათიან წლებში თრიალეთის მთიულები პირწმინდად გადაასახლეს ამ მიწებიდან. სულ მოჰგავეს, ერთი კაცი აღარ დატოვეს. მიზეზად ის მოუძებნეს, ტყეებს ჩეხავთ და სპობთო. არადა, ჩვენი სოფლის, კასპის რაიონის ახალქალაქის (გარიყულა ზედ არის მიკრული) ბაზარი განთქმული იყო მთელ საქართველოში. ახლაც მახსოვს: მთიულები ჩარდახიანი ურმებით, ხურჯინებგადაკიდებული ცხე-

ნებით, წინგამორეკილი საქონლით ჩამოდიოდნენ შაბათ-კვირას... ყველაფერი ჰქონდათ! ყველაფერი იყო... მერე კი, ვაჟრობას რომ მორჩებოდნენ, მთიელები ბარში ყიდულობდნენ: ღვინოს, ფართალს, შაქარს, ტანსაცმელს... იყო გაცვლა-გამოცვლაც... პაპაჩემი გაბრიელი კალატოზობდა და დურგლობდა. მთელი სიცოცხლე, თრიალეთში გაატარა. სოფელი არ ყოფილა, რომ მისი ნაშენი სახლები არ აშენებულიყო... დღესაც, ნანგრევებად ქცეულ სოფლებში: გოსტიბეში, ჩაჩუბეთში, კაბერში, სამოჯალოში, რკონში, გარგარში, ხათუბარლოში დგანან მისი ატანილი კედლის ნარჩენები... პაპა ბათუმის ომში ნამყოფი კაცი იყო და კოლექტივში ვერაფრით ვერ შეიყვანეს. ამიტომ გაგვიკაფეს ვაზი, გაგვიჩეხეს ვენახი, ჩამოგვართვეს მამა-პაპური კარ-მიდამო, პაპა კი ჯიბრიანად გაურბოდა კოლმეურნეობას და მთიულებს უშენებდა სახლებს, აკეთებდა სამარცვლეებს... ჩვენს ოჯახს არასოდეს აკლდა ყველი, კვერცხი, ერბო, ცხვარი, თხა, ძროხა... მერე კი, ადგნენ კომუნისტები, ეს...(ღმერთო მაპატიე და, კინაღამ შევუკურთხე!).. ადგნენ და თრიალეთის მთიულებს წამოუსვეს ხელი, — აქ კარგად ვერ ცხოვრობთ, იქ, დაბლა ბარში უფრო კეთილდღეობაში იქნებითო... ბავშვი ვიყავი, მაგრამ ნათლად მახსოვს ის საშინელება! სატვირთო ავტომანქანებით ეზიდებოდნენ ბალხს, პირუტყვს, ავეჯს... ასე ამოძირკვეს, თრიალეთის მთიულობა თრიალეთიდან, თავიანთი საცხოვრებლიდან, ადგილის დედიდან! ასე გაალარიბეს და გაალატაკეს შუა ქართლის სიმდიდრე და დოვლათი.. დღესაც ფაქტია: თრიალეთში მდებარე არც ერთი ოხური სოფელი არ გადაუსახლებიათ...

●

ჩემი ფიქრი რაჭისკენ, ჩემი მამულეთისკენ, სოფელ ხხვავისკენ მიჰქრის; იქ 75 წლის მამაჩემია. მიწისძვრისაგან დაქცეულ სახლს დაჰფუსფუსებს. მიწისძვრის ღამესვე ჩავედი... მდინარე კრიხულას პირზე გაკლაკნილი გზა ზვავს ჩაეზერგა — მთელი კვარა ციხე მოუსროლია სტიქიას და ხეობაში ჩამოუზვინია. ქვათაძეების უბნიდან ავბობლდი „ნივით“. ოდესღაც 950 კომლიანი სოფელი ხხვავა, 80 კომლსღა რომ ითვლიდა, დაქცეულა. აქა-იქა მოჩანდა ეზოებში დანთებული კოცონები. ადამიანებს ფიცრებზე ეძინათ.., ჩემს ძაზილზე მამაჩემი და ახლო-მახლო მეზობლები გამოცვივდნენ. მოთქვამდნენ, სტიროდნენ. პირველი კითხვა — შეძახილი, რაც მამაჩემს აღმოხდა ეს იყო: შვილო, ჩქარა გამაგებინე, დაბლა ბარი, დაბლითა ქვეყანა და მიწა გადარჩა თუ არაო... წპრლვნა ჰგონებიათ და მხოლოდ რაჭა გადარჩაო, — ასე უფიქრიათ უილბლოებს... მერე, მამაჩქმმა, ქვეყნის გადარჩენა რომ გაიგო, მხრებში გაიშალა, ამაყად წამიძლვა მარნისკენ... თურმე, მიწისძვრას სახლი რომ მოუსრესია, მამაჩემი მარნისკენ გაქცეულა და ყველა ქვევრისთვის მოუხდია თავი, — შეუმოწმებია, ღვინო ხომ არ გაიპარაო! ვერ უჯობნია ქვევრებისთვის რყევას, ყველა გადარჩენილა... მიწას გადაურჩენია; ხრიკა შეავსო, ნაღვლიანად ჩახედა სხვავის ძელიცხოველის ჩაქ[illegible] ეკლესიის ნანგრევებს და ჩურჩულით თქვა: ვერ შესძლებენ, ღმერთო, ჩვენი მტრები, შენი თავი შეგვაძულონ, იყოს ნება შენიო... ყველა ვიცრემლებოდით და, იყო 30 აპრილის გამთენია, დილის ოთხი საათი... როცა პირველი დანახვისა ჩნდა გათენებისა, ბოლო სადღეგრძელო დაქადნებით თქვა, მამამ: „შვილო, შეიძლება ვინმემ ქე დამძრახოს, მაგრამ დაიმახსოვრე, პირველი სიმღერა სხვავაში მე უნდა ვთქვა!“ და უთქვამს კიდეც...

ესეც ჩვენი გახაძლისია! ესეც ჩვენი შემართებაა! ესეც ჩვენი სიმართლეა!

●

ხენაკის რაიონის სოფელ ხორშში, ჩემმა სიმამრმა საკუთარი ხელით ააშენა სახლი, მოაწყო და აღადგინა მამა-პაპური კარ-მიდამო; ჩაყარა მანდარინი, ფეიხოა, ფორთოხალი, ოჯალეში, თხილი, დაფნა... დადგა წისქვილი, საბძელი, ბოსელი, გაიჩინა თხები, ძროხები, კამეჩები , ღორი, ინდაური, ქათამი... იმჟამინდელ საბჭოთა მეურნეობას არ შეეპუა და ნაოხარი, მიტოვებული, რამდენიმე მიწის ნაკვეთი შემორაგვა. ერთ ჰექტარზე სიმინდი დათესა, ორ ჰექტრამდე სახლზე მოჯრილი ტყე შემოაკავა, მავთულხლართი შემოავლო მოზარდეულის ფეხზე დასაყენებლად, შესამაგრებლად, საძოვრად და, ასე თუ ისე, მაინცააწყო ცხოვრება იმ საშინელ დროს, იმ საპყრობილეში... მალულად თუ აშკარად; წვალებითა თუ დალხენით იყენებდა და ამუშავებდა მიწას: არა ჰქნა და არ მოშორდა, ჩააქვავდა, ჩააკვდა და ჩაერწყა... უჩიოდნენ. ცალყბად კიდეც უშლიდნენ, მაგრამ, ღმერთის შეწევნით, ხელმძღვანელობაში აქა-იქ, მაინც იყვნენ კეთილი ადამიანები, თვალქბს რომ ხუჭავდნენ „მიწის უკანონოდ მითვისება-გამოყენებაზე.“ თუმცა, მეტი რა გზა ჰქონდათ? ყოველი ნაკვეთი ისეთ ადგილებში იყო, სადაც გაუვალი ლაფია, წებოვანი, თიხნარი ტალახია, უგზოობაა და გაუვალობა... კოლმეურნეობა თუ საბჭოთა მეურნეობა თვითონ ვერ იყენებდა უგზოობის გამო, გზის გაყვანა არ სურდათ, მაშასადამე მიწის ფართობიც აუთვისებელი რჩებოდა... ამ ბოლო წლებშიც ასეთი იყო, გზას არც ჩვენ ვაკეთებდით, რომ მიწის ფართობი გამოგვეყენებინა...

წავიდა იმ ქვეყანას ცხონებული და დარჩა ოცდაათი თხა, თვრამეტი სული კამეჩი და ძროხა, მანდარინის, ფეიხოას პლანტაცია, ერთი ჰექტარი სახნავ-სათესი, ხილის ბაღი, ეზო... დანატოვარს შეიძლება ველარაფერი მიუმატო, მაგრამ როცა ველარ შეინარჩუნებ, ალბათ არა ხარ კარგი კაცი... ერთი ხანობა შევკრთი; მერე მივდექ-მოვდექი, — პირველ ზამთარს ყიზლარიდან ჩამოვიტანე თივა, ვიყიდე კომბინირებული საკვები, მოცდენილ მიწაზე ხოიო დავთესე... ხელი წამაშველეს მამაჩემმა, მეზობლებმა... პირველ ზამთარს როგორც იქნა დავუძვერი ხელიდან... მეორე ზამთარს უფრო მომზადებული შევხვდი: ახლა უკვე თივა ქართლიდან ჩამოვიტანე, ნამჯა ადგილობრივ ვიყიდე, ციკნები დავყიდეთ, დაფნა ავჭერით, ჩავაბარეთ, მანდარინი გავყიდეთ და პირველ რიგში დიზელის საწვავზე გავაკეთე გათბობა, რომ ცულითა და ხერხით არ მერბინა ტყეში... 200 ძირი მანდარინის ნერგი ჩავყარეთ... სათიბელი და მომცრო ტრაქტორი რომ მქონდეს, თივას ადგილზე დავამზადებდი, მაგრამ ჯერჯერობით ვერსად ვიშოვნე...

დალოცვილი მიწაა ჩვენი... ოღონდაც ჩახძახე რამე და ერთი-ორად ამოგძახებს...

დღეს სხვა დროა, შავბნელი ხანა თანდათან გვშორდება. წინ, თავისუფლებისაკენ მივეშურებით... მალე მივიღებთ ნანატრ მიწის კანონს, რომელიც საწინდარი იქნება ქართველის უდიდესი სიხარულისა... და, რეკს ზეციური ზარი: „ვინც გაიმარჯვებს, ჩაიცვამს თეთრ სამოსელს და მის სახელს არ ამოვშლი სიცოცხლის წიგნიდან, და ვაღიარებ მის სახელს ჩემი მამის ანგელოზების წინაშე, ვისაც ყური აქვს ისმინოს, რას ეუბნება სული ეკლესიებს“ (გამოცხ. 3.5-6). ჭეშმარიტად, ამინ.



# არჩევნები აფხაზეთში

როგორც გაუწყეთ, 29 სექტემბერს დანიშნული იყო აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები (იხ. „ლიტერატურული საქართველო“, 24 სექტემბერი). შეგახსენებთ, რომ ორმხრივი შეთანხმების შედეგად მიღებულ იქნა კანონები, რომელთა ძალით წინასწარ განისაზღვრა ავტონომიური რესპუბლიკის მომავალი პარლამენტის ეროვნული შემადგენლობა: 28 აფხაზი, 26 ქართველი, 11 დეპუტატი კი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი. რასაკვირველია, და ამას არავინ მალავდა, რომ ორივე მხარე ცდილობდა ამ 11 კაცში „გაეყვანა“ თავისი მხარდამჭერი.

სულ რეგისტრაციაში გატარდა 241 დეპუტატობის კანდიდატი. დიდი კონკურენცია იყო 26 ქართულ საარჩევნო ოლქში, სადაც, საშუალოდ, თითოეულ ადგილზე 4-5 დეპუტატობის კანდიდატი იყრიდა კენჭს. აფხაზურ ოლქებში კი საშუალოდ, ერთ ადგილზე 2 კაცი იბრძოდა დეპუტატის მანდატისათვის. იყო ისეთი ოლქებიც, სადაც არ ჰყავდათ ალტერნატიული კანდიდატები; კერძოდ, № 40 საარჩევნო ოლქში (გუდაუთის რაიონი) იყო ერთი კანდიდატი — აფხაზეთის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვლადისლავ არძინბა. № 45 საარჩევნო ოლქშიც (გუდაუთის რაიონი) ერთი კანდიდატი იყო — აფხაზეთის სახალხო ფორუმის „აიდგილარას“ თავმჯდომარე სერგეი შამბა, მის მოადგილეს — ზურაბ აჩბასაც არ ჰყავდა მოწინააღმდეგე № 56 საარჩევნო ოლქში (ოჩამჩირის რაიონი).

დარჩენილ 11 საარჩევნო ოლქში, სადაც კენჭს იყრიდნენ მხოლოდ სხვადასხვა ეროვნების (არააფხაზი და არაქართველი) წარმომადგენლები დეპუტატის ადგილისათვის იბრძოდა საშუალოდ 3 კანდიდატი.

მკითხველებს, ალბათ, აინტერესებთ, იყო თუ არა მცდელობა არჩევნების ბოიკოტისა რომელიმე პარტიის, ან ორგანიზაციის მხრიდან. აფხაზურმა ორგანიზაციებმა და საზოგადოებამ აქტიური მონაწილეობა მიიღეს წინასაარჩევნო კამპანიაში, აფხაზურ ოლქებში არჩევნების ორგანიზებულ ჩატარებაში. ადგილობრივ პრესასა და რადიო-ტელევიზიაში არ იყო არც ერთი განცხადება აფხაზურ და რუსულენოვანი საზოგადოების მხრიდან არჩევნების ბოიკოტისა.

ქართულ მოსახლეობასა და საზოგადოებაში კი ერთსულოვნება არ სუფევდა. მისი უმრავლესობა, როგორც აღნიშნავდნენ მეთვალყურეები, მხარს უჭერდა ჰელსინკის კავშირის, ილია მართლის საზოგადოების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია „ლემის“ აფხაზეთის რეგიონალურ ორგანიზაციებს, რომლებმაც ერთობლივ „მიმართვაში ამომრჩევლებისადმი“ (იგი დაიბეჭდა გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“ 28 სექტემბერს) მოუწოდეს მოსახლეობას აქტიური მონაწილეობა მიეღოთ არჩევნებში. ამ მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ „აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს საარჩევნო კანონი წარმოადგენს პირველ ეტაპს პოლიტიკური გზით აფხაზეთში არსებული წინააღმდეგობებისა და პრობლემების მოგვარების გზაზე, რომელიც ითვალისწინებს ქართველთა მხრივ გარკვეულ კომპრომისებს...“

არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე — 25 სექტემბერს გაზეთ „აფხაზეთის ხმაში“ დაიბეჭდა სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოების აფხაზეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარის მალხაზ პატარაიას წერილი, სადაც ნათქვამია, რომ ხსნის საკუთარ კანდიდატურას და მოუწოდებს დეპუტატობის ყველა კანდიდატს და მოსახლეობას უარი განაცხადონ არჩევნებში მონაწილეობაზე და ბოიკოტი გამოუცხადონ „ამ პოლიტიკურ ფარსს“.

გაზეთის ამავე ნომერში დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის საზოგადოების ცხუმ-აფხაზეთის განყოფილების განცხადება, რომელშიც აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნების კანონი შეფასებულია, როგორც „შეუნიღბავი აპარტეიდი“ და აქედან გამომდინარე, მოუწოდა ყველას უარი განაცხადონ არჩევნებში მონაწილეობაზე.

ადგილობრივი მეთვალყურეების აზრით, აფხაზეთის ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა მხარს არ უჭერდა ბოიკოტისაკენ მოწოდებას, რადგან მათი აზრით, ამ ორგანიზაციებს არ ჰქონდათ საკმარისი გავლენა საზოგადოებაში.

ახლა, რაც შეეხება არჩევნებს, იგი ძირითადად ჩატარდა მშვიდობიან, ნორმალურ ატმოსფეროში კანონის უხეში დარღვევებისა და ექსცესების გარეშე. საარჩევნო ოლქებში საარჩევნო კომისიების წევრებთან ერთად იყვნენ ადგილობრივი პარტიებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. მეთვალყურეები ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებიდან „აიდგილარას“ მოწვევით ჩამოვიდნენ. მეთვალყურეთა შორის იყო მოსკოვიდან მოწვეული საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი, სადეპუტატო ჯგუფ „სოიუზის“ ერთ-ერთი წევრი ევგენი კოგანი, რომელიც მოიწვია აქ არსებულმა „რუსული კულტურის“ საზოგადოებამ.

8 ოქტომბერს, სოხუმში, აფხაზეთის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამართა პრესკონფერენცია, რომელზეც აღინიშნა, რომ ჩატარებულმა არჩევნებმა გამოავლინა 38 დეპუტატი. 14 საარჩევნო ოლქში დანიშნულია ხელახალი კენჭისყრა, რადგან ვერცერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო 50 პროცენტზე მეტი. არჩევნების მეორე ტური კანონით უნდა ჩატარდეს 13 ოქტომბერს.

დანარჩენ 13 საარჩევნო ოლქში უნდა გაიმართოს ხელახალი არჩევნები, რადგან აქ გამოცხადდა ამომრჩეველთა 50 პროცენტზე ნაკლები. ამ ოლქებში არჩევნები დანიშნულია 1 დეკემბრისათვის.

ამის შემდეგ ცნობილი გახდება ყველა 65 დეპუტატის ვინაობა.

პრესკონფერენციაზე აღინიშნა, რომ მაღალი იყო ამომრჩეველთა აქტიურობა გუდაუთის რაიონში და ტყვარჩელში, აქ უკვე ცნობილია ყველა დეპუტატი. ამომრჩევლები პასიურნი იყვნენ ქალაქ სოხუმში, გალისა და გულრიფშის რაიონებში.

აფხაზეთის ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვიაჩესლავ ცუგბამ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ამომრჩეველთა პასიურობა, ალბათ, გამოწვეულია იმ პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისით, რომელიც მთელს რესპუბლიკაშია შექმნილი. მან იმედი გამოთქვა, რომ არჩევნების მეორე ტური ჩატარდება უფრო მაღალ დონეზე.

**თენგიზ პაჭკორია.**
სოხუმი, 8 ოქტომბერი



სოხუმი

# ბიუსტს მოვლა უნდა

ხუთ თვეზე მეტი გავიდა, რაც გულრიფშის რაიონის სოფელ მაჭარის შუაგულში — კულტურის რაიონული სახლის გვერდით საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ილია ჭავჭავაძის ბიუსტი.

მოსალოდნელი იყო, რომ გულრიფშელები თვალისჩინივით მოუვლიდნენ ბიუსტის წინამდებარე პატარა სკვერსა და თვითონ ბიუსტს. სამწუხაროდ, ასე არ მოხდა. სკვერში დარგული ყვავილები და მცენარეები გახმა, თავად ბიუსტის კვარცხლბეკი კი დასვრილია. ზოგჯერ სკვერის ტერიტორიაზე თავისუფლად შემოდის... პირუტყვი.

რასაკვირველია, ეს არ მოხდებოდა, რომ ადგილობრივი სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელობას, სასოფლო საბჭოს დეპუტატებსა და რაიონის საზოგადოებას მეტი ყურადღება გამოეჩინა ძეგლისადმი.

ვფიქრობთ, რომ ისინი ვისაც ეს კრიტიკული შენიშვნა ეხება, ყველაფერს იღონებენ მდგომარეობის გამოსასწორებლად. მითუმეტეს, რომ გულრიფშის რაიონისა და სოფელ მაჭარის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ქართველები შეადგენენ.

**თორნიკე მეგრელიძე**
გულრიფში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოთარ შალამბერიძე

# ახალი ლექსები



### მერე რაა, რომ საქართველოა

მერე რაა, რომ საქართველოა
და კიდევ არსად — სხვა
საქართველო? —
 იავე იქცა აქაც ხელობად,
ლამის ერთურთი აქაც გათქერონ!..
როგორ მოხშირდა უცხო ნადური,
როგორ სარსალებს ენა სხვათანი!..
ჩვენ კი მრისხანედ მუშტშემართულნი.
სხვა საქართველო, — ვყვირით, —
სად არი?!

მერე რაა, რომ საქართველოა? —
კი იქედნე დაძრწის ბაღნარშიც?!
იყავი თუნდაც დავით მეოთხე, —
აშველს არ მოგცემს ლანდი
ბალვაშის...
კაუტანლობის შავი ლაქები,
ავარდოში რომ ჯაგნარს შემოშლის, —
წორედ ეს არის სხვა საქართველო
ქვე, სრულიად საქართველოში!..
მაჰსაც წამოსცდა ერთი სიმართლე,
იხვდა ქართლისთვის კუბოს
გამთლელი:
ერარა მტერი ვერ ძლევსო ქართველს,
რომ არ მტრობდესო თვითონ
ქართველი!..

მერე რაა, რომ საქართველოა —
იდგორის გმირი და ნადიმარი? —
აივლის დრო და ჩაისახება
ორლანაშვილი ან შადიმანი!..
ხლაც მჭერდს მინგრევს ბოლმა იმ
დღისა,
ხლაც სირცხვილით მიხურს ყვრიმალი:
ედ ბაზალეთთან ძმათა სისხლის ღვრას
კი მიაძღნენ სვავნი მყივარნი?!

მერე რაა, რომ საქართველოა,
ხარე თავდგმული შოთას წიგნითა? —
კიხეს ვერ ნახავ, — იმერ-ამერში,
რ გაეტეხოს თვისტომს შიგნიდან...
მერე რაა, რომ საქართველოა, —
აიშლი გზისპირ სუფრას ნელიად
და უცებ ჩრდილი თავს წაგადგება,
იხედავ და... კუჭატნელია!..
მერე რაა, რომ საქართველოა? —
ისხლის ცრემლი სწვავს ყელში
გაჩრილი! —
აგისაფრდება სადღაც სიგლახე,
ით წიწამურთან — ბერბიჭაშვილი!..
მერე რაა, რომ საქართველოა? —
ტერიც შინ უზის და მოღალატეც;
ოველ ეკლნართან, ბუჩქთან, ყორესთან
ვად მბრწყინავი თვალი ანათებს...
მერე რაა, რომ საქართველოა —
ვეყანა გამრჯე და მუყაითი? —
აგრამ ხიზნებიც გამოერევა
ოგჯერ ისეთნი, რომ ნუღა იტყვი!..
მერე რაა რომ საქართველოა
ა მაღლა მხედი მაღალთა შორის?! —
ქნებ ეს არის, მართლაც ეს არის,
ხოლოდ ეს არის მიზეზი ყოვლის?!
რადგან შურია ხვედრი რჩეულის
ა შურის გამოც ვრჩებით ეულად!

რა გამოლევსო, თქმულა, მჯობთა მჯობს,
ის მჯობთა მჯობიც გამოლეულა!..

მერე რაა, რომ საქართველოა! —
ბედმა ულმერთოდ გაიმარტვილა...
სულ რომ არ იყოს, ალბათ სიკვდილსაც
იწვნევდა კაცი უფრო ადვილად!..

მაგრამ არის და, სწორედ ამიტომ
თავს ახვევია ყორანთ გუნდები...
საქართველოში მთელი სიცოცხლე
საქართველოსთვის ბრძოლას
ვუნდებით!..

### ტაძარში

სატკივრის გარდა
ამ სალვთო სახლს სხვას რას შევმატებ,
მეც მომაქვს იგი
შობის დღიდან თანდაყოლილი.
აქ, ამ ხატებთან
ჩემი ლანდი დადგა ჩემამდე
გაზავებული
თხელ ლაჟვარდში საკმლის ბოლივით...

შემომეგება
მონათება მარგალიტური,
თითქოს ეს არის,
გაუთავდა სიჩუმე ლოდინს...
რა სიწმინდეა!
ლოცვის ბაღში ვარ გარინდული
და ლეჩაქივით
დამშრიალებს ამინის ტოტი...

შევყურებ თაღებს
აელერებულს ლურჯი ზარებით.
ოჰ, ეს ნაკრძალი!..
ოლარებში საამოდ ბნელა...
კვამლის მარყუჟში
თავგაყოფილს და ზიარებულს
ასე მგონია,
ფეხქვეშ მიწა მეცლება ნელა...

### ნარ-ბანს

რა ვქნა, თუ გული ვერ შეგელია,
ამაოდ მისდევს იმედს გაფრენილს?!
იქ, სადაც შენ ხარ, ყველაფერია,
სადაც შენ არ ხარ, — სულ არაფერი!..

ვისიც გსურს, იყავ მანათობელი,
ვითა ვარსკვლავი ქვეყნად რებული;
მე კი მისთვისაც ვარ მადლობელი,
რომ ვარ უიღბლო შეყვარებული.

სულაც არ ვჩივი, ხალხი რას იტყვის,
ვის მოსწყენია დღე სალაღობო?!
ღმერთმა მაცოცხლოს თუნდაც ასი
დღით,
ოღონდ ასივე შენთან მამყოფოს...

### ...ს ნაბიჯებს აღევნებული ოთხი სტრიქონი

შენ სთქვი, რომ ქინი წამში გამიარს
და მედიდურად ჩემგან წახვედი...
თუკი სიცოცხლე ისეც წამია,
წამიერ გრძნობას რაღად მაყვედრი?!.

### მარტო ვარ...

ვუმაღლი ციონს, თუ რამე შევძელ
(მიწა ოდითვე არ მესათნოვა);
მარტო ვარ, როცა არ ვფიქრობ შენზე,
მაგრამ თუ ვფიქრობ, უფრო მარტო
ვარ.

ვინ ნახავს სრულქმნილ ბედნიერებას?
ნახავს და... შურით იქვე დატორავს...
მარტო ვარ, როცა არ მეწერება,
თუ მეწერება, უფრო მარტო ვარ!..

ასე — დღეების მოვწყდი ქარავანს
და მწარე სევდამ ულვთოდ დამთოვა...
მარტო ვარ, როცა ხალხში არა ვარ!..
და თუ ხალხში ვარ, უფრო მარტო ვარ!..

### რა საჭიროა გადამღერება

ფოთლებს დაბანგულთ ჭკნობის
სიტკბოთი
გამოსალმების კარნავალი აქვთ...
რატომ მანიშნებს ეს ფერმკრთალი
მზეც,
რომ ყველაფერი წარმავალია?!
ვიცი, ბატონო, მიწის ნაღველი!..
ვხედავ, ბატონო, ცაც რავალია!..
რა საჭიროა გადამღერება,
რომ ყველაფერი წარმავალია?!..

### ღმერთმა ქნას...

**1989 წლის 9 აპრილს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის მეორე წლისთავზე.**

აქ, აქ დაეცით, ერთადერთი,
წმინდა ოცნებით!
რა დაგვავიწყებს თქვენს სიმღერებს,
თქვენს ამაყ იერს?!

მთლად საქართველო მოწმე იყო
იმ საოცრების,
ნორჩი სიცოცხლით თვით უძლეველ
სიკვდილს რო სძლიეთ!..

მუშტშემართულნი დღეს ჩვენ
ვდგავართ
იმ დროშების ქვეშ,
იმ სასტიკ დროში თქვენ რომ გეპყრათ
რწმენით, სიფრთხილით;
ღმერთმა ქნას, ქართლის ბედ-იღბალი
მოეწყოს ისე,
ჩვენი სიცოცხლე ღირსი გახდეს
თქვენი სიკვდილის!..

### ქორბუდა

ჩაძინებული, მუხის ძირას,
კუდიგორასთან,
ქსელში გამხვია სიზმრის ობობამ:
დაჭრილ ქორბუდას დამშეული გუნდი
ყორანთა
შავ ჩარჩოსავით შემოწყობოდა...

მერე მფარველი ანგელოსი ციდან
დაეშვა
ფრთით მოუშუშა ხარლაღს ჭრილობა
და ქორბუდამაც გაზაფხულის
სინარნარეში
კვლავ დაიმშვენა მხარგაშლილოსა!..

### თუ ჟამმა დაჰკრა...

გინდ უკვდავებას გადაეტოლე,
მაინც სულს გვხდიან ღვარძლნი
დროთანი,
დღეს არც ცოტნეა და არც თევდორე,
არსად შეგხვდება არც იოთამი.

მაგრამ არ გვმართებს მაინც ოტება,
ნურც ვის ჰგონია—სისხლი შემდორეს...
თუ ჟამმა დაჰკრა, ყველა ცოტნეა,
იოთამი და, გინდა თევდორე.

### კაცი მოვიდა სახლის საყიდლად

მთელი დღე ჟინჟლავს მუხათწყაროში.
მთელი დღე ბორგავს ჩემი ბუხარი.
ცეცხლი მხურვალე ფიქრებს წამოშლის,
ბუხარს თავისი აქვს საწუხარი...

გამომახედა გარეთ ძაღლმა.
სტუმარი იქცა ლამის ბადაგად:
მუხათწყაროში სახლის საყიდლად
თურმე ანდეზე დადის კარდაკარ.

თქვენ შეცდით-მეთქი, ჩემო ბატონო,
რა საჭიროა იწილბიწილო?!
როგორ გავყიდი ჩემ სიმარტოვეს,
ან უკეთესი რა შევიძინო?!

### გაქცევა

რამ მოგიყვანა აქ, ამ ჩირგვებთან?
ფეხდაფეხ დაგდევს დღე ცანათელი.
ო, სიმარტოვევ, ვინ იფიქრებდა,
თუ იქნებოდი [illegible]ანატრელი?!

ხმაურიან და ბინძურ სართულებს
მიჯობს ფოთლების მწვანე კარავი,
სადაც სიჩუმე თავს იკატუნებს
და სიჩუმეში დადის... არავინ.

თავზე ტყისფერი ქოლგა გახურავს
და ტყის ნამივით სივრცეა სუფთა.
ასე მგონია, რომ გაზაფხულმა
შენი სახელი ამოისუნთქა...

არავინ ფიქრობს აქ შენს აკლებას,
შენ კი შორიდან სუყველა გიყვარს...
ო, რაოდენი სისაძაგლეა
ადამიანთა ღიმილის მიღმა!..



ილარიონ ბაევის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მერაბ შათირიშვილი

# მაუზერი

შემოდგომის მზიანი დღე იდგა. ბატონ ბაგრატს არამც და არამც არ უნდოდა სახლიდან გასვლა. მაგრამ ნაშუადღევს ამ ოთხმოცდაშვიდი წლის კაცს შესანიშნავი ამინდის ეშმა შეუჩნდა და ქუჩაში გასეირნების სურვილით აალუნდრუკა. სიგარეტიც ულეველი ღრის გამოელია.

ბატონობით იმიტომ მოვიხსენიე, რომ მთელი ვერის უბანი ასე მიმართავდა მას. იგი თავისი ოლიმპიური სიმშვიდით, მოზომილი საუბრითა და დარბაისლური ქცევით ყველას პატივისცემას იმსახურებდა, განურჩევლად ასაკისა. მუზახავით მაგარიაო, ამბობდნენ მასზე.

უკანასკნელ წლებში, რაც საქართველოში ეროვნული მოძრაობა აზვირთდა, მიტინგებზე ქაქუცა ჩოლოყაშვილის სურათები სიამაყის გრძნობით აფრიალდა, ბატონი ბაგრატიც შესამჩნევად გამოიცვალა. ადრინდელთან შედარებით მზნე გამომეტყველება დაეტყო, დიდი ხნის მივიწყებული ქართული ჩოხაც გაიხსენა, კიდლიდან ჩამოხსნა და ტანთ შეიმოსა. წელზე ვერცხლის ქამარ-ხანჯალი შემოირტყა და ასე დაიწყო თბილისის ქუჩებში სიარული.

ბევრ მის ნაცნობს თითქოს ესლაღა აეხილა თვალი. მზრებში გამართულ, ჩოხა-ახალუხსა და აზიურებში გამოწკეპილ მოხუცს რომ დალანდავდნენ, მისდაუნებურად ჩერდებოდნენ, თავს ძალას ატანდნენ და ბატონ ბაგრატზე ოდესღაც ყურმოკრულ ლეგენდების გახსენებას ცდილობდნენ. ზოგმა მშობლისგან, ზოგმა კი პაპისგან, და ვინ კიდევ უბნის უხუცესთა გადმოცემით იცოდა, ეს მოხუცი კაცი რომ ახალგაზრდობაში ეროვნული გმირის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმის წევრი იყო. იმ რაზმისა, რომელსაც 1921 წლის თებერვლიდან, მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმ საქართველო დაიპყრიათ, ტყისათვის შეუფარებია თავი. მის ყველა წევრს ფიცი დაუდვია, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოლებდნენ სამშობლოს თავისუფლებისათვის. ბაგრატი ბიძამისს გაყოლია ტყეში. რაზმის მეთაური მის ვაჟკაცურ შეხედულებას ისე მოუხიბლავს თურმე, ბიჭის ასაკზე არც კი გაუმახვილებია ყურადღება და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ჟინით ანთებული მოზალისე უყოყმანოდ ჩაურიცხავს „შეფიცულთა" რიგებში. მოგვიანებით კი გაუგია, იგი რომ იმხანად ჩვიდმეტი წლის ყოფილა მხოლოდ. სინანულით გაუღიმია და სიტყვაც არ დაუძრავს.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი და მისი თანამებრძოლები ემიგრაციაში რომ წასულან, ბაგრატი აქ დარჩენილა. შენ ჯერ, კიდევ ჩვიდმეტი წლის ბიჭი ხარო ბაგრატ, და, არა მგონია, ბოლშევიკები ძალლურად მოგექცნენო, უთქვამს ჩოლოყაშვილს და საზღვრიდან უკან გამოუბრუნებია.

მართალია ბაგრატი დახვრეტას კი გადაურჩა, მაგრამ, თითქმის მთელი ცხოვრება შორეულ კატორღებსა და გადასახლებებში გაატარა. მხოლოდ ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან აღარ შეუწუხებიათ იგი. სამოც წელს მიღწეულ კატორღელს თბილისში დაბრუნებისას ახლობელთა შორის ცოცხალი მხოლოდ მოხუცი მამიდა დახვდა. მასთან დაბინავდა. მალე მამიდაც გარდაიცვალა და მარტოკა დარჩა. ოჯახის შექმნაზე კი აღარც უფიქრია.

მალე დამოუკიდებლობისათვის ბრძოლამ ქუჩიდან პარლამენტში გადაინაცვლა და დადგა სანუკვარი მიზნის მიღწევის ხანა. შეიქმნა ეროვნული მთავრობა, რომელმაც მალე საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ბაგრატის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, იმ დღეს უბნის ბიჭებთან ერთად დალია კიდეც და ქაქუცას საყვარელი სიმღერა „მხედრულიც" შემოსძახა. დაზუსტებით არავინ იცის, მაგრამ, იმასაც ამბობენ, რომ ბატონი ბაგრატის აივნიდან გვიან ღამით ზედიზედ რამდენიმეჯერ გავარდა ტყვია.

თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ეს ყველაფერი ჭორი არ გახლდათ. ბაგრატს მართლაც ჰქონდა ქაქუცას მიერ ნაჩუქარი მაუზერი, რომელიც აქამდე რა გზით მოიტანა, ერთმა ღმერთმა იცის. ფაქტია, რომ ის იყო მისთვის რელიქვია, მომავლის იმედი და მისი კაცობის დამადასტურებელი. ხშირად დახედავდა ხოლმე, გაზეთავდა და გააპრიალებდა, ალერსით გადაუსვამდა ხელს და თავის ადგილზე დებდა. ქაქუცა ჩოლოყაშვილს უთქვამს: იცოდე, ბაგრატ, ამ მაუზერით საქართველოს მტრებს ვულეტდი, კარგად გაუფრთხილდი და დაიხსომე, რომ იგი უსათუოდ დაგჭირდება საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაშიო!

ბაგრატს ბევრჯერ ჩაუბღუჯავს მაუზერის ტარი, ტყვიებით გაუტენია და სამიზნედ შეუმართავს, მაგრამ გასროლის ჟამი არ დადგომია.

რაც ეროვნული მთავრობა შეიქმნა, მას შემდეგ ბაგრატი ერთი პირობა დაწყნარდა, ახ კი იცოდა, მის იარაღს რომ სტრატეგიული მნიშვნელობა არამც და არამც არ დაუკარგავს. რამეთუ საქართველოს ჯერ კიდევ მრავლად ეხვია გარს მტერი. იგი მოხუცი ჭარისკაცის აზირებული ჟინიანობით მოელოდა იმ დღეს, როცა ცეცხლის ენით აალაპარაკებდა ქაქუცასეულ მაუზერს.

შემოდგომის მშვიდი საღამო იდგა. ბატონი ბაგრატი დინჯად მიაბიჯებდა და მეტროს უახლოვდებოდა. მარცხენა ხელი ძველებურ ვერცხლის ქამარ-ხანჯალზე მშვიდად ედო, ხოლო მარჯვენას ისე კოხტად ამოძრავებდა, გეგონებოდათ, ყველა გამვლელს ქუდს უხდის და მშვიდობის გზას ულოცავსო; ხოლო თეთრი წვერ-ულვაში ისე დაჰფენოდა მკერდზე, ვითარცა ზევსხბერს.

მეტროს რომ გასცდა მარჯვნივ, კინემატოგრაფისტთა სახლის წინ ხალხის ჯგუფს მოკრა თვალი, „ნეტა რა მოხდაო" გაიფიქრა და მარჯვენა ხელი შუბლზე მოიჩრდილა, შოთა რუსთაველის ძეგლთან ახახვლელი კიბის საფეხური დინჯად აიარა და იქვე მდგომ ადამიანებს შეუერთდა, საიდანაც ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა. კინემატოგრაფისტთა სახლის შესასვლელთან, შემაღლებულ ადგილას ახალგაზრდებს მოეყარათ თავი და ტრანსპარანტებსა და ეროვნულ დროშებს აფრიალებდნენ. მიხვდა, რომ რომელიღაც პოლიტიკური ორგანიზაცია მიტინგის გამართვას აპირებდა. წასვლა იფიქრა (მას უკვე ზედმეტად მიაჩნდა საქართველოში მიტინგების ჩატარება), მაგრამ იქ, სადაც უწინ აეროპორტის სალაროები იყო, ხალხის ჩოჩქოლს და აურზაურს მიაპყრო მზერა. ვიღაცა ვიღაცაზე გაგულისებით იწევდა და უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა. როგორც იქნა, მოჩხუბრები გააშველეს და ხალხიც დაწყნარდა.

თანდათან გაიზარდა მიტინგზე დამსწრე ადამიანთა რიცხვი. ხოლო ტრანსპარანტების ირგვლივ უფრო შემჭიდროვდა ორატორთა ჯგუფი. ვიღაცამ მეგაფონი მოიმარჯვა და ნაადრევად გახსნა მიტინგი. იგი ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადმოსცემდა დღევანდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ. მიტინგის ორგანიზატორებს ეტყობოდა ვიღაცები ხელს უშლიდნენ, ამიტომაც მათ მოუსვენარი სახეები ჰქონდათ. მათთან ხოლიგნურად ჩაცმული კაცები მიდიოდნენ, ხელებით რაღაცას უხსნიდნენ და მიტინგის დაუყოვნებლივ შეწყვეტას მოითხოვდნენ. ორატორები არ ეპუებოდნენ მათ და თავიანთ საქმეს ჯიუტად განაგრძობდნენ.

ამ დროს რუსთაველის გამზირიდან რაზმი გამოჩნდა, რომელსაც ხალხი სტვენით შეეგება. ისინი შეიარაღებულნი იყვნენ ხელკეტებით, თავზე შეხანძრის მსგავსი ჩუდები ეხურათ და ტყვიაგაუმტარი „ჟილეტები" ეცვათ. რაზმი ჯიქურ მიუახლოვდა მიტინგის წამყვანთ და ქვევითა მხრიდან ალყაში მოაქცია. დაიძაბა ვითარება.

დაიძაბა ბაგრატიც და მისდაუნებურად გაუაზრებელი ნაბიჯი გადადგა წინ. ამ მომენტში ყველაფერი აირ-დაირია, მოულოდნელად კინემატოგრაფისტთა შენობის წინ ბრძოლა გაჩაღდა. ვერ გაერკვია, ვინ ვის ესხმოდა თავს. იარაღითა და კანონის ძალით აღჭურვილი ქართველი ჭაბუკები გამეტებით ურტყამდნენ კეტს უიარაღო ქართველებს. ეს იყო საშინელი სანახაობა, რომლის მსგავსიც ჯერ არაფერი ენახა მოხუცს. იგი რატომღაც მეტი ყურადღებით შეიარაღებულ ბიჭებს აკვირდებოდა, აინტერესებდა, რა რჯულის ხალხთან ჰქონდა საქმე. ხედავდა იმას, რომ ისინი ქართველები იყვნენ, მაგრამ მაინც ვერ დაეჯერა ეს. ხოლო როცა გარკვევით გაიგონა თუ როგორ შეურაცხყოფდა მშობლიურ ენაზე რაზმის ერთ-ერთმა წევრმა ტრანსპარანტიან ჭაბუკს და ხელკეტი გამწარებით ჩასცხო, მაშინ კი ირწმუნა, რა სამარცხვინო ფაქტის მომსწრე გახდა და ერთ ადგილზე უაზროდ შეტორტმანდა. გაოგნებული შესცქეროდა ამ რაზმის ვანდალურ მოქმედებას, მათი ზიზღით სავსე და შურისგებით გამსჭვალულ სახეები აოცებდა ძალიან. ვერ გაეგო, ვის სჭირდებოდა ყოველივე ეს და რა მიზნით.

ეტყობა მომიტინგეებმა ველარ გაუძლეს რაზმელთა შემოტევას და კაკაბაძეების ქუჩისაკენ იბრუნეს პირი. კინემატოგრაფისტთა შენობის მომიჯნავე ტერიტორია მთლიანად გაიწმინდა. იქ, სადაც მიტინგის ორგანიზატორები იდგნენ, ახლა დამსჯელები გამწკრივდნენ და ზანდუკელის ქუჩის აღმართზე შეფენილ ხალხს უტიფრად მიაჩერდნენ. ეტყობოდათ გულში თავიანთ გამარჯვებას ზეიმობდნენ.

წუთით სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს სივრცე გაიყინა. ხალხი გაირინდა. ხოლო ირგვლივ მათი აღშფოთების იდუმალი ატმოსფერო შეიქმნა. უცებ ვიღაც დაიხარა და ქვის ნატეხს დასწვდა. ხალხი გონს მოეგო და რაც კი ხელში მოხვდათ, ყველაფერი შეიარაღებულ რაზმელებს დაუშინეს. ისმოდა კედელზე მიხეთქების, მინების ჩამსხვრევისა თუ ასფალტზე დაცემული ქვების ყრუ ხმები.

რაზმელები თავზე ხელწაფარებულები გავარდნენ რუსთაველის გამზირის მიმართულებით და ქვათა სეტყვას ძლივს დააღწიეს თავი.

ხალხმა ეს გამარჯვება ტაშითა და სასიხარულო ყიჟინით აღნიშნა. მაგრამ მათი სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. რაზმელები კვლავ გამოჩნდნენ და გულდაჯერებულები წამოვიდნენ ხალხისაკენ. უეცრად გაისმა რევოლვერის ტკაცანი, რომელსაც ავტომატურად გაშვებული ტყვიების ჯერი მოჰყვა. გაისმა ქალის საშინელი კივილი. მამაკაცები ერთმანეთს მიაწყდნენ. ხალხის ტალღა აზვირთდა და ზანდუკელის ქუჩისკენ აგორდა. ვიღაცამ ფეხი წამოკრა და ძირს დაეცა. სხვები ზედ გადაემხნენ და ლამის ცოცხლად არ გასრისეს იგი. ყველა გასროლას მანდილოსანთა ისტერიული წივილი ერთვოდა.

ბაგრატმა ველარ გაუძლო ამ მძიმე სანახაობას და თვალთ დაუბნელდა. ვიღაცის მხარს ულონოდ წაეპოტინა და ძირს დაეშვა. იქვე, მარმარილოს ქვაზე ჩამოჯდა, შუბლზე სიმწრის ოფლმა დაასხა. კარგა ხანს იჯდა ასე უგონოდ, ხოლო როცა აზრზე მოვიდა, უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. ძეგლის მეორე მხარეს ვიღაცას მეგაფონი მოემარჯვებინა და გამწარებით ჩასძახოდა შიგ.

— შვილო, მსხვერპლი ხომ არ არის?
— გაბზარული ხმით იკითხა მან. და მის გვერდით მდგომ ყმაწვილ ბიჭს წყლიანი თვალებით მიაჩერდა.

— ოთხი კაცი დაჭრეს ამ უსისხლოებმა, ერთი მუცლის არეში და სამიც ფეხში — ცივად მიუგო ბიჭმა და კვლავ ორატორისკენ მიაპყრო სმენა.

მოხუცს მუხლები მოეკვეთა, ტანში სისუსტე იგრძნო. მერე უაზროდ ჩაიქნია ხელი და კიბეზე დაეშვა, ტროტუარზე სისხლის გუბე შენიშნა. „ვაიო" მწარედ ამოიგმინა და გზას გაუყვა. თავი დაბლა დახარა, ხელები მოტეხილ ტოტებივით ჩამოუცვივდა, წელში საგრძნობლად მოიდრიკა, ხოლო ქამარზე ჩამოკიდებული ხანჯალი ფეხებში ისე ებლანდებოდა, სიარულს ძლივსღა აბერხებდა. როგორც იქნა, ვერის აღმართი აათავა და სახლს მიუახლოვდა. გასაღები ძლივს მოარგო საკეტს და შიგ შევიდა. დივანზე ჩამოჯდა. ერთ წერტილს მიაპყრო მზერა. იგი დაახლოებით ნახევარი საათი იჯდა ასე გაოგნებული, რაზე ფიქრობდა, არავინ იცის, მერე ზედ წამოდგა და ქამარ-ხანჯალი მოიხსნა, ქართული ჩოხა გაიძრო და იქვე კუთხეში მიაგდო. ძველი, გაცვეთილი პიჯაკი და დაჭმუჭნული შარვალი ჩაიცვა. თავის საწოლთან მივიდა და თავმორდვეულ ლეიბში შეყო ხელი, საიდანაც ნაჭერში გახვეული მაუზერი გამოიღო. ტანსაცმლის კარადასთან, კუთხეში მიყუდებული მამიდამისის ნაქონი ხელჯოხი აიღო და სახლიდან გავიდა.

ვერის ხიდზე რომ ფეხი შედგა, უკვე კარგა ხნის დაბნელებული იყო. ხიდის მოაჯირს მიადგა და მტკვარს ამღვრეული თვალებით დააცქერდა. ცოტა ხნის შემდეგ იღლიიდან მაუზერი გამოაძრო, ახლა მასზე გადაიტანა მზერა, ისეთი ტრაგიკული სახე ჰქონდა, თითქოს გულით უსაყვარლესს აცილებსო იმ ქვეყნად სამუდამო გზაზე. მაუზერის ლულასა და სამიზნეს ცახცახით გადაუსვა ხელი, პირთან მიიტანა და მოკრძალებით აკოცა, ისე, როგორც ჭმინდანის ხატს ემთხვევა ხოლმე მლოცველი. ბედნიერი კაცი ყოფილხარ, ქაქუც! — ჩურჩულით გამოსცრა და მაუზერი მტკვარში გადაუშვა. წყალმა უშურველად შთანთქა მიღებული ძღვენი, ვითარცა ქართული სულის მორიგი მსხვერპლი. ერთი გაიტყლაშუნა და ამოუცნობი იდუმალებით გააგრძელა დინება.

ხიდზე ფარებანთებულმა ავტომობილმა ჩაიქროლა და წყვდიადში წამიერად გაელვებული მოხუცის ლანდი მირაჟივით გაქრა.

მხატვარი კარლო ფაჩულია

# სიმართლე ეგრეთწოდებული მწერალთა კრების ირგვლივ

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში დაიბეჭდა საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის განცხადება იმის თაობაზე, რომ მწერალთა სასახლეზე მოსალოდნელი ბანდიტური თავდასხმის გამო, თანამშრომელთა და მწერალთა უსაფრთხოების მიზნით, 30 სექტემბერს სასახლე დროებით დაიკეტა.

ამავე ნომერში დაიბეჭდა მწერალთა ერთი ჯგუფის საპროტესტო წერილიც, რომელშიც საქმე შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: 2 ოქტომბერს, (ეს თარიღი ორჯერაა აღნიშნული), დღის 2 საათზე მწერალთა კავშირში კრების ჩასატარებლად მივიდა მწერალთა მცირე ჯგუფი, რომელსაც სასახლის კარები დაკეტილი და მილიციის ძალებით დაცული დახვდა. „გაცეცხლებულმა“ მწერლებმა იქვე, ქუჩაში ჩაატარეს სახელდახელო მიტინგი და მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობა (გურამ ფანჯიკიძის გამოკლებით, რომელიც თვითონ გამოჩნდა ამ მიტინგზე აღშფოთებული და საპროტესტო წერილსაც ხელს პირველი აწერს) ფაქტიურად ანათემას გადასცეს.

ამ კრების შესახებ არაფერი არ იცოდა სასახლის არცერთმა თანამშრომელმა. არაფერი არ იცოდნენ თავმჯდომარემ მუხრან მაჭავარიანმა, მდივნებმა ენვერ ნიჟარაძემ და ხუტა ბერულავამ, როგორც წერილიდან ჩანს, საინიციატივო ჯგუფს მიუმართავს გურამ ფანჯიკიძისთვის. იგი დიდსულოვნად დათანხმებია კრების ჩატარებაზე. გურამ ფანჯიკიძე, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებული იყო გაეფრთხილებინა მწერალთა კავშირის დანარჩენი ხელმძღვანელები, არაფერი შეუტყობინებია მათთვის. ამას იგი, რა თქმა უნდა, ვერ უარყოფს.

წერილში ისინი ბრალს დებენ კავშირის ხელმძღვანელებს, რომ მათ შეგნებულად დაკეტეს შენობა.

ჯერ ერთი, შენობა 30 სექტემბერს დაიკეტა. მეორე, კრების შესახებ, მათ, ვინც შენობა დაკეტეს, არაფერი იცოდნენ. რომ სცოდნოდათ, რისი უნდა შეშინებოდათ. რაც სასახლეში ორი კვირის უკან გამართულ კრებაზე ითქვა, იმაზე მეტი ამ მცირერიცხოვან კრებაზე აბა რა უნდა თქმულიყო.

თავიდან ყველას ძალიან გაუკვირდა წერილის ზღვარსგადასული მკაცრი და შეუბრალებელი ტონი, მაგრამ მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ყველაფერი ნათელი გახადა.

იმის ახსნა, თუ რისთვის ტარდებოდა ეს კრება და რატომ იყო იგი ასე გასაიდუმლოებული, ახლა უკვე ძნელი აღარაა.

მოგეხსენებათ რაოდენ დაძაბული ვითარება იყო და არის საქართველოში ბოლო თვის მანძილზე. მწერალთა ერთი ნაწილი თავგამოდებით იცავდა საქართველოს კონსტიტუციას, რესპუბლიკის კანონიერ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას. მეორე ნაწილი ოპოზიციურად განწყობილი მწერლებისა კი ტელევიზიასთან გამართულ ბარიკადებზე იდგა. ზოგი მათგანი შეიარაღებულიც კი გახლდათ. უფრო დიდმა ნაწილმა მწერლებისა დუმილი და ჩაურევლობა არჩია. ეს მათი პიროვნული უფლებაა და ვერც ვერავინ შეედავება.

12 სექტემბერს მწერალთა კავშირში გამართულმა საოცრად მძაფრმა კრებამ აირჩია მწერალთა დეპუტაცია, რომელიც შეეცადა დაპირისპირებულ მხარეთა შორის შეთანხმების მიღწევას. მათი მცდელობა, სამწუხაროდ, უშედეგოდ დამთავრდა. ამის შემდეგ მწერლებმა საერთოდ შეწყვიტეს სასახლეში სიარული. დადიოდა მხოლოდ რამდენიმე მწერალი, რომელთა ჩამოთვლაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს.

მაშასადამე, 12 სექტემბრიდან ვიდრე 2 ოქტომბრამდე მწერლებს არა თუ კრების ჩატარება, მაჩაბლის ქუჩაზე გავლაც კი არ გახსენებიათ. და აი, 2 ოქტომბერს ისინი მოულოდნელად მიადგნენ მწერალთა კავშირს...

ახლა უკვე აღარაა დაფარული, რომ კრება, რომელიც შემთხვევის წყალობით არ ჩატარდა, მიმართული იყო კონკრეტული პიროვნების, მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მუხრან მაჭავარიანის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, მუხრან მაჭავარიანმა თავის გამოსვლაში მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგზე დაიცვა კანონიერი პრეზიდენტი და ხელისუფლება, და ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც გაავთრებული იბრძოდა პრეზიდენტის წინააღმდეგ და ჩაბმული იყო პროკომუნისტურ შეიარაღებულ ამბოხებაში, სახვეთა ინტელიგენცია უწოდა. ამას მოჰყვა გაავთრებული გამოსვლები ტელევიზიასთან, სადაც ლანძღავდნენ მუხრან მაჭავარიანს და მოითხოვდნენ მწერალთა კავშირის დაშლას. იქვე, ტელევიზიასთან გადაწყდა მწერალთა კავშირში კრების ჩატარება და მუხრან მაჭავარიანის გადადგომის მოთხოვნა. საიდუმლოდ გადაურეკეს არსებული ხელმძღვანელობით უკმაყოფილო მწერლებს და 2 ოქტომბერს ისინი მწერალთა კავშირში მიიწვიეს.

საბედნიეროდ, ბევრი მწერალი არ წამოეგო ამ ანკესზე, ამიტომაც იყო მაჩაბლის ქუჩაზე გამართული მიტინგი ასე მცირერიცხოვანი.

აქვე მოხდა მათთვის გაუთვალისწინებელი რამ. 30 სექტემბერს სასახლე დაიკეტა. მწერალთა კავშირის დაკეტვა არაა ორდინარული მოვლენა. იქ ორმოცზე მეტი თანამშრომელი მუშაობს და, რა თქმა უნდა, ეს ამბავი იმ დღესვე გავრცელდა ქალაქში. ეჭვი არაა, რომ კრების ინიციატორებმაც 30 სექტემბერსვე იცოდნენ ყოველივე.

ლოგიკის მიხედვით, მათ, უპირველეს ყოვლისა, სასახლის დაკეტვის მიზეზი უნდა გაერკვიათ. მაგრამ ისინი ასე არ მოიქცნენ და გადაწყვიტეს ამ ფაქტის სათავისოდ გამოყენება, თითქოს კრების გამო დაიკეტა მწერალთა კავშირი. მიტინგის შემდეგ, თუ მანამდე, მათ დაწერეს საპროტესტო წერილი და დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება. როგორც ჩანს, რაოდენობას მათთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, თორემ სხვა შემთხვევაში წერილზე არ მოხვდებოდა ილია ბეგიაშვილის, სიმონ ბალახაძის, თემურ მირიანაშვილის, ფელიქს კოჟიაშვილის, მიხო მოსულიშვილის, ზურაბ თორიას და სხვათა ხელმოწერები, რომელთა სახელიც არაფერს ეუბნება ქართული მწერლობით დაინტერესებულ ქართველ საზოგადოებრიობას.

მაშ ასე, როგორც ვთქვით, ეს კრება გამიზნულად იყო მიმართული მუხრან მაჭავარიანის წინააღმდეგ. მათ იმ დღესვე სურდათ მისი გადაყენება თავმჯდომარის პოსტიდან. ამით ისინი მძლავრ დარტყმას მიაყენებდნენ პრეზიდენტს, რომელთანაც ბატონი მუხრანის ურთიერთობა საყოველთაოდაა ცნობილი. თავის დროზე, როცა ამას არავინ ელოდა, იგი უყოყმანოდ შევიდა მრგვალ მაგიდაში. ამან დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია საზოგადოებაში. მუხრანმა დაასახელა ზვიად გამსახურდია პრეზიდენტობის კანდიდატად. მუხრანი ერთგულად უდგას საქართველოს პრეზიდენტს მხარში ყოველი გაჭირვების ჟამს.

ხალხი, რომელიც ტელევიზიასთან პრეზიდენტის გადადგომას მოითხოვდა, რა თქმა უნდა არც მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს მოერიდებოდა, თუმცა, როგორც პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნა იყო ანტიკონსტიტუციური, ასევე არაკანონიერია მუხრან მაჭავარიანის გადაყენებაც, რადგან იგი მწერალთა საერთო კრებამ აირჩია თავმჯდომარედ 5 წლის ვადით (1993 წლის ნოემბრამდე).

რა თქმა უნდა, ლომის წილი ამ კრების ორგანიზაციაში თავად გურამ ფანჯიკიძეს მიუძღვის, რაიც ფრიად სამწუხაროა. მან თვითონ მიიყვანა ხალხი მაჩაბლის ქუჩაზე. თვითონ ჩაატარა მიტინგი და პირველმა მოაწერა ხელი საპროტესტო წერილსაც, სადაც შავით თეთრზე წერია: „ინიციატორებმა თავიანთი განზრახვა შეუთანხმეს მწერალთა კავშირის მდივანს გურამ ფანჯიკიძეს“.

როგორც კი მკითხველმა „ლიტერატურული საქართველოს“ ფურცლებზე დაბეჭდილი მწერალთა კავშირის ხელმძღვანელობის განცხადებიდან გაარკვია, რომ სასახლე 30 სექტემბერს, ე. ი. ორი დღით ადრე დაკეტილა, ვიდრე კრება უნდა ჩატარებულიყო, ინიციატორთა ჯგუფმა მეორე დღესვე გაზეთ „დრონში“ ახალი წერილი გამოაცხვეს, რომელსაც ხელს ვინმე თემურ გიორგობიანი აწერს, თუმცა კაცმა არ იცის იგი ვისი დაწერილია. ამ წერილში უკვე კრების ჩატარების თარიღად 30 სექტემბერია მოხსენიებული. ეს, რა თქმა უნდა, შეგნებული სიყალბეა და მხოლოდდამხოლოდ საზოგადოების დაბნევად არის გამიზნული. ეს წერილი რომ თემურ გიორგობიანის დაწერილი იყოს, მაშინ იგი არ დაეყრდნობოდა მხოლოდ ცალმხრივ ინფორმაციას და მეორე მხარესაც სიმართლის დასადგენად რაიმეს შეეკითხებოდა.

ამავე წერილში ასეთ ფრაზას ვკითხულობთ: „თუმცა ხელმძღვანელობაც არის და ხელმძღვანელობაც. ასე უბოდიშოდ ქუჩაში დატოვებულ მწერალთა შორის ხომ მწერალთა კავშირის მდივანი გურამ ფანჯიკიძე და პრეზიდიუმის სხვა წევრებიც აღმოჩნდნენ“.

ისევ გურამ ფანჯიკიძე. ყველაფერი ნათელია.

მაშ ასე, ინიციატორთა ჯგუფმა ერთმანეთს დააჭიდა „სისხლისმსმელი“ დიქტატორი მუხრან მაჭავარიანი და თავიანთი ფალავანი „დაჩაგრული“ გურამ ფანჯიკიძე. ოღონდ მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ ორთაბრძოლა წინასწარვე წაგებული ჰქონდათ, რადგან ეს ორი პიროვნება სხვადასხვა წონით კატეგორიას მიეკუთვნებიან.

ყოველ მწერალს აქვს უფლება იქონიოს თავისი პოზიცია. სწორედ ამიტომ აღმოჩნდნენ მუხრან მაჭავარიანი და გურამ ფანჯიკიძე ბარიკადების სხვადასხვა მხარეს. მუხრანის პოზიცია დიდი ხანია ცხადი იყო. გურამ ფანჯიკიძე კი, ჩასაფრებული თურმე „წვეთ-წვეთობით“ აგროვებდა საწინააღმდეგო მასალას და, როცა პრეზიდენტს „გაუჭირდა“ ზურგში მახვილივით ჩასცა თავისი წერილი, რომელიც გაზეთ „დრონში“ დაიბეჭდა. პარადოქსია, მაგრამ მწერალი, რომელიც თავის ნარკვევში ხოტბას ალუვლენდა კომპარტიის ცეკას მდივანს (რომელსაც იგი გაჭირვებისთანავე გაემიჯნა), აძაგებს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ, კანონიერად არჩეულ საქართველოს პრეზიდენტს. ისე, გურამ ფანჯიკიძის გაწიწმატება ადამიანური თვალსაზრისით ჩვენთვის გასაგებია. მას ხომ ზედიზედ ორი მძახალი მოუხსნეს (რობინზონ თუშურაშვილი და თენგიზ კიტოვანი), ამიტომ, ცხადია, იგი არჩევანს პრეზიდენტის სასარგებლოდ ვერ გააკეთებდა.

პირდაპირ გასაკვირია, რომ საპროტესტო წერილზე ხელი არა აქვს მოწერილი ჯანსუღ ჩარკვიანს. ყველამ კარგად იცის მისი დაუცხრომელი სწრაფვა მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობისაკენ. როგორც ჩანს, მან ახალ მთავრობაში, რომელსაც ოპოზიციონერები ადგენდნენ, უფრო დიდი პოსტი გაინაღდა და მწერალთა კავშირის თავმჯდომარის თანამდებობა გურამ ფანჯიკიძეს გადაულოცა.

გაზეთ „დრონში“ დაბეჭდილ წერილში კრიტიკოსი კობა იმედაშვილი ამბობს: „ჩვენ აქ (ე. ი. მწერალთა სასახლის წინ, ქუჩაში) შეგვკრიბა მხოლოდ ერთმა წადილმა — ფიქრი, აზრი გავუზიაროთ ერთმანეთს იმაზე, თუ რით ვუშველოთ საქართველოს!“

სიმართლე პირდაპირ უნდა ითქვას. დაუჯერებელია, რომ კობა იმედაშვილს, გაურკვეველი მრწამსის კაცს, საქართველოს ბედი მუხრან მაჭავარიანზე უფრო აინტერესებდეს. ისე კი, თუ საქართველოს შველა სურდა, უნდა ჩამოეხსნა მხარზე გადაკიდებული თოფი თუ ავტომატი, რომლითაც გაბოროტებული დაბიჯებდა ბარიკადებზე ტელევიზიასთან და ხალხს სისხლის დასაღვრელად აქეზებდა.

ამავე წერილიდან ჩანს, რომ კორესპონდენტთა საუბარში თამაზ წივწივაძეს მოსწრებულად და მწარედ უხუმრია: „აი, ხომ ხედავთ, ჩვენს სასახლეში არ გვიშვებენო“. არადა მწერალთა კავშირის თანამშრომლებს თურმე იგი კარგა ხანია თვალით აღარ უნახავთ. ასე რომ უყვარდეს თამაზ წივწივაძეს „ჩვენი სახლი“, წლის განმავლობაში იქ ერთხელ მაინც შეივლიდა, როგორი დაკავებულიც არ უნდა ყოფილიყო იგი ეროვნულ კონგრესში მუშაობით.

იმ აზრს, რომ ე. წ. საპროტესტო წერილი მიმართულია მუხრან მაჭავარიანისა და ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, ამაგრებს რამდენიმე პიროვნების ხელმოწერა.

ერთი მათგანია რევაზ მიშველაძე. მის ცილისმწამებლურ წერილებს საქართველოს პრეზიდენტზე კარგად იცნობს საზოგადოებრიობა. მკითხველს შევახსენებთ, რომ მწერალთა ბოლო ყრილობაზე მან კენჭი თავმჯდომარეობაზე იყარა და 400 ხმიდან მხოლოდ 7 (შვიდი!) ხმა მიიღო.

ამავე ყრილობაზე თავმჯდომარის პოსტზე კენჭი იყარა არჩილ სულაკაურმაც — 20 (ოცი) ხმა — 400-დან. როგორც ჩანს, ვერც ის ინელებს ამ მარცხს, თორემ ამ წერილზე ხელს არ მოაწერდა.

ჟურნალ „მნათობის“ რედაქცია, რომელსაც არჩილ სულაკაური რედაქტორობს, რუსთაველის პროსპექტზე კავშირგაბმულობის სახლშია განთავსებული და რედაქტორის კაბინეტის ფანჯრები პირდაპირ ქუჩას გადაჰყურებენ. დაიქცა ქვეყანა, მიტინგი მიტინგზე იმართება. პროსპექტზე ყოველდღე ავტომატები კაკანებენ და ჯავშანტრანსპორტიორები დაჰქრიან, მას კი ამ ფანჯრებიდან ქვემოთ ერთხელაც არ გადმოუხედავს.

ბატონ არჩილ სულაკაურს, ისევე, როგორც მხცოვან ბატონ ირაკლი აბაშიძეს, რომელიც საოცრად ოპერატიულად გამოეხმაურა ე. წ. საპროტესტო წერილს, თურმე „თელასთან“ ქართველი ახალგაზრდების დაღვრილი სისხლი კი არ აწუხებთ, არამედ „საშინელი“ ამბავი მწერალთა სასახლის დროებითი დაკეტვისა.

აქვეა მწერალთა კავშირის ორი ყოფილი წევრის ნაირა გელაშვილისა და გიორგი ბაქანიძის ხელმოწერები. ხომ თავისი სურვილით გავიდნენ ისინი მწერალთა კავშირიდან, მაგრამ აბა მწერალთა კავშირის თავმჯდომარის „ჩასაწიხლ“ მომენტს ხელიდან როგორ გაუშვებდნენ.

ეტყობა, სუბიექტური მოსაზრებითაა განპირობებული გაზეთ „მამულის“ რედაქტორის ვაჟა გიგაშვილის ხელმოწერა, რადგან ახლახან მან თავის გაზეთში ავტორის უფლებათა აბსოლუტური დარღვევით დაბეჭდა, მისი აზრით, მუხრან მაჭავარიანის „განმაქიქებელი“ მასალა. ეს იყო, მოკრივეთა ენით რომ ვთქვათ, წელს ქვემოთ დარტყმა.

პირდაპირ საკვირველია, ვინ ამუშავა ასე მარჯვედ. ვინ მოაგროვა ასე უცებ მწერალთა კავშირზე რაღაცით განაწყენებულ თითქმის ყველა მწერლის ხელმოწერა.

ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის ხელის მოწერა უკვე აღარავის უკვირს, მას შემდეგ, რაც თავის დროზე მან ტრანსკავკასიური რკინიგზის გაყვანა ქართველი ხალხის სასიცოცხლო საქმედ ჩათვალა.

ასევე არაა გასაკვირი ქალბატონი იზა ორჯონიკიძის ავტოგრაფიც. თუმცა თუ სამართალია, თავისი „სახელოვანი“ გვარის ხშირ-ხშირად გამომზეურებას კი უნდა ერიდებოდეს. ისე ქალს, რომელმაც თავისი სამსახურიდან ტელევიზორი და რაღაც ფიცრები შინ წაიღო, ცხადია, მწერალთა კავშირის ქონების განიავება დიდად არ დაამწუხრებს. მართალს ბრძანებს ქალბატონი იზა: იგი ნამდვილად ვერ იცხოვრებს მუხრან მაჭავარიანით.

როგორც ამბობენ, ბატონ ვახტანგ ჭელიძეს სამსახურში წყალი შეუყენეს, რასაც სრულიად უსამართლოდ მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს აბრალებს. მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ გამომცემლობა „ნაკადულის“ დირექტორის მოხსნა-დანიშვნა მუხრან მაჭავარიანის კომპეტენციაში არ შედის.

ყველაზე უფრო გულსატკენი ახალგაზრდა დათო მაღრაძის საქციელია. ბევრს ახსოვს ძია მუხრანის მიერ მისი პირველი წიგნისთვის წამძღვარებული გზის დასალოცი წერილი. სულ ახლახან მწერალთა კავშირის თავმჯდომარის რეკომენდაციით იგი გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორის მოადგილედ დაინიშნა, რამაც ბევრი მწერლის უკმაყოფილება გამოიწვია. მან კი „მით „დაუფასა“ ამაგი, რომ ხელი მოაწერა წერილს, სადაც გარკვევით წერია, რომ მუხრან მაჭავარიანი აღარ არის უფლებამოსილი გამოდიოდეს და ლაპარაკობდეს ქართველი მწერლების სახელით!

პირდაპირ სიხარულით აიტაცებს ხოლმე პრესა ყოველგვარ უარყოფით მოვლენას, რაც კი მწერალთა ოჯახში მოხდება ხოლმე. გაზეთმა „საქართველოს რესპუბლიკამ“ უყოყმანოდ გამოაქვეყნა თენგიზ ბუაჩიძის ფორმით მცირე, მაგრამ შინაარსით მეტად მრისხანე წერილი.

ვინ-ვინ და თენგიზ ბუაჩიძე კი ნამდვილად არაა საქმის კურსში თუ რა ხდება მწერალთა კავშირში. ერთი ხანია იგი რატომღაც სულ მოსკოვში იმყოფება. შეიძლება სულ მალე იქ ემიგრანტადაც მოუწიოს ყოფნამ, როცა იგი იმუქრება, ჯერ კიდევ შემრჩა ძალა და როგორც საჭიროდ მივიჩნევ, ისე მოვიქცევიო, როგორც ჩანს, მას რაისა მაქსიმეს ასული გორბაჩოვასა და მისი მეუღლის იმედი აქვს, თორემ თავად ბატონი თენგიზი, მარტო, რა თქმა უნდა, ვერ შეძლებს თავისი დანაქადნის ასრულებას.

თუ მთლად ინიციატორები არა, კოორდინატორები მაინც უეჭველად არიან ჯუმბერ თითმერია და აკაკი ვასაძე. მათი განსაკუთრებული მონდომება შეუიარაღებელი თვალითაც მშვენივრად აღიქმება. თუ არა მათ, მაშ რედაქტორის გვერდის ავლით ვინ მიაბეჭდა საპროტესტო წერილს ბოლოში ფრაზა „ხელმოწერები გრძელდება“.

ხელმოწერები მართლაც მოიტანეს ერთი კვირის თავზე, სულ რამდენიმე. კაცისა, რომ იტყვიან, კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. არც ისე გულუბრყვილოა ქართველ მწერალთა უმრავლესობა, რომ მავანთა ნაღდ ავანტიურაზე ხელი მოაწეროს.

ამ პიროვნებათაგან ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა თამაზ კვაჭანტირაძე. იგი თავად გახლდათ რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატი. თუ რა „სახელოვნად“ გაიარა მან არჩევნები კარგადაა ცნობილი. რა თქმა უნდა, იგი ხელიდან არ გაუშვებს შესაძლებლობას, რომ კანონიერ პრეზიდენტს, შის „მეტოქეს“, თუნდაც რიკოშეტით დარტყმა არ მიაყენოს.

ოთხ სათნო მოხუც ქალს კლავდია დევდარიანს, შიო მღვიმელის ქალიშვილებს ქეთევანსა და ნინოს და ნინო აბაშიძეს მგონი ცხოვრებაში არაფერი გაუპროტესტებიათ. ახლაც არაფრის დიდებით არ მოაწერდნენ ხელს ამ წერილზე, რომ ერთ პიროვნებას მათთვის ეს არ დაეძალებინა.

განსაკუთრებით „გაგვახარა“ საპროტესტო წერილზე რევაზ ჯაფარიძის გამოხმაურებამ. საერთოდ, ფრიად გაკვირვებულნი ვიყავით იმით, რომ ერთი თვის მანძილზე მას კრინტიც კი არ დაუძრავს. თურმე იგი უბრალოდ არ იმყოფებოდა თბილისში. ჩამოვიდა თუ არა იმწამსვე, საქმეში ჩაუხედავად ბულასავით დაეტაკა მწერალთა კავშირს. და ვითომდა იქ მომხდარ ფაქტს ვანდალური უწოდა. ალბათ იგი მალე შეაფასებს საქართველოში დატრიალებულ მოვლენებს და ეჭვი არაა, რომ ეს ზვიად გამსახურდიას საწინააღმდეგო იქნება.

დიახ, იმ ჯვაროსნული ლაშქრობის ნამდვილი მიზეზი, რომელიც 2 ოქტომბერს მწერალთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყო, საქართველოს კანონიერი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდიაა, პიროვნება, რომელშიც დღეს განივთებულია საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის იდეა.

ღმერთო შეგვცოდეთ! ვის და რას ებრძვიან ჩვენი მწერლები, ზვიად გამსახურდიას თუ საქართველოს თავისუფლების იდეას?

ნახე მკითხველო, სიძულვილი თურმე რას აკეთებს? როგორ გააერთიანა პრეზიდენტის სიძულვილმა ის მწერლებიც კი, რომლებიც ერთმანეთს თვალით დასანახავად ვერ იტანენ. აბა ვინ წარმოიდგენდა, რომ ერთსა და იმავე წერილს ხელს მოაწერდნენ:

იზა ორჯონიკიძე და თამაზ წივწივაძე!

რევაზ მიშველაძე და იზა ორჯონიკიძე!

ჯუმბერ თითმერია და რევაზ მიშველაძე!

აკაკი ცასაძე და თამაზ წივწივაძე!

რევაზ მიშველაძე და აკაკი ვასაძე!

ვინმე იფიქრებდა, რომ ერთ პოზიციაზე შეძლება დამდგარიყვნენ თამაზ წივწივაძე და რევაზ ჯაფარიძე?

საქართველოს პარლამენტმა თბილისში დატრიალებული მოვლენები შეაფასა, როგორც სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. გამოიყო სპეციალური კომისია, რომელმაც უნდა გაარკვიოს ვინ ვინ იყო და რა პოზიცია ეჭირა. ამ კომისიას პუტჩის მხარდამჭერ თუ თანამგრძნობელ მწერალთა მოძიება არც კი დასჭირდება. პირდაპირ აიღებს ამ სიას და მისთვის ყველაფერი ნათელი გახდება!

მადლობა ღმერთს, რომ ხდება მსოფლიოში გაუგონარი რამ. მიუხედავად სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა ჩვენში არავინ არ დაისჯება, გარდა კრიმინოგენური ელემენტებისა!

ახეც რომ არ მომხდარიყო, მწერლებს, რა თქმა უნდა, არავინ დასჯიდა, მაგრამ გეკითხებით, ის ვინც ოთხ მოხუცებულ ქალს ამ წერილზე ხელი მოაწერინა, ადამიანია?

ზვიად გამსახურდიასა და მუხრან მაჭავარიანს მომდურავი როგორ არ ჰყოლებათ, მაგრამ ქართველ მწერალთა უდიდესი და უკეთესი ნაწილი არასოდეს იკადრებს ამგვარი უღირსი ხერხებით მოქმედებას.

**მიმომხილველი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

იოანე, იესო ქრისტეს წინამორბედი და ნათლისმცემელი, ცოდვებში გაქვავებულ, სინანულის უქონელ ადამიანებს იორდანეს უდაბნოში მოუწოდებს, — „მოინანიონ, ვინაიდან მოახლოვდა ცათა სასუფეველი" (მთ. 3, 2), მოიმკან სინანულის ღირსი ნაყოფი (უანგარო კეთილი საქმეები), გზა განუმზადონ უფალს, მოასწორონ მისთვის ბილიკები. ცხადია, იოანე გულისხმობს არა გამზადებასა და გასწორებას ფიზიკური გზებისას და ბილიკებისას, არამედ ადამიანთა სულებისას, რომელნიც ცოდვების სიმრავლის, სინანულის უქონლობისა და ცოდვათაგან განუწმენდელობის გამო ოღრო-ჩოღრო, უსწორ-მასწორო გზებსა და დაგრეხილ ბილიკებს დამსგავსებიან.

განუწმენდელ და გამრუდებულ სულებში კი, თუ ცოდვათა მონანიებითა და კეთილი საქმეებით არ გასწორდა და არ განიწმინდა, უფალი თავისი ღვთაებრივი მოძღვრებით, უზენაესი იდეალებითა და მცნებებით ვერ შევა და „სასუფეველი ცათა" ვერ დამკვიდრდება მათში.

ბიბლიური, ღვთაებრივი სიბრძნით თუ ისე არ ალივსე, როგორც ღრუბელი — წყლით, თუ საკუთარ ცოდვათაგან განკურნებისა და განწმენდისათვის არ ილვაწე, განუკურნებელი, განუწმენდელი და ღვთაებრივი სიბრძნით შეუმოსველი სულიდან დაიბადება კი ისეთი ნაწარმოები, რომლითაც შეძლებ ღვთაებრივი იდეალების ამქვეყნიურ ცხოვრებაში გადმოტანას („ზეციური იდეალი გადმომქონდა ქვეყნიურში.. ქვეყნად ყველა ტყუილია, ცაში არის იდეალი" („გამოთხოვება", 1910 წ.), თანამედროვეების უმაღლესი, ჭეშმარიტი იდეალებისაკენ წარმართვასა და ფერისცვალებას?! ამ ამოცანას მხოლოდ ის ლიტერატურა, ის მწერალი შეასრულებს, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ და რომლის შესახებაც ილიაც წერდა: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მიწიერი ზეციერსა, ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა". პოეტის, მწერლის დანიშნულებაა თავისი შემოქმედებით არა მარტო კვალში მიჰყვებოდეს ცხოვრებას (აკაკი იტყოდა — და ფოტოგრაფიულად ასახავდეს მას), არამედ ერთი ნაბიჯით მაინც უსწრებდეს წინ და მკითხველისათვის, მოყვასისათვის ნამდვილი, ჭეშმარიტი ცხოვრებისაკენ სახავდეს გზას. ილიას ციტირებული სტრიქონების ქვეტექსტიდან გამომდინარე — ერის, ხალხის წინამძღოლობას მხოლოდ ის პოეტი შეძლებს, ვისაც ღრმა უშუალო საიდუმლო კავშირი ექნება ღმერთთან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ღვთის ხმა დახშული იქნება მისი სმენისათვის და მისგან შთაგონებით ვერ მიიღებს ღვთაებრივ ჭეშმარიტებას, რითაც არა მარტო აწმყოს დანახვას, არამედ მომავლის განჭვრეტასაც შეძლებს, მისი შემოქმედება ისეთივე ყოველდღიური და „მიწიერი" იქნება, როგორც „ხალხია" („მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის, მ ი წ ი ე რ ი ზ ე ც ი ე რ ს ა") ჩემის აზრით, თანამედროვე შემოქმედებას, პირველ ყოვლისა, სწორედ ეს შინაგანი იდუმალი კავშირი, „შუაკაცობა" აკლია ღმერთთან, ტრანსცენდენტურ ძალასთან. ალბათ, ამიტომაც მას ფაქტიურად თითქმის დაკარგული აქვს რელიგიურობა, ჭეშმარიტი სულიერება, ღვთივშთაგონებულობა და იდუმალება, რის გამოც მხოლოდ ადამიანური სიბრძნითა და ადამიანური გულით „ზეციური იდეალების ქვეყნიურად გადმოტანას" და მიმდინარე ცხოვრებაზე, მკითხველსა და საკუთარ თავზე ამაღლებას ვერ ახერხებს (ამის გარეშე კი უმაღლესი შემოქმედება და ხელოვნება წარმოუდგენელია). ღმერთის, ქრისტეს, წმინდანების ნაწარმოებებში ხშირი მოხმობა, თუნდაც მთელი ბიბლიის „გალექსვა" თუ მხატვრულ-პროზაული.

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლიტერატურული საქართველო" № 40.

# აკაკი 150

# მიზანი ცხოვრებისა

## (აკაკის „უცნობი პოეზიის" მიხედვით)

## აკაკი მინდიაშვილი



თხზულების სახით გადმოცემა, გასცენიურება თუ ეკრანიზაცია ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელოვნების ამ ნაწარმოების რელიგიურობასა და ღვთივსულიერებას, თუ თვით ავტორის სული, საიდანაც ისინი იბადებიან, ჭეშმარიტად რელიგიური, ქრისტიანული არ არის...

აკაკის (მით უფრო, ჩვენი) თანამედროვე ეპოქა უკვე იმდენად მიწიერი, ყოფითი და პროზაულია, მაღალ იდეალებსა და ორიენტირებს იმდენად მოკლებულია, იმდენად „ნორმალური" და „ადამიანური, მეტისმეტად ადამიანურია", რომ წმინდა, ქრისტიანული ცხოვრება, ღვთაებრივი სულით გამსჭვალული შემოქმედებით ქრისტეს მოძღვრებისა და იდეების ქადაგება, ეკლესიური ცხოვრებისაკენ, პირად ინტერესებზე ამაღლებული, ღვთისა და მოყვასის მსახურებისადმი ცხოვრების დაქვემდებარებისაკენ მოწოდება (და თავის თავად ასეთი ცხოვრება) თანამედროვეთა უმრავლესობის თვალში „სიგიჟედ", „არანორმალურობად" აღიქმება: „მაშ, ნუ გწყინს, გულო, კაცთაგან გმობა, ხელი გეძახონ, ნუ გენაღვლება, — შენ კი დაადექ შენს წმინდა აზრსა და აღასრულე დანიშნულება!" („საბრალო გული", 1861 წ.). „წმინდა აზრსა" და „ადამიანურ დანიშნულებაში" აკაკი გულისხმობს „შინაგანი ადამიანის" აღორძინებას ორი უმთავრესი მცნების — ღვთისა და მოყვასისადმი სიტყვით და საქმით სიყვარულის აღსასრულებლად. ამის გარეშე „გინდ ცამდისაც ამაღლდეს, კაცი რა არის? —ჰია! რაც ბრწყინავს ფუტუროა, გარეგნობა — ფუჰია! კმარა კაცისთვის მხოლოდ ღვთის მსგავსება — ხატება! ამ ციურ ნიჭს ამ ქვეყნად სხვა რა დაემატება?! ეს არის ჩემი რჯული, და ჩემი აღსარება!... და მგონია, რომ კმარა, ქვეყნად ეს ნეტარება!... დეე, დამგმოს ქვეყანამ, გამიმეტოს, გამკიცხოს! თავი ბრძენი ეგონოს, მე გიჟებში ჩამრიცხოს!... ხელს არა ვჰყოფ გარეგნად გაბრწყინვებას და მკობას! ვერ დავუთმობ ვერავის შინაგან აკაკობას". („პასუხი მეგობარს", 1871).

მართლაც, წმინდა წერილისა და წმინდა მამათა სწავლების მიხედვით, ყველაზე მაღალი ღირსება, რითაც ადამიანი ღმერთმა დააჯილდოვა, ღვთის ხატება და მსგავსებაა (დაბ. 1, 26). ამრიგად, ჩვენში თავითვე ჩაიდო გრძნობა ღმერთისა, გრძნობა უმაღლესი ჭეშმარიტებისა, და მიუხედავად იმისა, რომ ცოდვების გამრავლების შედეგად დავამახინჯეთ და გავაბუნდოვანეთ იგი, მაინც შევიგრძნობთ ჭეშმარიტებას, როგორც რაღაც უსასრულოდ ახლობელსა და მშობლიურს, თუმცა უკვე ჩვენს მიერ დიდი ხნის წინ დაკარგულსა და მივიწყებულს.

თუ სამოთხეში ჩვენი პირველი მშობლების ცხოვრების შინაარსს ღმერთი და მასთან ნეტარი ურთიერთობა (ერთიანობა) შეადგენდა, ცოდვით დაცემის შემდეგ ერთადერთი მიზანი, რისთვისაც მონანიე კაცობრიობას უნდა ეცხოვრა, იყო იმედი და მოლოდინი ღმერთთან კვლავ შეერთებისა „ძე შეცთომილის" „მამასთან" დაბრუნებისა.

და სწორედ მაშინ, როდესაც ღმერთი განკაცდა და მაცხოვარი მოვიდა ამქვეყნად, ამით თვით ხორცშესხმული ჭეშმარიტება შემოვიდა კაცობრიობის ისტორიაში („ღმერთი არის ჭეშმარიტება", ინ. 14, 6). მაგრამ ჩვენი ერი, ვინც საუკუნეთა მანძილზე „ქრისტეს გულისთვის... ბევრი სისხლი დაღვარა" (პოემა — „მოხუცის გრძნობა"), ვისაც მტკიცედ სწამდა, რომ „ღმერთზე დიდი არვინ არის... ვერ იქნება ვეროდესა" (პოემა — „მამლის ყივილი"), მეცხრამეტე საუკუნეში კიდევ უფრო სცილდება ქრისტეს, უცხოვდება ჭეშმარიტებისაგან, ცოდვებსა და სულიერ მთვლემარებაში იძირება, შინაგანი ღირსების თანდათანობით გაუჩინარებასთან ერთად ძლიერდება მისწრაფება გარეგანი განსწავლულობისა და განათლებულობისაკენ, ეცემა ზნეობრივი სული: „წაირყვნა ქვეყანა ღვთის წინაშე და აივსო ქვეყანა უსამართლობით" (დაბ. 6, 11). თითზე ჩამოსათვლელნიღა რჩებიან ისეთი ადამიანები, რომელთაც „დაბადების" სიტყვებით რომ ვთქვათ, სწყურიათ თავიანთი ცხოვრებით უფლის წინაშე სიარული, სრულყოფილება, განღმრთობა; აღარ ჩანან ისეთი პიროვნებები, რომლებიც ღვთის მოწოდებას — ხალხში ჭეშმარიტების გადასაცემად „ვინ მივავლინოთ და ვინ გაგვეგზავნება? — თამამად, უშიშრად გამოეხმაურებოდნენ: „აჰა, მიმავლინე" (ეს. 6,5).

მეცხრამეტე საუკუნის უკვე ფაქტიურად არაქრისტიანულ საქართველოში ასეთი პიროვნება ილიასთან ერთად („ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ, რომ წარვუძღვე წინა ერსა", აკაკიც იყო. („შეუპოვარი .. სიმართლე ნაბრძანები მაქვს მე ცისა"), რომელთა შემოქმედებას თაობიდან თაობამდე, ათეული წლების მანძილზე კვლავ და კვლავ იმიტომაც ვუბრუნდებით, რომ შესაძლებლობა გვეძლევა მათ საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ პუბლიცისტურ წერილებში სწორედ უმაღლეს ღვთაებრივ ჭეშმარიტებას შევხვდეთ და განვიცადოთ. „თუ ჩემს სამშობლოს გამოაღვიძებს ჩემი სიკვდილი, აჰა, მეც მზად ვარ!... მოდი, ჯალათო, შენი მახვილი შეუბრალებლად ზედ გულზე დამჰკარ!... ყოველი წვეთი ჩემი სისხლისა თუკი გამოზდის მამულიშვილსა, ცოდვა არ არის, რომ მოვერიდო მაშინ მე ტანჯვას და თვით სიკვდილსა? არა! სიკვდილი ვერ შემაშინებს, მომზადებულსა მამულის მსხვერპლსა! მზად ვარ შევსწირო სული და ხორცი და სამშობლოზე ვჰყრიდე თვით ფერფლსაც!" („მომაკვდავის ფიქრები" —1911); „და თუ მსხვერპლი საჰიროა... ნუ განმაგდებ!... სხვებზე უმალ მიმიღე და შემიწირე!... („განდეგილი", 1899).

ღვთისა და ერისადმი ასეთი თვითუარყოფამდე და თვითშეწირვამდე სიყვარულის გარეშე აკაკი ვერც თავისი ადამიანური მოვალეობის აღსრულებას შეძლებდა და ვერც ღვთაებრივი სტრიქონების შექმნას. აკაკის შემოქმედების სიდიადე იმალება არა მარტო და არა იმდენად სიტყვაში, რამდენადაც იმ ძალაში, რითაც ეს სიტყვები წარმოითქმება და იწერება. აკაკი რასაც წერდა და ლაპარაკობდა, პავლე მოციქულის მიხედვით რომ ვთქვათ, ლაპარაკობდა არა მხოლოდ „კაცური სიბრძნით ნასწავლი სიტყვით, არამედ სულის წმიდის მიერ ნასწავლით" და სულიერს სულიერით განმარტავდა" (1 კორ. 2, 13). შემოქმედებაში არაა საკმარისი მარტო ადამიანური გულმოდგინება, ნიჭი, საერო ცოდნა და შრომისმოყვარეობა, საჭიროა უმაღლესი ღვთაებრივი ძალაც. ამიტომ ვინც ისე ცხოვრობს, რომ აკაკის მსგავსად მადლით გამდიდრდება ღვთისაგან, გამდიდრდება მასში ყოველგვარი სიტყვით და ყოველგვარი შემეცნებით და უკვე თვითონ კი არ ილაპარაკებს, არამედ ღვთის სული ილაპარაკებს მასში (მთ. 10, 20).

ყოველი მწერლის სიტყვის გავლენის ძალა მსმენელსა და მკითხველზე პირდაპირაა დაკავშირებული მისი პირადი ცხოვრების სიმაღლეზე. რაც უფრო ღვთისნიერი, წმინდა, ამაღლებული ცხოვრებით ცხოვრობს, მით უფრო ხანგრძლივი, წარუვალი და მძლავრია სიტყვისა და ნაწარმოებების შემოქმედების ძალა, და პირიქით, ვისი ცხოვრებაც სათანადო სიმაღლეზე არ დგას, იმ უნაყოფო ლეღვის ხეს ემსგავსება სახარებიდან (მთ. 21, 18-22), რომელზეც ქრისტემ ფოთლების გარდა ვერცერთი ნაყოფი ვერ იპოვა და უთხრა: „ნულარ გექნეს შენ ნაყოფი უკუნისამდე"... („მკვდარი ხარ, ცოცხალს კი მგავსხარ" — სიტყვები „გამოცხადებიდან").

რიცხვი ისეთი ადამიანებისა, რომელთაც ბევრი „ფოთლები" აქვთ, მაგრამ ღვთის მოსაწონი და სასარგებლო ერთი ნაყოფიც არ „აბია", აკაკის თანამემამულეებს შორის წლიდან წლამდე სულ უფრო და უფრო იზრდება. თუ წინათ ქართველი კაცის სახლის საზღვრები მთელს სამშობლოს მოიცავდა, დღეს მისთვის სამშობლოს საზღვრები საკუთარი „ჩინის", მუცლის და სახლის ზღურბლთან მთავრდება, ღმერთისა და მოყვასისათვის თავგანაწირული, დღეს ღვთისმკვლელი და ძმისმკვლელი ხდება: „აღარ გვაქვს გრძნობა, დავჰკარგეთ გონი, გაგვიქრა სული მამა-პაპური! ჩინი შეგვექმნა ჭკუის საწონი და ძმობის ნაცვლად — ბოროტი, შური! („აღარ გვაქვს გრძნობა", 1872); „ჩუ! ქართველო ბედნიერო, ნუ ამბობ მამული მიყვარს! როგორ უნდა დაგიჯერო, რომ ძმის სისხლით ხელი გიყარს" („ჩუ, ქართველო", 1865); „ხალხმა დაკარგა სარწმუნოება, დღეს იმას აღარ მოეპოვება; აღარც სიწმინდე, აღარც სიმშვიდე, აღარც სიმართლე და სასოება!" „დღეს ნინოობა არის, მოციქულთა სწორისა, სიონში ვერ ვინ ვნახე, გარდა ერთი-ორისა!" „სუყველა გადაგვარდა; შეგვძულდა ჩვენი თავი", „სული როცა მოკვდება, მაშინ ხორციც მკვდარია!" „რაც ვიყავით, აღარ ვართ, და რაც ვართ დღეს — ის თქვენს მტერს!" „... ქართველი მე რომ მინახავს, ის აღარ არის!... სადღაა მისი ამაყი სახე, შეუპოვრობის გამომსახველი?" („ვორონცოვი", 1909-1910 წ.); „თქვენა ხართ მამულიშვილი! აბა, რა დასაჯერია!... თუ არ თქვენთვისვე, მაგ თქვენს გულს ერთხელაც არ უძგერია!" (უხათაურო, 1861); „გამოიცვალა ქვეყანა, ჩარხი უკუღმა ტრიალებს: ვირი კოკობ ვარდს დაჰგალობს, ბულბული ვირებრ ჰყროიალებს! ზამთარში სიცხე გვაწუხებს, ზაფხულში დგება ზამთარი; სომეხმა ხმალი აიღო, ქართველმა — სომხის დავთარი! ქურდები სჭრიან სამართალს, მართლებს უყრიან ბორკილსა, და ქვეყნის მტერი იუდა დასცინის მამულიშვილსა! ბრიყვი და უსწავლელები თავში უდგია ჭკვიანებს... გაჰქრეს ეს ჟამი ბარემლა, ნეტავი, რას იგვიანებს!..: („გამოიცვალა დრო", 1880).

აკაკი ზოგჯერ ღვთისა და მამულისაგან საქმეებით — („ნაყოფით") განდგომილ საქართველოს მობსსენიებს „ფარისევლების მხარედ" („გამოსალმება", 1881), სადაც „სატანა წვრილ-წვრილ ეშმაკებს აგზავნის", სადაც „ერთი უბედურია.. მხოლოდ მეორის ბედნიერებით", „ვინც... უფრო ცუდია, ის არის უფრო ძლიერ-ხმიანი" და სადაც — „ხუთს ვერ ნახავ ას კაცში, რომ სთქვა: აქაც ყოფილა ადამიანი!" (დაწვრილებით ამ საკითხების შესახებ იხ. ლიტერატურული წერილების ციკლში: „ღვთაებრივი და ეროვნული აკაკის შემოქმედებაში", რომელიც ალმანახ „კრიტიკის" უახლოეს ნომრებში გამოქვეყნდება).

სადა არის ხსნა?

აკაკის მთელი შემოქმედებიდან გამომდინარე პასუხი, მოკლედ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ:

ხსნა—ღმერთშია, ჩვენი სასიცოცხლო ენერგია — ქრისტიანულ მოძღვრებასა და ამ მოძღვრების მიხედვით ცხოვრებაში, ჭეშმარიტ მართლმადიდებელ რწმენაში, სასოებასა და სიყვარულში, და მათ შესატყვის საქმეებში: „დიახ! ღმერთი... მხოლოდ ის! იმას უნდა მივენდოთ, ვიტვირთოთ ჯვარი მძიმე... არ დავრჩეთ უიმედოთ!" „არა!... ჩვენი ნუგეში, ყოვლისშემძლე ღმერთია, იმას უნდა მივენდოთ, მხოლოდ ერთად-ერთია!" „მაგრამ ღმერთი გვფარავდა, დღესაც ის დაგვიფარავს და გაუძლებთ განსაცდელს, ისე რომ ვერ დაგვაბზარავს" („ვორონცოვი"), „და მაგალითად ის გყავდეს, ვინც ჩვენთვის იყო ტანჯული („ჩემს მეგობრებს"); ჩემო სულისდგმავ! ტკბილო გულის თქმავ! ყველგან, ყოველთვის მნათობო სულის! შენ ერთადერთო შემკვრელ-გამხსნელო, ჩემის ტანჯვისა და სიხარულის. ცით მოვლენილო, ქვეყნად შობილო, ცისა და ქვეყნის შუა კავშირო! ჩამგონებელო, ზე-აღმგზნებელო, ქნარ-საზევსურო, . უკიდ-უძირო!... მეც „ჭეშმარიტად" — ვამბობ და მრწმენა მკვდრეთით აღდგომა ჭეშმარიტების წყარო ცხოვრების და სიმართლისა თუმცა იმღვრევის, მაგრამ არ შრტების! მრწამს.. ქვეყნად ტანჯულ სიმართლეს მკვდრეთით აღადგენს კურთხევით ზეცა... წმინდა ამბორმა შეგვისისხლხორცოს ახალი რჯული და ძველი აღთქმა!" („ქრისტე აღდგა", 1899).

ჩვენს ერთ-ერთ ნაშრომში შევეცადეთ, დაგვესაბუთებინა ცალმხრივობა ქართულ ლიტმცოდნეობაში გაბატონებული თვალსაზრისისა, რომლის თანახმად, აკაკი წერეთლის შემოქმედებაში თითქოსდა ქართველი კაცისათვის ყველაზე მაღალი რეალობა სამშობლოა, ერია, ხოლო უმაღლესი ცნობიერება— ეროვნული ცნობიერებაა. სინამდვილეში იმ რჩეული წინაპრებისათვის (და თვით აკაკისთვისაც), რომელთაც პოეტი მხატვრულ სახეებში აცოცხლებს, ყველაზე მაღალი რეალობაა ქრისტე ღმერთი („ხორცს გავწირავთ რჯულისათვის, მაგრამ მტკიცედ ვიპყრობთ სულსო, მივენდობით ქრისტე-ღმერთსა და იმისგან სასწაულსო" — პოემა — „ომი") და მასთან განუყოფლად დაკავშირებული საქართველო, რომელსაც აკაკის შემოქმედებაში საქრი-

(დასასრული მე-10 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხალხური სიბრძნის მესაიდუმლე



ბევრი ვიფიქრეთ თუ როგორ უნდა დაგვეწერა წერილი ცნობილ ეთნოგრაფზე, საინტერესო მკვლევარსა და პიროვნებაზე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელზე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ჟულიეტა რუხაძეზე, მასზე, ვინც დიდი ამაგი დასდო ეროვნული ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარებას და საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ქართველ სწავლულთა შორის.

ვიფიქრეთ, რადგან რაღაც განსაკუთრებულით გვინდოდა დაგვეწყო, ბოლოს კი იმ დასკვნამდე მივედით, რომ ასეთი რამ სულაც არ იყო საჭირო, რადგან მას საოცრად არ უყვარს განსაკუთრებულობა, ამასთან, ეპითეტებსა და მრავალსიტყვაობას გაურბის და ათასგზის ნათქვამსა და გამეორებულს, ერთი უბრალო, პირდაპირი სიტყვა ურჩევნია.

28 წლისა იყო ქალბატონი ჟულიეტა, როცა იგი ისტორიის ინსტიტუტში მოვიდა სამუშაოდ და აქ გაატარა მთელი თავისი შემოქმედებითი ცხოვრება. სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში აღზრდილს, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, ვარლამ დონდუას, გიორგი ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძისა და სხვათა ცოდნას ნაზიარებს, ბედმა მისივე მასწავლებლების გვერდით მუშაობა არგუნა წილად. იგი გ. ჩიტაიასა და ვ. ბარდაველიძის საუკეთესო მოწაფედ ითვლებოდა და არის კიდეც მოძღვართა საქმის ერთგული გამგრძელებელი.

ახალგაზრდა მკვლევარი იმთავითვე გამორჩეული მისწრაფებით ხასიათდებოდა. ყოველთვის ახალს, რთულსა და საინტერესოს ეძიებდა. ამაზე ერთი უბრალო ფაქტის დასახელებაც საკმარისია. ესაა მისი პირველი საკვალიფიკაციო ნაშრომი, საკანდიდატო დისერტაცია, რომლის არჩევანიც მან გადაწყვიტა, სრულიად შეგნებულად, წინასწარ განსაზღვრული მიზნით — შეესწავლა და დღის სინათლეზე გამოეტანა ხალხური ყოფისა და სულიერი კულტურის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი მხარე, ძველი ქართული დღესასწაული ბერიკაობა-ყეენობა. ამ ამოცანის გადაწყვეტა დამწყები ეთნოგრაფისათვის ძალზე გაბედული ნაბიჯის გადადგმა გახლდათ, რამეთუ იგი მოითხოვდა არა მხოლოდ დიდძალი ეთნოგრაფიული მასალის მოძიებას, არამედ ფართო ერუდიციას, ნიჭიერებასა და ანალიტიკური აზროვნების უნარს, რელიგიის ისტორიის საკვანძო საკითხების საფუძვლიან ცოდნას, რასაც ავტორმა წარმატებით გაართვა თავი.

მკვლევართა შორის მან პირველმა გამოთქვა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბერიკაობა-ყეენობა ერთი საერთო წარმომავლობის ხალხური მისტერიაა, რომელმაც ძველ ბერძნული აღმოსავლური და ევროპული სატურნალიების დარად მკვეთრი ტრანსფორმაცია განიცადა და გაორებული სახე მიიღო, გამოხატავდა რა საზოგადოების განვითარების ეტაპობრივ ხასიათს, დაწყებული უძველესი ხანიდან, დამთავრებული თანამედროვეობით, დღესასწაული შეიცავდა დანაშრევებს დროთა განმავლობაში მომხდარი ყველა იმ კულტურულ-ისტორიულ მოვლენისას, რომლებიც ქართველი ხალხის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრებისა და რელიგიური აზროვნების სფეროში მიმდინარეობდა.

დიდია ჯ. რუხაძის, როგორც სამეურნეო ყოფისა და მატერიალური კულტურის საკითხებზე მომუშავე მეცნიერის, დამსახურება ჩვენი ხალხის სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიის შესწავლის საქმეში. ამ თემას მიუძღვნა მან თავისი ფუნდამენტური მონოგრაფია „აგროკულტურა დასავლეთ საქართველოში“, რომელიც სამაგიდო წიგნად იქცა ქართველ ეთნოგრაფთათვის, ქართული კულტურის ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

ეთნოგრაფია დროის მიმდევარი მეცნიერებაა. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი წარსულთან ერთად თანამედროვეობასაც სწავლობს. მაგრამ, განსხვავებით წარსულისაგან, ახალ ყოფაში მიმდინარე პროცესები შედარებით სწრაფი დინამიზმით გამოირჩევიან და ამ მხრივ ისტორიული კანონზომიერების დადგენა საკმაოდ რთული ამოცანაა. ასეთი ამოცანა იდგა ქართველ ეთნოგრაფთა წინაშე 50-იან წლებში, როცა საკვლევ ობიექტად კახეთის ერთი ლამაზი სოფელი აკურა იქცა. აქ კარგად ჩანდა ტრადიციულობის სურათი, ინტენსიურად განვითარებული მემინდვრეობა და მევენახეობა-მეღვინეობა, ძირძველი საოჯახო წეს-ჩვეულებანი, დასახლების ფორმები, სამეზობლო ურთიერთობანი და სხვ. მაგრამ, ამასთან ერთად, შეინიშნებოდა მთელი რიგი ცვლილებები როგორც ეკონომიკაში, ასევე კულტურულ ცხოვრებაში.

კრებული „სოფელი აკურა“ 1961 წელს გამოიცა. წიგნის მთავარი დამსახურება ისაა, რომ მასში, საბჭოთა კავშირში გამოცემული ამგვარი ხასიათის ნაშრომებისგან განსხვავებით, ახალი ყოფა ძველთან უშუალო მიმართებაში აისახა და გამოიკვეთა ქართული ტრადიციული კულტურის უწყვეტლობა, მისი თვითმყოფადი მრავალსახიანი ბუნება.

ჯ. რუხაძე ამ ნაშრომის ერთ-ერთი ძირითადი ნაწილის ავტორია. მან აქ გამოთქვა მოსაზრება აგრარულ კულტთა წარმართული ბუნებისა და ატრიბუციული ხასიათის შესახებ, წარმოაჩინა იგი მდიდარი ხალხური მონაცემების ფონზე, რაც კიდევ ერთი დასტური იყო ეთნოგრაფიული მასალის, როგორც პირველწყაროს არსებობისა.

ცალკე უნდა შევეხოთ ჯ. რუხაძის, როგორც რედაქტორის და საგამომცემლო საქმის ორგანიზატორის მუშაობას. პირველ რიგში ერთ საინტერესო ფაქტს გავიხსენებთ. მას შემდეგ რაც საქართველოს ეთნოგრაფიაში რეგიონალური კვლევის გარკვეული გამოცდილება დაგროვდა, შეიქმნა საფუძველი კულტურის ელემენტების უფრო გაფართოებული, ზოგადკულტურული კვლევისა, მოპოვებული მასალების შეჯერებისა და სათანადოდ წარმოჩენისა, დღის წესრიგში დადგა საკითხი ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასის გამოცემისა, რომლის ძირითადი პრინციპები აკად. გ. ჩიტაიამ შეიმუშავა. ამ უაღრესად ეროვნული, რთული და საპატიო საქმის ერთ-ერთი განმახორციელებელი ჯ. რუხაძე გახლდათ. მან დიდძალი ენერგია შეალია ატლასის პირველი და მეორე ნაკვეთების გამოცემას, მათში კარტოგრაფირების შესაბამისი მეთოდების გამოყენებით მიწათმოქმედების კარდინალური საკითხებია შეჯერებული. ჯ. რუხაძე იყო თანაავტორი და რედაქტორი ამ ნაკვეთებისა და, უნდა ითქვას, რომ თუ არა მისი პრინციპული და ენერგიული ხელმძღვანელობა, ეს ნაკვეთები (მიუხედავად მათი დადებითი და ნაკლოვანი მხარეებისა), ალბათ, კიდევ კარგა ხანს ვერ გამოვიდოდა.

შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს საკითხი, რაც კი ეთნოგრაფიის დარგის კეთილდღეობას შეიძლება შეეხებოდეს, რომ არ აღელვებდეს მას. ახასიათებს მაღალი პასუხისმგებლობისა და მადლიერების გრძნობა, რის გამოც არ ავიწყდება არავინ და არაფერი. ესაა გარდაცვლილ ეთნოგრაფთა სახელის უკვდავყოფა, გასაჭირში ჩავარდნილი ადამიანების ბედი და სხვა მრავალი. იგი ამჟამადაც, როცა მის თმას ზამთრის ჭაღარა შემოერია, ძველებური შემართებით მუშაობს, ხელმძღვანელობს ასპირანტებსა და მაძიებლებს.

ისღა დაგვრჩენია, მადლობა მოვახსენოთ ქალბატონ ჟულიეტას ჩვენი ერისა და ხალხის წინაშე გაწეული დიდი სამსახურისათვის.

**კოტე ჩოლოყაშვილი,**
**გიორგი გოცირიძე.**

---

(დასასრული)

სტიანო (ან — „ქრისტიანული საქართველო“) ჰქვია, ქართველს — ქრისტიანი; აკაკისთან ქართველი კაცი ქრისტიანული სარწმუნოების დამცველად გაიაზრება („გმირნი ხართ, კვდებით გმირულად, საქრისტიანოს მსხვერპლად“ — პოემა „ნათელა“), ხოლო ქართველი კაცის ეროვნული ცნობიერება — ქრისტიანული ცნობიერებისაგან განუყოფლად.

ქართველობის ძალა ქრისტიანობისა და ეროვნულობის გაუთიშველობაშია.

ეს შესანიშნავად უწყოდა ყველა ჩვენმა მტერმა. სწორედ ამიტომ ცდილობდა მის საბოლოოდ დასამონებლად და გასანადგურებლად ჩვენი სულიდან ქრისტიანული სარწმუნოების აღმოფხვრასა და ამოძირკვას: „სანამდი სარწმუნოება ქართველს ექნება ზელშიო და არ მოკვდება ზნეობით, — ხელს ვერ წაუჭერ ყელშიო. ჯერ უნდა რჯული წავართვათ, გავხადოთ უნამუსოთო და მერე შევძლებთ ადვილად, რომ კიდეც გავათათროთო“ (პოემა „რაჭა-ლეჩხუმი“); „რას გააწყობ იმ ხალხთან, რომელსაც რჯული და ეროვნება ერთმანეთზე გადაუბამს, შეუხორცებია და სულს ზორცზე მაღლა აყენებს... ხალხი, რომელსაც სხეული გაუკაჟებია და სული აუმაღლებია, საშიშია... ჯერ უნდა სხეული დაუდუნდეს, სული დაუმდაბლდეს და მერე შეიძლება მისი მოწევა“, — ფიქრობს შაჰ-აბაზი აკაკის რომანიდან „ბაში-აჩუკი“; „ხალხი რომ საყდარში სიარულს აღარ დაიწყებს და საქრისტიანო მოძღვრებას მოკლებული იქნება, მაშინ ნელ-ნელა დაივიწყებს რჯულს, დაჰკარგავს სარწმუნოებას, ზნეობითად დაეცემა და ამნაირად, სულით მკვდარი ხალხი, ადვილად მოსათოკი იქნება“, — მიმართავს მოღალატე ქუთათელი ოზმაოლ-ფაშას მოთხრობაში „წმინდა გიორგის რაზმი“.

მე პირადად, აკაკი წერეთლის მსოფლმხედველობას ასეთი მოკლე ფორმულით განვსაზღვრავდი: ქრისტიანული პატრიოტიზმი.

აკაკის მსოფლმხედველობას სწავლობდნენ ყველა ასპექტით: სოციალურ-პოლიტიკური, მხატვრულ-ესთეტიკური, ფილოსოფიურ-ეკონომიური, პოლიტიკურ-ეროვნული და სხვა ასპექტებით, გარდა — რელიგიურისა, მაშინ როდესაც ის ძირითადი სარკმელი, საიდანაც აკაკი ჰვრეტს და შეიმეცნებს სამყაროს (როგორც რეალურს, ისე — მხატვრულს) — ბიბლიური, ქრისტიანული მოძღვრებაა!

აქედან გამომდინარე, მისი მსოფლმხედველობაც უმთავრესად ამ ფუნდამენტზე შენდება (საერთოდ, ამ მხრივ შესასწავლია როგორც მეცხრამეტე, ისე მეოცე საუკუნის უმდიდრესი ქართული ლიტერატურა).

ხშირად აცხადებენ და წერენ, თითქოსდა ჭეშმარიტი ქრისტიანული მოძღვრება გამორიცხავს სამშობლოს, თანამემამულის გამორჩეულ სიყვარულს და მხოლოდ ზოგადადამიანურ სიყვარულს ითვალისწინებს, ეს მცდარი, არასწორი თვალსაზრისია.

პავლე მოციქული, რომელიც სასტიკად შეიძულეს თანამემამულეებმა, რადგან ქრისტეს მოძღვრებას უქადაგებდა და ამიტომ თავიანთი მამების რწმენის მოღალატედ მიიჩნევდნენ მას, ღმერთს ევედრებოდა, ლოცულობდა: დაე, მე ვიყო განდგომილი ქრისტესგან, ოღონდ კი ჩემმა ისრაელმა ერმა აღიაროს ჭეშმარიტება, მიიღოს იესო ქრისტე..

თუნდაც ამ ერთი მაგალითიდან ჩანს, რომ წმინდა პავლე მზადაა, თავად მარადიულ სატანჯველში მოხვდეს, ოღონდ კი მშობლიური ერი ცხონდეს და მარადიული სიცოცხლე და ნეტარება დაიმკვიდროს. აქ ჩანს, ცხადია, უღრმესი და უმძაფრესი ტკივილი და სულიერი ტანჯვაც თანამემამულეთა გამო. აღარას ვიტყვით თვით იესო ქრისტეზე, რომელიც ებრაელ ერს თავის ერს უწოდებდა. იერუსალემში დიდებით შესვლისას აღფრთოვანებული ხალხი უფალს ოსანას შეძახილებით ეგებებოდა, თვითონ კი ამ დროს იერუსალიმს გადაჰყურებდა და ცრემლოოდა, ტიროდა არა საკუთარი მოახლოებული ვნებისა და ტანჯვის, არამედ თავისი ერის გამო, რომელიც მალე ჭეშმარიტ ღმერთს, უფალს ჯვარს აცვამდა, უარყოფდა მას და ამის გამო ტანჯვითა და ჯვარცმული ცხოვრებით იცხოვრებდა ქვეყნიერების დასასრულამდე...

სიყვარული ღვთისადმი და სიყვარული მოყვასისადმი აკაკის შემოქმედებაში ისეა გადაჯაჭვული და გადაჯვარედინებული ერთმანეთზე, როგორც ჯვარში—ორი ხაზი, რომლებიც ამ ორ მცნებასაც განასახიერებენ. ქართველი ერისთვის ქრისტიანობა მის ეროვნულ მეობას განსაზღვრავდა, ამ მეობის თავდასაცავ ფარსა და მხნელ მახვილს კი, თავის მხრივ, ქრისტიანობაში ხედავდა.

ასე ეხმოდა ღვთაებრივისა და ეროვნულის ურთიერთობა და ურთიერთგანუყოფლობა ჩვენს ხალხს, რაც ხალხურ ლექსშიც გამოხატა: „ვახტანგ მეფე ღმერთს უყვარდა, ომში ხმალი მიაწოდა“; პოლიტიკურ მოღვაწეებს, მეფეებს (— დიდგორის ომის წინ დავითი მიმართავს მხედრობას: თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მსახურებს, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ, და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ ყველამ ხელების ციხკენ აპყრობით ღმერთს აღთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისათვის ამ ბრძოლის ველზე დავიხოცებით და არ გავიქცევით), ასევე — სასულიერო და საერო მწერლობის წარმომადგენლებს, როგორც ეს აკაკის შემოქმედების განხილვიდანაც გამოჩნდა.

ისტორიულად ქართველობას აღებული ჰქონდა არა მარტო გარეგანი, არამედ შინაგანი ჯვარიც. ჯვრით ჰქონდა შემოსილი არა მარტო მკერდი, არამედ გულიც — უყვარდა ღმერთი მთელი არსებით და უყვარდა მოყვასი, როგორც საკუთარი თავი და უფრო მეტიც: მოყვასისა და მამულისათვის თავის გაწირვა ჩვეულებრივი მოვლენა გახლდათ მისთვის. ქართველ ერს უარყოფილი ჰქონდა თავისი სული ქრისტესათვის და ამიტომ შეძლო მისი მოპოვება და შენარჩუნება, დღეს საკუთარი სულის, საკუთარი თავის შენარჩუნებას ცდილობს და ამიტომ კარგავს მას. გავიმეორებ: ერი, რომელიც მხოლოდ შორიდან უმზერს ჯვარს და არ ჩქარობს მის აღებას („და ვინც არ აიღებს თავის ჯვარს და არ გამომყვება მე, არ არის ჩემი ღირსი. ვინც ჰპოვებს თავის სულს, დაჰკარგავს მას; და ვინც ჩემი გულისათვის დაჰკარგავს თავის სულს, მოიპოვებს მას“ (მთ. 10, 38-39); ერი, რომელიც აღარ ბაძავს სიტყვით და საქმით მას, ვინც ჯვარს ეცვა ცოდვათა ჩვენთათვის და ამ უმთავრეს მცნებას აღარ ასრულებს, სული წმიდის მადლიც აღარ გადმოდის მასზე. სული წმიდის ძალის დახმარებისა და შეწეობის გარეშე კი, როგორც ბასილ დიდი გვასწავლის, შეუძლებელია იმ სულიერ სიმაღლეზე ასვლა, იმ სანუკვარი მიზნის მიღწევა, რომელზედაც რაზანია ოცნებობს ქართველობა.

დაუშვებს კი დამოუკიდებლობას, თავისუფლებას ჩვენი ერისას ღმერთი, რომელთანაც აღარ ვმეგობრობთ („თქვენ ჩემი მეგობრები ხართ, თუ ასრულებთ იმას, რაც გამცნეთ თქვენ“ (ინ. 15, 14) და რომლის სიყვარულშიც აღარ ვრჩებით („თუ დაიცავთ ჩემს მცნებას, დარჩებით ჩემს სიყვარულში“ (ინ. 15, 10) ჩვენთვის, ვინც „ერთმანეთს სიყვარულით კი არ აღვაშენებთ“, არამედ ურთიერთს სიძულვილით, შურით, მტრობით, მეტოქეობითა და მიუტევებლობით ვანადგურებთ, ცოდვებით ვმდიდრდებით და სინანულისგან განვიძარცვებით, იესო ქრისტესგან (რომელიც არის „ღმერთი მონანულთა“) ვუცხოვდებით?! თუ სულიერ-სარწმუნოებრივად არ ავღორძინდით, მაშინ როგორც აკაკი ამბობს: „ასე დღე-ხვალიობით ხალხი დაკარგავს რჯულსა... დამღუპველი შარა-გზით, მიადგება უფსკრულსა“ („ვორონცოვი“).

ჩვენი წინამძღვარი და მოძღვარი უფალია, ხოლო ჩვენ ყველა დანარჩენი ძმები ვართ (მთ. 23, 8-10). გადარჩენისაკენ, სულიერი და კულტურულ-მატერიალური აღმშენებლობისაკენ ისტორიულად იმ ქართველთ მივყავდით და მივყავართ, ვინც საკუთარ თავში გაამბატონეს არა საკუთარი „მე“ და „ადამიანური სიბრძნე“ („არ არის ეს სიბრძნე ზეცით ჩამოსული, არამედ მიწიერი, მშვინვიერი და ეშმაკეულია“, — იაკ. 3, 15), არამედ „ღვთის ნება“ და „ღვთის კარნახით“ „ღვთაებრივი სიბრძნით“ ერს მიუძღვებიან.

გზა ხსნისა, გზა ცხონებისა ერთადერთია:

იესო ქრისტე: „მე ვარ, გზა და ჭეშმარიტება და სიცოცხლე“, ინ. 14,6

ვისაც სხვა „გზა“, „სხვა „ჭეშმარიტება“ და სხვა „სიცოცხლე“ სწამს, — „ის ღვთის უარმყოფელია“. ქრისტე კი გვაფრთხილებს:

„ნეტარ არს, ვინც არ შემცდარა ჩემში“ (მთ. 11,6).

ეს გახლდათ შეუცვლელი და ურყევი რწმენა ჩვენი დიდი წინაპრის, აკაკი წერეთლისაც: „არსებობს შემოქმედი, ღმერთი... სიყრმიდანვე მრწამს!.. მის ხელშია, ის გაჰწონს საუკუნესა და წამს. უმისოდ ყოლიფერი ამ ქვეყნად ტყვილია! ვისაც ის სწამს, იმისთვის სიკვდილიც კი ტკბილია“...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მილოცვა

# ალექსანდრე გომიაშვილი-80

დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ პოეტს ალექსანდრე გომიაშვილს. ამასთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

**ჩვენო ძვირფასო ალექსანდრე!**

**საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი თანამოკალმე ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღვაწლმოსილ, მხცოვან შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში — დაბადების 80 წლისთავს.**



ექვს ათეულ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართველ პოეტთა ამქარს თქვენი სახით თვითმყოფადი და ორიგინალური ხმის მქონე წევრი შეემატა. ამ ხნის მანძილზე მრავალი შესანიშნავი ნაწარმოები გამოაქვეყნეთ, ქართული პოეზიისათვის ჯერ უცნობი, ცინცხალი და ახალი მოტივებით გაამდიდრეთ ქართული ლექსი. ანკარა და აუმღვრეველია თქვენი პოეტური ნააზრევი, მხურვალე და ნაპერწკლიანი. პოეზიის ყველა ჭეშმარიტი თაყვანისმცემლისათვის კარგადაა ნაცნობი თქვენი ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა „ადგილის დედა“ და „წუთისოფელი“, რომლებიც ცხოვრების აზრზე ღრმა დაფიქრებასთან ერთად სიცოცხლის უკვდავების საგალობლად გაისმის დღესაც.

თქვენი შთაგონება მშობელი ქვეყნის წიაღშია ნასაზრდოები, თქვენი პოეზია სათავეს მყინვარწვერის საუფლოში იღებს. სწორედ ამიტომ შეიყვარა იგი ქართველმა მკითხველმა, ამიტომ შევიდა თქვენი რჩეული ნაწარმოებები ქართული პოეზიის ანთოლოგიებსა თუ ცალკეულ კრებულებში, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, პოლონურ, რუსულ, სომხურ ენებზე რომაა გამოცემული.

თავადაც ნაყოფიერ მთარგმნელობით საქმიანობას ეწევით. ქართველ მკითხველს გააცანით ივან ფრანკოს, ლესია უკრაინკას, პლატონ ვორონკოს, რასულ გამზათოვის, ნიკოლოზ ტიხონოვის შემოქმედების ნიმუშები, ყალმუხური ეპოსი — „ჯანგარი“...

ჩვენ გიცნობთ, აგრეთვე, როგორც მრავალი გამოცემის რედაქტორს, ქართული ხალხური პოეზიის შემკრებსა და მოამაგეს, ენერგიულ საზოგადო მოღვაწეს. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „მნათობის“ პოეზიის განყოფილების გამგედ, საქართველოს მწერალთა კავშირის პასუხისმგებელ მდივნად, საქლიტფონდის დირექტორად, გამომცემლობა „საქართველოს“ მხატვრული ლიტერატურის რედაქციის გამგედ, გამომცემლობა „განათლების“ დირექტორად, საქართველოს გამსახკომის წიგნის გამომცემლობათა სამმართველოს უფროსად, წიგნის პალატის დირექტორად.

საქართველოს მწერალთა II ყრილობაზე მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად აგირჩიეს, III ყრილობაზე კი — პრეზიდიუმის წევრად. მას შემდეგ უცვლელი წევრი ბრძანდებით გამგეობის პრეზიდიუმისა და თქვენი წვლილი შეგაქვთ მშობლიური ლიტერატურის აღმავლობაში.

მეორე მსოფლიო ომის სისხლიან დღეებში იარაღით ხელში ებრძოდით ფაშიზმს, ბევრჯერ ჩაგიხედიათ სიკვდილისათვის თვალებში, მაგრამ იქაც ივაჟკაცეთ და სახელოვნად დაუბრუნდით სამშობლოს.

ბატონო ალექსანდრე!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ამაგდარ თანამოკალმეს, ღირსეულ მოქალაქეს ჩვენი ქვეყნისას, ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა

# მიგიხვდი, ჩემო მოხევევ...

„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“ — ეს იყო, არის და იქნება უპირველესი და უწმინდესი მცნება ყოველი ჭეშმარიტი ქართველი პოეტისათვის.

60-იანი წლების მიწურული... ჯერ სადღაც, კარგამოკეტილ კაბინეტებში სპეციალისტების მთელი ჯგუფი თავს დასტრიალებს პროექტს, რომელსაც სულ მალე გამოიტანენ განსახილველად და განსახორციელებლად. ამ პროექტის მიხედვით, მდინარე თერგის დაგუბების შედეგად, წყალმა უნდა დაფაროს მთელი ხევი მყინვარწვერის კალთებსა და ყუროს მთას შორის, ე. ი. წყალქვეშ უნდა მოჰყვეს სტეფანწმინდა და გერგეტი, ალექსანდრე ყაზბეგის საფლავი და ლელთ ღუნიას შთამომავალთა ეზო-ყური, სიონი და საერთოდ სოფლები ყაზბეგს ზემოთ აჩხოტიდან კობამდე, ხოლო ყუროს მთის მხარეს — სნოს ხეობა თავის სოფლებით, სნო, კარკუჩა და სხვა მცირე უბნები; მათ ნაცვლად აქ გაიჭიმება კაშხალი და თერგი თვალისათვის უჩინარი გახდება, დაგუბებული წყალი გვირაბით წაედინება, გაივლის დარიალის ხეობას და ლარსთან აამოქმედებს გიგანტურ ელექტროსადგურს — დარიალჰესს. ერთი სიტყვით, მზადდება მორიგი დიდი ეროვნული ტრაგედია, რაღაც ბიბლიური წარღვნის მსგავსი, როცა „გამოეცნეს წყარონი უფსკრულისანი, ამაღლდა წყალი და დაფარნა ყოველნი მთანი მაღალნი, რომელნი იყვნეს ქვეშე ცისა“ (ბიბლია, წიგნი I, შესაქმე).

გასაგებია, რომ შეშფოთდა მთელი საქართველო — დიდიც და პატარაც, გლეხიც და ინტელიგენტიც. ერთმა მოხუცმა მოხევემ, ხევისბერივით ჭკვიანმა და გამოცდილმა გომიეთ გიგიამ ასე უთხრა მაშინ ალექსის:

— შვილო, შენი მამა-პაპის სალოცავი აქ არის, ეცადე, რასაც კი შეიძლებ, არავინ წაბილწოს შენი კერა და ღვარს არ გაატანოს...

და აი, პროტესტის პირველი ხმა, პირველი საგანგაშო სიგნალი გაისმა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმზე, სადაც ვრცელი სიტყვით გამოვიდა ალექსანდრე გომიაშვილი (ცნობა მწერლის ამ გამოსვლის თაობაზე გამოქვეყნებული იყო „ლიტერატურული საქართველოს“ 1970 წლის 3 ივლისის ნომერში). ამას მოჰყვა ვიზიტები საკავშირო კომიტეტსა და მინისტრთა საბჭოში, შეიქმნა საზოგადოებრივი აზრი, ამ საკითხს გამოეხმაურა მოსკოვის „ლიტერატურნაია გაზეტაც“. საგულისხმოა, რომ როცა ამ გაზეთის თბილისელმა კორესპონდენტმა ინფორმაციისათვის მიმართა მინისტრთა საბჭოს მაშინდელ თავმჯდომარეს გივი ჯავახიშვილს, მან იგი გომიაშვილთან გაგზავნა — მთელი ამ ამბის დამწყები ის არის და ყველაფერს ის გეტყვისო.

დარიალჰესის აშენების საქმე ჩაიშალა, პროექტი უარყოფილ იქნა და ამ საქმეში პოეტის ხმამაც საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა.

ომის წლებში, ქერჩის საშინელი ტრაგედიის დღეებში, პოეტმა ყველაფერი გააკეთა, რათა დაღუპვისაგან გადაერჩინა თავისი ჯარისკაცები, როცა არმიის პირველი რანგის კომისრის ლ. ზ. მეხლისის უჭკუო და უთავბოლო განკარგულებათა შედეგად, ყირიმის ფრონტზე ყველაფერი აირდაირია და ნამდვილი ქაოსი დაიწყო, ამ არეულობით უმალ ისარგებლეს გერმანელმა გენერლებმა და გაანადგურეს ყირიმში გადასხმული დესანტი. „გარემოცვიდან გამოსული ქართველი დივიზიის ნაშთები პირისპირ შეეჯახნენ მტრის ქვეგანაყოფებს... შეუპოვარი ბრძოლების გამართვა მოუხდა გარემოცვიდან გამოსულ მეორე ჯგუფს, რომელსაც მეთაურობდა კაპიტანი ალექსანდრე გომიაშვილი. მისმა მებრძოლებმა ენი-კალესთან კონტრიერიშით უკან დაახევინეს მტერს“ — ასე იწყება ომის მატიანე.

ალექსანდრე გომიაშვილის ლიტერატურული ნათლია ტიციან ტაბიძე იყო. 1929 წელს ახალგაზრდა პოეტმა ტიციანს მიუტანა თავისი „მთის ბალადა“, ტიციანმა წაიკითხა, მოეწონა და სასწრაფოდ გადასცა ჟურნალ „ქართული მწერლობის“ რედაქტორს სიმონ ხუნდაძეს, რომელმაც ლექსი ჟურნალის მეთორმეტე ნომერში გამოაქვეყნა. ამ დღიდან გამოდის გომიაშვილი ქართული პოეზიის ვრცელ ასპარეზზე.

იმ პირველი ლექსის დაბეჭდვიდან ექვს ათეულ წელზე მეტი გავიდა. ეს საკმაოდ ხანგრძლივი დროა და პოეტმაც ამ ხნის მანძილზე მტკიცედ დაიმკვიდრა ქართული სიტყვის მოწინავე ოსტატის სახელი. ყველაზე მთავარი ალექსანდრე გომიაშვილის პოეზიაში ფუძის, კერის, საქართველოს უკვდავების გრძნობაა. ეს მოტივი გასდევს მთელ მის შემოქმედებას, და ყველაზე მძაფრად მან ეს თავის „ადგილის დედაში“ გამოთქვა. ყველას ჰყავს თავისი ადგილის დედა და იმას აბარია ის ნათელი, ის სითბო კერისა, ადამიანის სულს რომ აძლევს ძალას იცოცხლოს, იშრომოს, იბრძოლოს, შესტრფოდეს ცასა და ხმელეთს. საქართველოს მთიანეთის მითოლოგიის წიაღიდან წამოსული ეს ცნება ახალი ძალით გაცოცხლდა გომიაშვილის ლექსში; აქ ადგილის დედა მოიცავს რაღაც იდუმალსა, ზებუნებრივსა თუ მისტიკურ ძალას, რომელიც დედასავით იფარავს და იცავს სიცოცხლეს და უზრუნველყოფს მის უკვდავებას — თაობები შეიცვლიან ერთი-მეორეს, მაგრამ უცვლელი დარჩება ნაცარწაყრილი ნაპერწკალი კერისა და ფუძისა. მყინვარის ქიმზე გადმოდგება ნამგალა მთვარე და პოეტის ზმანებაში ჩნდება მიღმა ქვეყნად წასული უფროსი ძმები, ისინი კვლავ სცელავენ სათიბს გერგეტის მთის კალთებზე, მამაც ისევ მხნედ არის, ისმის აკვნის საამო რწევა და დედის ტკბილი ნანა, მერე უცებ გაქრება ეს ზმანება და ისმის მარტოოდენ გრიალი ქარისა, ჭერხოში რომ არწევს დაცარიელებულ აკვანს. იგივე მოტივი ისმის მეორე ლექსში, რომლისათვისაც ავტორს „წუთისოფელი“ დაურქმევია. აქაც სიცოცხლით სავსე ამ წუთისოფელს ებრძვის და ედავება მეორე გრძელი სოფელი — „მარადიული სამკვიდრო ბნელი“.

ალექსანდრე გომიაშვილის ლექსებში მძაფრად იგრძნობა ეროვნული ფესვები, წერს ის რუსთაველზე თუ დარიალის ხეობაზე, ხევსურ აკია არაბულზე თუ გუდამაყრელ პატარძალზე, ბაზალეთის ტბაზე თუ მთის კალთებზე მიმოფანტულ სოფლებზე... ქარაფების თავებიდან ამაყად იმზირებიან ჯიხვები, ფერდობებში დგას ახლად მოთიბული ბალახის სუნი, ბეთლემის კარს ეხვევა ნისლი და ბორგავს თერგი, ხოლო მყინვარიდან მთელ ქვეყანას მოესმის არწივების ყივილი. პოეტის სიმღერასაც ჰყავს თავისი ადგილის დედა, სიმღერაც ცოცხალია და არც იმას შეუძლია უწინაპროდ გაძლება. მისი წინაპრები არიან

...სტეფანწმინდაში — მოჩხუბარიძე,
ჩარგალში — ლუკა რაზიკაშვილი.

ალექსანდრე გომიაშვილის პოეზიას, წრფელ ლირიზმსა და ეპიკურ სილაღესთან ერთად, ახასიათებს მდიდარი და ხატოვანი ენა. პოეტი განეკუთვნება ქართული მწერლობის ჭეშმარიტი ოსტატების რიცხვს, რომლებიც სიტყვითა და საქმით ერთგულად ემსახურებიან მრავალტანჯულსა, მაგრამ მუდამ მხნე და იმედით აღსავსე სამშობლოს — საყვარელ საქართველოს.

გიორგი ნატროშვილი



შვილიშვილები



სიმონ კილაძის ფოტოები

# ლაშა გიორგის პერიოდი

## ტექსტი გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თარგმნილი ქეთრინ ვივიენის მიერ

თანამედროვეობის ერთ-ერთ გამოჩენილ ქართველოლოგს, ქ-ნ ქეთრინ ვივიენს ჩვენი საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე-სიცრუისას“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ პროზაული ინგლისური თარგმანის ავტორს. ქ-ნმა ქეთრინ ვივიენმა ინგლისურად თარგმნა, აგრეთვე, კალისტრატე სალიას ფრანგულად დაწერილი „ქართველი ერის ისტორია“.

ქ-ნი ქეთრინი არაერთი ქართველოლოგიური ფორუმის მონაწილეა საქართველოსა თუ უცხოეთში, სადაც მისი მოხსენებები დიდ ინტერესს იწვევდა და, იმედი გვაქვს, მომავალშიც ასევე გაგრძელდება მისი ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობა ქართველოლოგიაში.

1991 წელს ამსტერდამში ადოლფ ჰაკერტის გამომცემლობაში გამოვიდა ქ-ნ ვივიენის მიერ ინგლისურად თარგმნილი ფრაგმენტები „ქართლის ცხოვრებიდან“.

ეს ნაშრომი საინტერესო სიახლეა და, ამასთანავე, შემდგომი სტიმულია დასავლური ქართველოლოგიის განვითარებისათვის. წიგნის სამეცნიერო აპარატის გამოკვეთილად პოპულარული სტილი კი მას გასაგებად ხდის მკითხველთა ფართო წრისათვის, რაც ალბათ ხელს შეუწყობს ინტერესის ზრდას ქართული ეთნოკულტურული ფენომენისადმი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ეს პუბლიკაცია უნდა შეფასდეს როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეში.

წიგნის სტრუქტურა ასეთია: წინასიტყვაობა (ენტონ ბრაიერი), მთარგმნელის შენიშვნები (ქ. ვივიენი); შესავალი (მ. ლორთქიფანიძე); „ქართლის ცხოვრების“ ნაწილების თარგმანები; თარგმანს ერთვის „შენიშვნები“, ტექსტში დამოწმებული რიგი მნიშვნელოვანი სამოხელეო და სოციალური ტერმინების განმარტებანი (მაგ., „ამირსპასალარი“, „ათაბაგი“, „დიდებული“ და სხვ.); გენეალოგიური ტაბულები; მოკლე ბიბლიოგრაფია; საზელთა საძიებელი; რუკები.

წიგნის „შესავალი“ ეხება „ქართლის ცხოვრების“ ზოგად დახასიათებას და აქვეა მოკლე ექსკურსი საქართველოს ისტორიაში (XIII საუკუნის დასაწყისამდე). მართალია, ამ „შესავლის“ ავტორი მე ვარ, მაგრამ აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ეს არის ჩემ მიერ ქ-ნ ქეთრინ ვივიენისათვის ქართულად მიწოდებული მასალის ინგლისური თარგმანი, რომელშიც რიგ შემთხვევაში შეტანილია ისეთი ხასიათის ფაქტობრივი თუ რედაქციული ცვლილებები, რაც მე არ მეკუთვნის და რასაც ვერ გავიზიარებ. ვის ეკუთვნის ეს ცვლილებები ქ-ნ ვივიენს თუ წიგნის რედაქტორს ბ-ნ ბრაიერს, არ ვიცი. მაგრამ ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ალბათ სასურველი იყო ამის სათანადოდ აღნიშვნა. მაგ., გვ. XXVIII წერია: რომ „XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-აღმოსავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო გაიყოჩა ორ მუსლიმურ სახელმწიფოს შორის, რომლებიც იყვნენ ირანისა და ოსმალეთის ვასალები“. ჩემს დედანში კი წერია: „XV საუკუნის დასასრულიდან და XVI საუკუნის დასაწყისიდან საქართველო ორი მაჰმადიანური სახელმწიფოს რკალში მოექცა; სამხრეთ-დასავლეთიდან მას გაუმეზობლდა ძლიერი და აგრესიულად განწყობილი თურქ-ოსმალთა იმპერია და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ასევე ძლიერი და აგრესიულად განწყობილი სეფიანთა ირანის სახელმწიფო“.

გვ. XLIII. როდესაც მოტანილია ადგილი დავით აღმაშენებლის „ანდერძიდან“, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველო გადაჭიმულია ნიკოფსიიდან დარუბანდამდე და ოვსეთით ერეგაწამდე, ამოღებულია ჩემი განმარტება, რომ ეს ოსეთი დღევანდელი ჩრდილო ოსეთია, რადგან სხვა ოსეთი მაშინ არ არსებობდა.

გვ. XLVII აღნიშნულია, რომ XI-XII საუკუნეების ქართულ კულტურას ახასიათებს მრავალი ისეთი ნიშანი, რომელთაგან ზოგიერთი ისევ გამოვლინდა გვიანდელ XVII საუკუნის „რენესანსში“. ჩემს მიერ მიწოდებულ ტექსტში საუბარია XI-XII საუკუნეების ქართული კულტურისათვის დამახასიათებელ რენესანსულ ელემენტებზე და არაფერი წერია XVII საუკუნის შესახებ.

ვფიქრობ, კორექტურული შეცდომაა გვ. XLII, სადაც „ქრ. წ. II ათასწლეულის“ მაგიერ არის „ქრ. წ. II საუკუნე“. იქ, სადაც საქმე ქართლის (იბერიის) სამეფოს ეხება, ინგლისურ თარგმანში არის „გეორგია“ (გვ. XXXVI და სხვ.). უნდა იყოს „ქართლი“ ან „იბერია“.

გვ. XLIII. აღნიშნულია, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთით ერთმანეთს დაუპირისპირდა საქართველოს და აზერბაიჯანის ათაბაგის და სამხრეთ-დასავლეთით საქართველოს და რუმის სასულტნოს ინტერესები. მაგრამ შემდეგ, იქვე, ალბათ ქართული ტექსტის შემოკლების გამო, 1195 წ. შამქორის და 1203 წ. ბასიანთან ბრძოლები ორივე რუმის სასულტნოზე გამარჯვებად არის მიჩნეული. ზოგჯერ თარგმანშიც არის უზუსტობანი. მაგ. გვ. 100, „რინდი“ თარგმნილია „ცხენოსნად“ („ცხენოსანთა რაზმი“, „ე პარტი ოფ ჰორს მენ“). როგორც ცნობილია, რინდი მისტიკურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევართა სექტაა. არის ზოგი სხვა უმნიშვნელო უზუსტობანი.

სავალდებულოდ მხურს შევეხო წიგნის სათაურის და შედგენილობის საკითხს. ლამაზად გაფორმებულ წიგნს, რომლის ყდაზე არის ტექსტი „ქართლის ცხოვრებიდან“ (ქართულად), სათაურად აქვს „ქართული ქრონიკა“, ლაშა გიორგის პერიოდი. სათაური არაზუსტია. წიგნში არის დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზულების თარგმანი (გვ. 1-47). შემდეგ ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულებიდან მოტანილია „მეფე დემეტრეს ცხოვრება“ (გვ. 49-51) და „მეფე გიორგის ცხოვრება“ (გვ. 53-54), შემდეგ, ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა“ (გვ. 55-96) და ბოლოს ჟამთააღმწერლის თხზულებიდან ის ადგილი, რომელიც მოგვითხრობს გიორგი ლაშას შესახებ (გვ. 97-103). როგორც ვხედავთ, იმ სათაურის ქვეშ, რომელსაც აწერია, „ლაშა გიორგის პერიოდი“, არის თხზულებები, მიძღვნილი დავით აღმაშენებლის (1089-1125), დემეტრე I (1125-1156), გიორგი III (1156-1184), თამარის და ბოლოს გიორგი ლაშას მეფობისადმი.

წიგნის სატიტულო ფურცელზე ვკითხულობთ: „ტექსტი გამოცემული ს. ყაუხჩიშვილის მიერ“ და ყველა ზემოთნახსენები თარგმანი სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „ქართლის ცხოვრების“ ტექსტიდან არის შესრულებული (ტ. I, 1955 წ., ტ. II, 1959 წ.).

ამის შემდეგ მოდის განყოფილება, რომელსაც აწერია „ფრაგმენტები ადრინდელი გამოცემებიდან“ და მოტანილია მარი ბროსეს „ქართლის ცხოვრებიდან“ თარგმნილი ნაწილები (დემეტრე I-დან თამარის მეფობის ჩათვლით).

როგორც ვხედავთ, წიგნის შინაარსი განსხვავდება სათაურისაგან.

როგორც აღვნიშნეთ, წიგნში არის თანამედროვეობის ერთ-ერთი ცნობილი ბიზანტინოლოგის ენტონი ბრაიერის წინასიტყვაობა. ბრაიერი ფრიად საინტერესო მოსაზრებებს გამოთქვამს ქეთრინ ვივიენის მიერ თარგმნილი ისტორიკოსების შესახებ. „წინასიტყვაობაში“ ზოგადად აღნიშნულია, რომ ის ავტორები, რომელთა თხზულებების თარგმანებია წარმოდგენილი, სამეფო კარის ისტორიკოსები არიან და ამიტომ მათი თხზულებები აპოლოგეტურ-ტენდენციური სტილისაა. ბ-ნი ბრაიერი ავლებს პარალელებს XII-XIII საუკუნის ქართველ ისტორიკოსებსა და ბიზანტიელი ისტორიკოსების — ანაკომნენეს და მიკიტა ხონიატეს შემოქმედებას შორის; მიუთითებს იმ განსხვავებაზე, რაც არსებობს ქართველ ისტორიკოსთა თხზულებებსა და მონასტრებში დაწერილ „ქრონიკებს“ შორის. ამასთანავე აღნიშნავს, რომ ეს ქართველი ავტორები ისტორიკოსები არიან.

ბრაიერის „წინასიტყვაობაში“ საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით რიგ საინტერესო დებულებებთან ერთად, ზოგი რამ სადავოა. ვერ გავიზიარებთ ავტორის თვალსაზრისს ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ, აგრეთვე, რიგ ისტორიულ-გეოგრაფიულ მსჯელობებს (ტაოზე, კლარჯეთზე, შავშეთზე, ბასიანის ადგილმდებარეობის განსაზღვრაზე და სხვ.).

ასევე, ვფიქრობთ, გაუგებრობაზეა აგებული ავტორისეული მსჯელობა დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოში დადგენილი დედაქალაქის არარსებობის შესახებ. ვფიქრობ, ქართული წერილობითი წყაროების გაუთვალისწინებლობით შეიძლება აიხსნას ბ-ნ ბრაიერის აზრი იმის შესახებ, რომ ტრაპიზონის სამეფოში (რომელსაც ის პონტოს უწოდებს) 1222 წლის შემდეგ ძნელია საქართველოს მხრიდან რაიმე სერიოზული კონტროლის ფაქტის ძიება.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ბ-ნი ბრაიერის თვალსაზრისში ბაგრატიონთა წარმომავლობის შესახებ იგრძნობა სომხური ისტორიოგრაფიის გავლენა (ისევე როგორც ზოგ სხვა შემთხვევებშიც), ქ-ნი ქეთრინ ვივიენი თარგმანისადმი დართულ „კომენტარებში“ კატეგორიულად უარყოფს თვალსაზრისს ბაგრატიონთა სომხური წარმომავლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ ისინი ქართული, ჰანების ტომის ჩამომავლები არიან სპერიდან.

ბ-ნ ბრაიერთან სადავო შეიძლება სხვაც გვქონდეს, მაგრამ ჩვენი მხრივ მადლობას იმსახურებს მისი დაინტერესება ქართული საისტორიო წყაროებით და საქართველოს ისტორიით.

სამწუხაროდ, თარგმანის კომენტარებში ზოგჯერ არის არაზუსტი განმარტებანი. მაგ.: გვ. 2, შენ. 8. აფხაზეთი ასეა განმარტებული: „აბაზგია, აფხაზეთი, აფსილია. სამეფო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში, ამჟამად აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკა“. თავი რომ დავანებოთ „აფხაზეთის საბჭოთა რესპუბლიკას“, იმ დროისათვის, რომელზედაც აქაა საუბარი (XI ს. 70-იანი წლები) აფსილია საერთოდ აღარ არსებობს და, რაც მთავარია, აფხაზეთი არ არის სამეფო ჩრდილო-დასავლეთ საქართველოში. ის ერთიანი საქართველოს ნაწილია.

გვ. 28, შენ. 58. ბასიანი ლოკალიზებულია სამცხეში.

გვ. 64, შენ. 9, 10. კორექტივს საჭიროებს გიორგი ლაშას და რუსუდანის დაბადების თარიღები (1192 წ. და არა 1194 წ.; 1193 და არა 1195 წ.).

გვ. 66, შენ. 15. აქაც არაა დაცული სიზუსტე შამქორის და ბასიანის ბრძოლების განსაზღვრაში.

გვ. 148. აღნიშნულია, რომ რუის-ურბნისის კრების შემდეგ პირველი მინისტრი (იგულისხმება მწიგნობართუხუცესი) გახდა კათალიკოსი. სინამდვილეში კი ამ დროს გაერთიანდა მწიგნობართუხუცესის და ჭყონდიდის ეპისკოპოსის (და არა კათალიკოსის) თანამდებობანი.

გვ. 157, [illegible] მოითხოვს „იმერეთის“ განმარტება. იმერეთი არ არის მხოლოდ სამეგრელო და აფხაზეთი.

გვ. 158. სამხრეთ აზერბაიჯანი არ შედიოდა თამარისდროინდელ (არც სხვა დროს) საქართველოს იმპერიაში.

ნაშრომს ბოლოში დართული აქვს რუმის სელჯუკი სულტნების, ხორასნელი სელჯუკების, ხორეზმშაჰების, ილდეგიზიანების, შირვანშაჰების გენეალოგიური ნუსხები. აქვეა (გვ. 171) დავით აღმაშენებლიდან დავით ულუსა და დავით ნარინის ჩათვლით ქართველ მეფეთა და მათი ოჯახის წევრების გენეალოგიური ტაბულა. მიუხედავად ზოგი ქრონოლოგიური უზუსტობისა, ნუსხები მნიშვნელოვან საცნობარო მასალას შეიცავს. აღსანიშნავია, რომ აქვეა თამარის მეუღლის დავით სოსლანის წარმომავლობითი შტო (საქართველოს მეფე გიორგი I-ის და მისი ოსი მეუღლის შვილის, დემეტრედან). აქვეა რუკები თანამედროვე საქართველოს, XII-XIII საუკუნეების მიჯნის საქართველოს (რუკები I, II). ცალკე რუკაზეა დატანილი (III) ტრაპიზონის იმპერიის სქემა. ზოგი რამ ამ რუკებზეც შეიძლება სადავო იყოს, მაგრამ საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ, როგორც წესი, დაცულია გეოგრაფიული პუნქტების სახელწოდებათა ქართული ფორმები, მაგ., ნიკოფსია, ბიჭვინთა, სანაინი, კაენი და სხვ.

დასასრულ, სასურველად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ ქ-ნ ქეთრინ ვივიენის მიერ დიდი, შრომატევადი სამუშაოა შესრულებული. ჩვენ შეიძლება ზოგი მისი (აგრეთვე წიგნის რედაქტორის ბ-ნ ბრაიერის) რიგი დებულებები არ გავიზიაროთ, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ინგლისურენოვანმა მკითხველმა მიიღო რამდენიმე ქართული საისტორიო თხზულების თარგმანი (მხედველობაში მაქვს „ქართლის ცხოვრების“ ს. ყაუხჩიშვილისეული გამოცემიდან შესრულებული თარგმანები), რაც მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებულთ თვითონ შეაფასონ ამ თხზულებათა მნიშვნელობა საქართველოსა და მისი მომიჯნავე ქვეყნების ისტორიისათვის, და თვითონ განსაზღვრონ მათი ადგილი XI-XIII საუკუნეების ქრისტიანული ისტორიოგრაფიის და კულტურის ისტორიაში.

**მარიამ ლორთქიფანიძე**



თბილისის ერთ-ერთი კუთხე. ზურაბ გენგიურის ფოტო.

მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა




რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი, გუდიაშვილის მოედანი №2

ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04.
მთ. რედაქტორის მოადგილეები — 99-91-89; 98-26-68.
პასუხისმგებელი მდივანი — 99-67-10.
განყოფილებები: პროზისა და პოეზიის — 99-71-68; კრიტიკის, პუბლიცისტიკის, ინფორმაციის — 99-06-65; ხელოვნების 99-72-89.
ბუღალტერია — 99-72-89.
რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 14 გვერდს.
მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.


ლიტერატურული საქართველო
„LITERATURULI SAKARTVELO“
THE NEWSPAPER OF WRITERS OF THE REPUBLIC OF GEORGIA
«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი

ИНДЕКС 69436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 20 26 26 20 27. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14.